

ალ. არაბული  
ქართული  
საქართველოს  
საქართველოს  
საქართველოს



**ჯიხვი  
და  
ნიაგორი**

**The Tur and the wild goat**

ალექსანდრე არაბული

**ჯიხვი  
და  
ნიაშორი**

(The Tur and the wild goat)

თბილისი  
2013

- 1 -

## წიგნი ეძღვნება ჩემი მეგობრის, აკადემიკოს თენგიზ ონიანის ნათელ ხსოვნას

წიგნში განხილულია ჯიხვისა და ნიამორის ბიოეკოლოგიის შესწავლის პრაქტიკული საკითხები, მოთხრობილია მათ სამეურნეო-ტურისტულ, ეთიკურ, ესთეტიკურ ღირებულებებზე, შთამაგონებელ იმიტაციურ სცენებზე, მამაც მონადირე მთამსვლელთა აღზრდის ტრადიციის მნიშვნელობაზე, რასთანაც დაკავშირებულია ჩვენი სამონადირეო-საგმირო პოეზია და პატრიოტიზმი.

შემოთავაზებულია ჯიხვისა და ნიამორის გადარჩენის პრაქტიკული წინადადებები, მეტად საყურადღებო იდეა - სამონასტრო-სასაზღვრო აღკვეთილების შექმნისა, მითითებულია ჯიხვის ლიქენებით კვებისა და რქათაცვენის რადიაციულობაზე.

ნაშრომს თან ერთვის სავსელე პირობებში გადაღებული 67 ორიგინალური ფოტოსურათი.

This book contains information about bioecology of the tur and wild goat. Some very original photoes and maps are attached.

The book is made for naturalists and travellers.

**რედაქტორი:** გვანჯი მანია – ჟურნალისტი, ეკოლოგი, მოგზაური;

**კორექტორი, მთარგმნელი:** თინა არაბული;

**რეცენზენტები:** ნინო გოგინაშვილი (ბიოლოგი), ზაზა მჭედლიშვილი (ჟურნალისტი);

**კომპიუტერული უზრუნველყოფა** კობა ნაცვლიშვილი

წიგნი დაიბეჭდა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის პროფესიული კოლეჯის თანადგომით.

## რედაქტორის წინათქმა

ცნობილი, ღვაწლმოსილი ქართველი ზოოლოგის, კავკასიის ფაუნის დაუღალავი მკვლევარის ალექსი (ალექსანდრე) არაბულის წინამდებარე რიგით 21-ე წიგნი „ჯიხვი და ნიამორი“, დარწმუნებული ვართ ბუნების ქომაგებისა და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის ნამდვილი, ჭეშმარიტი გზამკვლევი იქნება.

ამიტომ, ვსარგებლობ რედაქტორის უფლებით და მკითხველს გავაცნობ ჯიხვის, ნიამორისა თუ სხვა გადაშენების პირას მყოფ ძუძუმწოვრებთან დაკავშირებულ ქრონიკებს, რომელიც უშუალოდ წიგნის ავტორის ცხოვრება-მოღვაწეობას უკავშირდება და ახალ დროში, ახლებურ აღქმა-შეფასებას მოითხოვს.

ეს მოხდა 1983 წლის დამდეგს. თბილისისა და მოსკოვის ბუნების დაცვის სახელმწიფო და სამეცნიერო უწყებების მისამართით დაიძრა საგანგაშო განცხადებები – საფრთხეშია კავკასიის ენდემი ჯიხვი, გაუჩნდა არნახული დაავადება რქის ცვენა!

საგანგაშო სიგნალების ავტორები იყვნენ ბუნების ქომაგები, მოხევეები – ვალერიან აქიაშვილი, იაგო გელაშვილი, გოგი პაპიაშვილი, ნოდარ ფირანიშვილი, ტარიელ ფირანიშვილი, გიორგი ფიცხელაური, იორამ ღუდუშაური, ელგუჯა შიოლაშვილი, გერმან ხეთაგური ...

ვალერიან აქიაშვილი – სოფელ სნოს მცხოვრები წერდა: „ბავშვობიდან დაწყებული დღემდე მთაში გამიტარებია და არასოდეს არავითარი დაავადება ჯიხვებში არ შემიმჩნევია. ხანდახან თუ გაუჩნდებოდა ქეცი. ახლა კიდევ რქის ცვენა ჯიხვებში ისეა მოდებული, რომ აღარ მეგულება რქიანი ჯიხვი...“

იაგო გელაშვილი – სოფელ სნოს მცხოვრები: „მოგახსენებთ, რომ ეს უღამაზესი სახეობა დიდი კატასტროფის წინაშე დგას...“

გოგი პაპიაშვილი – სოფელ აჩხოტის მცხოვრები: „საჯიხვეებში მიხდება სიარული და ვხვდები დახოცილ ჯიხვებს, რომელთაც რქები დაშლილი აქვთ – ზოგს ნახევარი აქვს გამომძვრალი, ზოგს გაცვივნაზე აქვს რქები ...“

გერმან ხეთაგური – დაბა ყაზბეგის მცხოვრები: „ამ რამდენიმე წლის წინათ პირველად ვნახე ჯიხვები, რომელთაც შევამჩნიე რქების დაშლა. წელს კი, ალბათ აღარ მგონია ჯანმრთელი ჯიხვი ერთი მაინც იყოს...“

რას ითხოვდნენ ისინი? ვალერიან აქიაშვილი: „დღემდე არავინ დაინტერესდა, იქნებ თქვენ მაინც დაინტერესდეთ, რაშია საქმე?“; იაგო გე-

ლაშვილი: „მოსახლეობა უძლურია ჯიხვთა დაავადების წინააღმდეგ საბრძოლველად, ამიტომ მოგმართავთ ყველას – წამლობა უნდა წითელი წიგნის ბინადარს...“; გოგი პაპიაშვილი: „თუ ჩვენი დახმარება დაგჭირდეთ, დაგეხმარებით, ოღონდ როგორმე გადარჩეს ეს ცხოველი...“; გერმან ხეთაგური: „მოდით ერთად გამოვიკვლიოთ ავადმყოფობის მიზეზი, ჩვენი მხრიდან კი რაც საჭიროა ყველფერში დაგეხმარებით...“

ერთი სიტყვით, შ შ სიგნალებით გაივსო ბუნების დაცვის სამსახურები. ამ საკითხის შესწავლა და საქმიან წინადადებათა შემუშავება დაეკალა ამ სტრიქონების ავტორს, ჟურნალისტ გვანჯი მანიას, რომლის საქმიანობის მთავარი მიმართულება იმჟამად იყო ეკოლოგია, მოგზაურობა და მხარეთმცოდნეობა, ამავე დროს გახლდით საქართველოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის წევრი და სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების ხელმძღვანელი, ბუნების დაცვის საზოგადოების ეკოლოგიური განათლების განყოფილებისა და საქართველოს წითელი წიგნის გამოცემის კურატორი. ასევე წარმატებით განხორციელებული გვქონდა რამდენიმე ექსპედიცია – მაგალითად: სამდინარო-საზღვაო „ოქროს საწმისი“ (1970 – 71); სამთო-საცხენოსნო „დიდგორი“ (1975); კომპლექსური „დაჭრილი ბუნება“ (1978–79), ანუ – პირველი ეკოლოგიური ექსპედიცია საქართველოში, რომელსაც ბუნების ქომაგთა უჩვეულო მოძრაობა მოჰყვა და სხვ.

ცხადია, ჯიხვის საქმესაც ყურადღებით მოვეკიდეთ – თბილისსა და მოსკოვში მოღვაწე გამოჩენილ მეცნიერებსა და სპეციალისტებს დაუუკავშირდით. მოკლე ხანში უკვე ხელთ გვქონდა დიდძალი რეკომენდაცია. სახელწოდებაც „ოპერაცია ჯიხვი“ მაშინ პოპულარული ეკოლოგიური პროექტების მიხედვით შეირჩა. მოგეხსენებათ, იმ ხანებში ახალდამთავრებული იყო ოპერაცია „ვეფხვი“ აზიაში, „ნოე“ და „სპილო“ აფრიკაში; „არწივი“ და „ქორჭილა“ ამერიკაში.

კავკასიის ენდემი ჯიხვის დაავადების კერების გამოვლენისა და გამოკვლევის, დაავადებული ეგზემპლარების მოპოვების, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელების მასშტაბებსაც, დიახაც, რომ ასეთი სახელწოდება შეეფერებოდა. მით უმეტეს, როცა სამთო პირობებში ჯიხვის გამოკვლევა და წამლობა ადრე არავის გაუკეთებია.

ასეთ ვითარებაში მოხდა წინამდებარე წიგნის ავტორთან დაახლოება. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის ღირეკციის გადაწყვეტილებით, ჩვენთან მოვიდა ალექსი არაბული, როგორც, ჩლიქოსან ცხოველთა შესწავლის დარგის წამყვანი

სპეციალისტი, და უცებ ერთმა კაცმა იტვირთა სამმაგი საქმე – ოპერაციის მონაწილე-მკვლევარის, კინო-ფოტო ხელოვანისა და მეცნიერ-ხელმძღვანელისა.

დაიწყო მეცნიერებთან და სპეციალისტებთან უკვე ერთიანი შეხვედრები და კონსულტაციები, სპეციალური ლიტერატურის გაცნობა-დამუშავება. ასე ჩამოყალიბდა მკვლევართა ჯგუფი და კვლევა-ძიების ახლებური მეთოდი. სულ ოპერაციაში ჩაერთო 20 სპეციალისტი. ქართული ანბანის რიგის მიხედვით დალაგებული ეს სია ბაქტერიოლოგიით იწყებოდა და ჰელმინთოლოგიით მთავრდებოდა. ამასთან, მოსკოვში ვიპოვეთ საველე პირობებში ცხოველის დატყვევება-დაძინების პროფესიონალი – ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ამ მეთოდით რუსეთში გამოკვლეული ჰყავდა ირემლადი, ლოსი და თოვლის ცხვარი (ციმბირში), ხოლო ინდოეთსა და კენიაში მონაწილეობა მიეღო ვეფხვისა და სპილოს შემსწავლელ ოპერაციებში...

პირველი ექსპედიცია 1983 წლის აგვისტოს პირველ დეკადაში განხორციელდა. ვერტმფრენით სტეფანწმინდის რაიონს – ხდეს ხეობას ვეწვიეთ – თარგმანის წყლის სათავეებში დავეშვით, გავშალეთ კარვები და დავიწყეთ საკვლევ-საძიებო სამუშაოები. ახლაც თვალწინ მიდგას როგორი ენთუზიაზმით იღვწოდნენ ეპიზოტოლოგი, ვეტექიმი, ზოოლოგი, ნადირმცოდნე, ბოტანიკოსი და კინოსტუდია „მატიანეს“ მიერ მოვლინებული ოპერატორები. და, რა თქმა უნდა, ჩვენი კარგი მასპინძლები – ბუნების ქომაგები.

პირველმა ექსპედიციამ წარმატებით იძუშავა. ეს იყო 15 კაციანი ჯგუფი. სამი ჯიხვის მოპოვების ლიცენზია გვქონდა, მაგრამ ამჯერად მოვიპოვეთ და გამოვიკვლიეთ მხოლოდ ერთი ჯიხვი. კლდიდან ჩამოვარდნილს, სულთმობძრავს აუღლეთ ყველა სახის ანალიზი. ამასთან, მოვიძიეთ მთებში მიმოფანტული რქები და მდიდარი ბოტანიკური მასალა, მოვაწყვეთ საბაზო ბანაკი. ამით მწვანე გზა მიეცა - საფუძველი ჩაეყარა - სამომავლო, მეორე, საჭიროების შემთხვევაში მესამე ექსპედიციას.

მაგრამ მთა არის მთა. მეოთხე დღეს ჩამოწვა ნისლი. მოვიდა წვიმა და თოვლი. ექსპედიცია გარე სამყაროს მოწყდა. დანიშნულ დროს შევეუღმფრენი კი მოფრინდა, მაგრამ ვერ დაჯდა. იძულებული გავხდით, ერთი ნაწილი ქვეითად დაშვებულიყო. ეს იყო სწორი გადაწყვეტილება. ერთ კვირაში კი, როცა ამინდი გამოკეთდა, ისევ მოვიდა შევეუღმფრენი და მოპოვებული მასალებით დატვირთულნი დედაქალაქს დავუბრუნდით.

მალევე სრული ანგარიში წარედგინა ყველა ბუნების დაცვის

სახელმწიფო და სამეცნიერო სამსახურს და ექსპედიციის აქტიური წევრები დაიმედებულნი ვიყავით, რომ კარგად დაწყებულ საქმეს ეშველებოდა. მაგრამ ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ვითვლი და... იმ დღიდან ოცდაათი წელიწადი გასულა! რა მოხდა?

ცნობილია და სავალალო ფაქტია, რომ იმ ქვეყანას, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა წითელი ბიუროკრატები მართავდნენ. ბუნების, სახელდობრ, ფაუნისა და ფლორის დაცვას, შესწავლასა და მოვლა-პატრონობას ვითომ დიდი ყურადღება ექცეოდა, სინამდვილეში კი თვალსა და ხელს შუა ნადგურდებოდა მიწა, წიაღი, წყალი, ჰაერი, მცენარე, ცხოველი. და რა გასაკვირია, რომ ოპერაცია „ჯიხვიც“ ვერაულოდ ჩაშალეს და ეს მაშინ, როდესაც მხოლოდ საქართველოში საჯიხვე კლდოვან სავარგულებს ერთ მილიონამდე ჰექტარი უკავია.

ამჟამად, სამი ათეული წლის შემდეგ, ალექსი არაბულის თხოვნით საჯაროდ გამომაქვს ძველი ჩანაწერები, რომელშიც დაკვირვებული მკითხველი ადვილად იპოვის თუ რა დონის ფარისევლები იყვნენ მოკალათებულნი სახელმწიფო სტრუქტურებში.

საქართველოს სატყეო მეურნეობის მინისტრის მოადგილე: „ესაო, ისაო, ექსპედიციაო, ოპერაციაო, მოუნდათ ჯიხვის ხორცი და მწვადები...“ სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს უფროსი: „ეს ამბავი ოთხი წელია მოდის, მაგრამ არის კი სინამდვილე?...“ ზოოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი (ნიშნისმოგებით): „იყავით და ვერაფერი დაადგინეთ...“

ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე (ჩაფიქრებული): „პირველი ექსპედიციის დროს ისედაც ბევრი ფული დაიხარჯა, და ახლა იმას ვფიქრობთ, როგორ ჩამოვწეროთ...“ შემდეგ დასძინა – „გააკეთეთ, რაც გინდათ, ოღონდაც მე კი ნუ გამრევთ...“ ბუნების დაცვის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე (დადარდიანებული): „ბევრი რამ ვიცი, მაგრამ იძულებული ვარ გავჩუმდე...“

ამავე დროს, ახალი ექსპედიციის მოწყობის ან პირველი ექსპედიციის დროს მოპოვებული მასალების საფუძვლიანი ანალიზისა და დასკვნების ნაცვლად ვრცელდებოდა სხვადასხვანაირი თვალთახედვა და ვერსიები:

1. გერმანელ მეცნიერთა გამოკვლევებს თუ დავეყრდნობით, ეს დაავადება ჯიხვებში შეიძლება შინაურ ცხოველებში გავრცელებული თურქულით იყოს გამოწვეული...

2. დეტალურად არის შესასწავლი საჯიხვეების მიწა, წყალი, ჰაერი, მცენარე, დაავადებული რქები, რათა დადგინდეს რქის ცვენის მიზეზი...

3. შესასწავლია იზოტოპები: კალიუმის, სტროციუმის, ცერიუმის, რადიუმის, ცეზიუმის რაოდენობა ჯიხვის რქებსა და ძვლებში...

4. ჯიხვის რქათა ცვენის მიზეზთა კვლევა—ძიებამ გამორიცხული არ არის ქვეყნის სამხედრო—სამრეწველო კომპლექსამდე მიგვიყვანოს...

5. უცხოელებთან დაიწყო მოლაპარაკებები ჯიხვის ვალუტაზე გაყიდვის შესახებ. სოფელ კობში გაიხსნება რეზიდენცია. მომავალ წელს ნავარაუდევია 25 უცხოელი მონადირს ჩამოსვლა...

6. ამ დაავადებული ცხოველის გადარჩენაზე არავინ ფიქრობს და განადგურება—მონადირებაზე კი ბევრი; საინტერესოა ვინ არის ამ საქმის ავან—ჩავანი? ცხადია, ამიტომ არ უნდათ დაავადების გამჟღავნება...

7. ნათელი და ცხადზე ცხადია, რომ ჩვენში კავკასიის ენდემი ჯიხვი, ზემოაღნიშნული ბუნების ქომაგების, მწყემსების, მეურნეების, ფოლკლორისტებისა თუ ჭეშმარიტი მწერლებისა და პოეტების მეტს არავის ჰყვარებია...

ამუშავდა სახელმწიფო სადამსჯელო გულგრილობითა და ბოროტებით აღსავსე მანქანა: აკრძალეს ჩვენება ბუნების ქომაგი იორამ ღუღუშაურის ცხოვრების ამსახველი ტელეფილმისა (რეჟისორი ელდარ მდინარაძე, კონსულტანტი გვანჯი მანია), სადაც ჯიხვის დაავადების მიზეზად სხვადასხვა სახელმწიფო უწყება იყო წარმოჩენილი...

გააქრეს ბუნების დაცვის საზოგადოების მუზეუმში შეტანილი პირველი ექსპედიციის მიერ მოპოვებული ყველა მასალა, მათ შორის დაავადებული ცხოველის 38 ცალი რქა...

დაბლოკეს სხვადასხვა გამომცემლობაში ექსპედიციის მეცნიერ—ხელმძღვანელის ალექსი არაბულის წიგნების გამოცემა. უფრო მეტიც, 1982 წელს გამოცემული საქართველოს წითელი წიგნის ერთერთ მთავარ ავტორს ალექსი არაბულს 1985 წელს წითელი წიგნისათვის გაცემული სახელმწიფო პრემია არ აღირსეს. სამაგიეროდ, აღნიშნული წიგნისათვის სახელმწიფო პრემიის ლაურეანტთა შორის აღმოჩნდა კაცი, რომლის სახელი და გვარი ამ სქელტანიან ილუსტრირებულ წიგნში საერთოდ არ არის.

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა გულითა და სულით მივულოცო ბატონ ალექსი არაბულს, ღვაწლმოსილ, მაგრამ ახალგაზრდული ენერგიით აღსავსე მეცნიერს, სამაგიდო წიგნის გამოცემა. მწამს, მჯერა, რომ ჩვენი წიგნის მოყვარული ერი, წარმოდგენილ ნაშრომში წამოჭრილ საკითხებს გულთან მიიტანს და ღირსეულ წვლილს შეიტანს ესოდენ მნიშვნელოვანი, მეტად ჰუმანური პრობლემის გადაწყვეტა—განხორციელებაში.





ალექსი (ალექსანდრე) არაბული დაიბადა თელავის რაიონის სოფელ თეთრწყლებში. იგი არის ბუნების სახელოვანი მკვლევარი მეცნიერი, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მთიანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიის, ჟურნალისტთა ფედერაციისა, „ცოდნის“ საბჭოს, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა, ფაზისის მეცნიერებათა და ეროვნული აკადემიის წევრი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი, სხვადასხვა დროს იყო: საქართველოს „მონკავშირის“ ნადირთმცოდნე, კინოლოგი, ყორულის სატყეო-სამონადირეო მეურნეობის დირექტორი, მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ხეკორძის ექსპერიმენტული ბაზის ხელმძღვანელი.

მისი მოღვაწეობის ძირითადი მიმართულება სამონადირეო-სარეწაო ცხოველთა ბიოეკოლოგიის შესწავლა და დაცვა-გამოყენებაა. გამოქვეყნებული აქვს 400-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, მათ

შორის - 20 წიგნი და მონოგრაფია.

უშუალოდ მონაწილეობდა საქართველოში სამონადირეო მეურნეობებისა და აღკვეთილების შექმნა-მოწყობაში.

აგრარული უნივერსიტეტის სატყეო ფაკულტეტსა და სასაზღვრო დეპარტამენტში ასწავლიდა ნადირთმცოდნეობასა და მესაზღვრის ეკოლოგიას. კითხულობდა და კითხულობს საჯარო ლექციებს. შექმნა ეკოტურისტული სწავლების „კონცეფცია-პროგრამა“ და სალექციო ციკლი - „ბუნება და ბავშვები“, „ბუნება ჩვენი მასწავლებელია“, „წითელი წიგნის პერსონაჟები“, „ნადირთა ნაკვალევის გამოცნობა“, „პატრიარქის ყრმობის ფეხშიშვლის ნათელი სამშობლოს იალაღებო“, ეკობილიკები და ა.შ.

## ჯიხვი

„ჯიხვმა თქვა, მუდამ მენა ვარ  
სისხლით კლდეების მბანელი,  
გაუჩენივარ უფალსა  
სიცოცხლე გაუხარელი.  
ჭიუხში შეხიზნული ვარ,  
ის არის ჩემი მფარველი“

ხალხური

ასე „მოთქვამს“ ჯიხვი თავის მდგომარეობას. ადამიანი გაჩენის დღიდან დეენის ამ უწყინარ ცხოველს, რომელმაც მონადირეთა შიშით თავისი ადგილსამყოფელი – ტყე, ზოგან მთლად მიატოვა და თოვლიან-ყინულიან მწვერვალებს იძულებით შეაფარა თავი, რომ მოდგმა გადაერჩინა.

პალეონტოლოგიური მასალების მიხედვით, ადრე ის სამხრეთ კავკასიონზეც ყოფილა გავრცელებული, მაგრამ ადამიანს მოუსპია.

ამჟამად ჯიხვი კავკასიონის მთავარი ქედის აღმოსავლეთ ნაწილის ჩრდილოეთ კალთებზე, სადაც მაღალი კლდიანი მწვერვალებია, მცირე რაოდენობით თითქმის ყველგან გვხვდება. ის ბინადრობს თუშეთის, შატილის, არხოტისა და ყაზბეგის ჩრდილოეთით მოსაზღვრე მთებში. აქედან ჩვენს ტერიტორიაზე მიგრაციის დროს ზოგან 40-60 სულიანი ფარები შემოდის. მუდმივად მობინადრე ჯიხვი მრავლადაა არხოტში – ასას ხეობის შენაკადებში – ტანიის, ბისნა-ჩორეხის, ბერხნის, თათელისა და შავანის წყლის ხეობებში. აქ მისი ბუნებრივი ნაკრძალია.

ჯიხვი ძირითადად ტყეში ბინადრობს. ასევე ჯიხვის ბუნებრივი, მაგრამ უტყეო, საძოვრებით ღარიბი ნაკრძალია ყაზბეგის – ხდესა და თარგმნის წყლის ხეობებში, დოლასა და სახარეს მთის ჭიუხები, კერკნებისა და ყუროს მთის კლდეები, სადაც 1983 წლის აგვისტოში ათას ჰექტარამდე მონაკვეთზე, თავშესაფარ კლდეებში, ასზე მეტი ჯიხვი დავთვალეთ. ასევეა თრუსოს ხეობის – გორისციხის, სუიატისა და მყინვარის ჩრდილო დასავლეთით – კარმადონის მინერალურ წყლებთან ხეობასა და ჩათაში, სადაც

ჯიხვს გაუვალი კლდეები იცავს და ლუპავს კიდეც. ხევში ამბობენ: „ჩათა და ყურო ჯიხვების მახეაო, იქ ასული მონადირე ხელცარიელი არ ბრუნდებაო.“

კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, საქართველოს ფარგლებში ჯიხვი მხოლოდ იქ შემოდის, სადაც მისი საიმედო თავშესაფარი – გაუვალი კლდეებია, სადაც სიმყუდროვეა და არ ნადირობენ, ჯიხვი რჩება და მუდმივად ბინადრობს. ასე იყო ლაგოდეხის ნაკრძალშიც. აქ კარგი დაცვითა და ხელშეწყობით 40-სულიანი ფარა დამკვიდრდა. ერთეულები გვხვდება მდინარე ღურუჯის სათავეებში – შავკლდეში (საბუის მთაში კი მოსპეს), მდინარე ალაზნის სათავეებში – სპეროზასა და ბორბალოს მთაში. კახეთის კავკასიონზე ჯიხვი სხვაგან არ გვხვდება. არ გვხვდება იგი მთიულეთში, ფშავსა და პირაქეთ ხევსურეთშიც. მის დასავლეთით ჯიხვი უფრო მცირე რაოდენობითაა. იგი მხოლოდ რაჭა-სვანეთისა და აფხაზეთის მთებში ბინადრობს. საქართველოს ფარგლებს გარეთ – თებერდისა და კავკასიის ნაკრძალებში კი უამრავია. აქ 1985 წელს 100-სულიანი ფარები ვნახე. ჯიხვი ვერტიკალურად მუდმივ მყინვარებამდე (4500 მ. ზღვის დონემდე) ვრცელდება.

გასული საუკუნის ბოლოს ჯიხვი ბორჯომის ნაკრძალში შეიყვანეს. აქაურ პირობებს ის კარგად შეეგუა და მომრავლდა – არვეში 40-60 სულს გადააჭარბა. 1917 წლისთვის აქ 500-ზე მეტ ჯიხვს ითვლიდნენ, მაგრამ ბრაკონიერებმა ნაკრძალის გაუქმებისთანავე მთლად გაანადგურეს.

ჯიხვი ღრურქიანთა ოჯახისა და თხების გვარის ერთ-ერთი წარმომადგენელია. ძირითადად სამი სახისაა: აღმოსავლეთ კავკასიური, ანუ დაღესტნური, დასავლეთ კავკასიური, ანუ ყუბანური. აღმ. კავკასიური ჯიხვი გავრცელებულია კავკასიონის მთავარი ქედის აღმოსავლეთ ნაწილში, უმეტესად ჩრდილო კალთებზე, დაღესტნის საზღვრებში.

1840 წელს ინგლისელმა ზოოლოგმა ბლეისომმა პირველად აქ აღმოაჩინა და აღწერა იგი, ამიტომ უწოდებენ დაღესტნურ ჯიხვს. დას. კავკასიური ჯიხვი კავკასიონის ქედის დასავლეთ ნაწილში უმეტესად ყუბანშია გავრცელებული და ყუბანურ, ანუ სევერცოვის ჯიხვს უწოდებენ. მათი არეალი ერთმანეთს ქედზე

ერწყმის, ევკარებიან და მათ შუალედურ ფორმას, რომელიც ძირითადად აფხაზეთის, სვანეთის (კოდორის ხეობის სათავეებში) და თებერდის სახელმწიფო ნაკრძალში ბინადრობს, ცენტრალურ კავკასიურ, ანუ გულდენშტედტის ჯიხვს უწოდებენ, რადგან ჯიხვების გავრცელების საზღვრები ცალ-ცალკე არ გამოიყოფა, მათ დამოუკიდებელ სახეობებად არ აღიარებენ.

საინტერესო ის არის, რომ შეხვედრის ადგილებში ჰიბრიდებიც ევკარებიან ერთმანეთს და სხვადასხვა, ოდნავ განსხვავებულ ეკოლოგიურ გარემოშიც კი სხვადასხვა სახის ვარიაციებს წარმოქმნიან. როგორც ჩანს, ამ ნიშნებს მხოლოდ მცირე პროცენტი ინარჩუნებს ან ასეთი ჰიბრიდების უმრავლესობა ილუპება. მაგალითად, კოდორის ხეობის სათავეებში გვხვდება ცენტრალური და დასავლეთ კავკასიური ჯიხვების ჰიბრიდი უზარმაზარი გაშლილი რქებით, რომელიც ფორმით სრულიად განსხვავებულია, ხოლო მის მოსაზღვრე პირაქეთ ენგურის ხეობის – მდინარე მაგანას სათავეებში, სვანეთ-სამეგრელოს საზღვრებში მობინადრე იმავე ფორმის ჯიხვს რქები განზე გაშლილი, მნიშვნელოვნად პატარა, ტანი კი დიდი აქვს. ასეთი 7-სულიანი ხარჯიხვების ნოტო შემხვდა ჯვარას მთაზე.

ჯიხვების ფორმებს შორის განსხვავება მარტო ხარჯიხვების რქების ფორმაში არაა. მორფოლოგიურად სხვა მხრივაც განსხვავდებიან: აღმოსავლეთ კავკასიური ხარჯიხვი შედარებით დაბალი, მკვრივი აგებულებისა და მურა რუხი შეფერილობისაა, ნიკაპზე წვერი 7-10 სმ-მდე აქვს ჩამოშლილი. რქები 80-130 სმ-მდე სიგრძისაა, განიერი და ძირიდანვე რგოლურად მოხრილი, რომლის წვერები უმრავლესობას ზევით აქვს აპრეხილი, ზოგიერთს კი – საპირისპიროდ მიმართული, ისე, რომ შეერთებამდე 10-30 სმ რჩება; დასავლეთ კავკასიური ხარჯიხვი მასზე 5-10 სმ ით მაღალია, შეფერილობით – რუხი ნათელი, ჩალისფერი ნიკაპზე წვერი უფრო გრძელი – 10-15 სმ მდებარე ჩამოშვებული, რქები – ძირიდანვე სწორად აღმართული, წვერში განზე გაწეული, 80 100 სმ-მდე სიგრძის, შედარებით ვიწრო; ცენტრალურ კავკასიური ხარჯიხვი საშუალო ზომის, უმეტესად რუხი ჩალისფერია, ნიკაპზე წვერი შედარებით მოკლე ან სულ არ აქვს, რქები ძირში აღ-

მართული, ნახევრიდან კი განზე გაშლილი, ზოგიერთს ქვევით დახრილი აქვს, რქის წვერები კი შიგნით მოხრილი. ამგვარად, აგებულებით, ფორმით, დაჩივებული ან გიგანტური ზომა-წონითა და ზოგიერთი სხვა ბიოლოგიური ნიშნით ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ცხოვრების ნირით, ქცევებით კი ერთმანეთს ძალიან ჰგვანან. ეს იმიტომ, რომ ერთნაირ, მსგავს ადგილსამყოფელში კავკასიონის მთავარ ქედზე ბინადრობენ. როგორც ვთქვით, ჯიხვს დედამიწის ზურგზე სხვაგან ვერსად შევხვდებით. სისტემატიკურადც ერთმანეთისაგან ძალიან არ არიან დაცილებული, ეჯვარებიან და ნაყოფიერ თაობას იძლევიან. ბუნებისა და ადამიანის უარყოფით გავლენას ყველგან ერთნაირად განიცდიან, ყურადღებასა და ხელშეწყობასაც ერთნაირად მოითხოვენ. სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენებაც ერთნაირია.

ჯიხვს უხეში, მაგრამ მოხდენილი ტანი აქვს (შუნჯიხვი უფრო უშნოა). განსაკუთრებით მკვრივი, ძლიერი და მომნიშვლელია ხარჯიხვი, რომელსაც ნიკაზე ლამაზი „წვერი“, ხოლო თავზე, როგორც აღვნიშნეთ, უზარმაზარი მანდილა რქები ამშვენებს. თავი სქელი, პატარა – 30-35 სმ-მდე სიგრძის, ყურები – წვეტიანი – 15 სმ. მდე სიგრძის, კისერი – მოკლე და სქელი, მკერდი – განიერი, დაშვებული, კიდურები – სქელი, კუნთოვანი. სხეულის სიგრძე 130-190 სმ-ს აღწევს, მხარში სიმაღლე – 80-118 სმ-ს, უკანა მხარე – 10 სმ-ით მაღალი აქვს. სხეულის გარშემოწერილობა 140 სმ-ს აღწევს, კუდის სიგრძე – 15-20 სმ-ს, ცოცხალი წონა – 60-80 კგ-ს. იშვიათი ეგზემპლარები 100 140 კგ-ს აღწევენ. შუნი შედარებით პატარაა არიან. რქები ორივე სქესს აქვს. შუნის რქის სიგრძე 30 სმ-ს არ აღემატება. იშვიათად გვხვდება უფრო დიდრქებიანი შუნი, ისიც დასავლეთ კავკასიური ფორმის ჰიბრიდებში. ჯიხვის თიკანს (ფოთრს) რქები ორი თვის ასაკში ამოსდის, ჯერ ნელა, მეორე მესამე წელს კი სწრაფად უვითარდება. ამ წლებში ნაზარდი რგოლები ყველაზე გრძელია – ზოგჯერ 10 სმ-ს სჭარბობს. ზოგიერთს ასე ინტენსიურად 5-8 წლამდე ეზრდება და გიგანტურ ზომას აღწევს. ასეთი დიდრქებიანი ჯიხვები ლაგოდეხ-ზაქათალის ნაკრძალსა და ასას ხეობაში ხშირად გვხვდება, რადგან აქ უფრო კარგი საძოვრები და სამაროლებია.

10-13 წლის ჯიხვს რქები უკვე სრულყოფილად განვითარებული აქვს, ბორცვებიც კარგად ეტყობა. რქები მომდევნო წლებშიც იზრდება, მცირე ზომის ბორცვებიც ტალღისებურად 15-16 წლამდე კვლავ ემატება, ეს ნაზარდი სიბერის გამო სუსტადაა გამოხატული.

რქები ჯიხვის წელთაღრიცხვის – ჯანმრთელობის, სასიცოცხლო პირობების მატიანეა, მასზე ჩანს, რომელ წელს როგორი იყო ცხოველის საარსებო პირობები, ჯანმრთელობა, ზამთრის ხანგრძლივობა, კვება და საერთოდ, ადგილსამყოფელის ხარისხი. დიდი და თანაბარი ნაზარდი კარგ პირობებზე მიგვანიშნებს, პატარა და არათანაბარი – ცუდზე. ჯიხვს ხშირი ნადირობის ან სხვა მიზეზების გამო, როცა შეზღუდულ ადგილსამყოფელში უხდება ყოფნა, ნაკლებად სარგებლობს ტყით, ხშირდება ნათესაური შეჯვარებები, კნინდება თაობები, ეს სისუსტეც პირველ რიგში რქებზე აისახება. ჩვენი აზრით, დაგვიანებული ბეწვის ცვლა, გაჭაღარავება, ახალი დაავადება – რქათაცვენაც სასიცოცხლო პირობების გაუარესებასთან ლიქვნებით კვებასთანაა დაკავშირებული და ჩვენგან გონივრულ ჩარევას მოითხოვს. ჯიხვს მდელოს საძოვრით სარგებლობის საშუალება უნდა მივცეთ.

ჯიხვი რქებს არ იცვლის. ამიტომ წლიური დიდი და პატარა რგოლები კარგად ეტყობა. ყველას ერთად ითვლიან, შუაზე ყოფენ და ამით ჯიხვის წლოვანებას ზუსტად იგებენ. საშუალო ხნის ხარჯიხვებს წლიური ნაზარდი ისე კარგად ემჩნევა, რომ გაყოფასაც არ საჭიროებს.

ხარჯიხვს რქები კლდეზე სიარულისა და ხტომის დროს წონასწორობის დაცვაში ეხმარება, ესაჭიროება კიდევ. ეს მოუქნელი, მკვრივტანიანი ცხოველი ჯამბაზივით გადის კლდეებზე. თუმცა ის ხომ ადამიანის გავლენით, ზედმეტი სიფრთხილის გამო აქ დამკვიდრებული. შუნი კი უფრო დაბლა – ბალახიან ლელეებსა და ტყეში ბინადრობს, სადაც შთამომავლობის გადარჩენისა და აღზრდის მეტი საშუალებაა. თორემ შუნი სალ კლდეზე მოძრაობაში ხარჯიხვს არ ჩამორჩება, მას რქები არ უშლის, პირიქით, თუ დასჭირდა, სჯობნის კიდევ. სწოელმა მონადირე ბუნების მეგობარმა იორამ ღუდუშაურმა განაცხადა: ჩათას ხეობის

საჯიხვეებში, სადაც ხარჯიხვი გასულა, მეც გავსულვარ, მაგრამ სადაც შუნი გადის, იქ მონადირე საერთოდ ვერ გაეკარებაო. ადგილსამყოფელის ამგვარი განაწილება მტრებისაგან თავდაცვისათვის ბრძოლაში გამოუშუშავდა და თავისი მოდემის გადასარჩენად ბუნებრივად ჩამოუყალიბდა ამ ცხოველს.

რქების მიხედვით არჩევენ კლდესა და ტყეში მობინადრე ჯიხვს. მუდმივად მალა, კლდიან ადგილებში მობინადრე ხარჯიხვს რქის წვერები კლდეზე ხახუნისა და დარტყმისაგან მოცვეთილი და წატეხილი აქვს. ამაზეა ხალხური თქმა: „ჯიხვმა ჩამოჰკრა რქა კლდესა, კლდემ ნაპერწკალი დალაღა“. რაც უფრო დიდრქებიანია ხარჯიხვი, მით უფრო დაზიანებული, მზის, ყინვისა და ქარისაგან გარუჯული, კლდისფერრქებიანია. ასეთ ხნიერ, დიდრქებიან ხარჯიხვს ხევისურეთში „რქაჯანგიანს“ უწოდებენ. ასე მოიხსენიებენ ლექსშიც: „გავხედე, მთას გადავიდნენ ჯიხვნი რქაჯანგიანები“.

ტყეში მობინადრე ჯიხვის რქები უფრო დიდი, წვეტიანი, უცვეთი და შავია. ეს იმას მოწმობს, რომ კლდიან ადგილებში სიარულისა და ხტომის დროს ჯიხვი რქებს ძალაუნებურად საბჯენად იყენებს. ტყიან ადგილებში კი მას არ ხმარობს, ქარი და მზის სხივიც ნაკლებად ხვდება, ამიტომაც რქები მუდამ საღი და შავია. ახალგაზრდა ხარჯიხვებსა და შუნებს კი რქები აღმართული, ყოველთვის უცვეთი აქვთ. შეიძლება დავასკვნათ, რომ რქების სიგანეში ჭარბად ზრდის ამგვარი არომორფოზი ცხოველის გადაამგვარებელი, დამლუპველია და არა გადამრჩენელი.

კლდეზე მოძრაობასაა შეგუებული ჯიხვის ჩლიქებიც. ჩლიქის ნახევრები კლდეზე სიარულისას გარმონივით განზე იწევა. ისინი დაფარულია მკვრივი, მაგ-რამ ელასტიკური შალითით, რომელიც ქუსლზე და შუაგულში ჭოპოსარით ხორკლიანია, რითაც საიმედოდ ეჭიდება მაგარ გრუნტსა და მოლი პულ ქვებს. ესეც კლდიან რელიეფზე სამოძრაოდ, საუკეთესო ადაპტაციაზე მეტყველებს, რამაც უდავოდ დიდი როლი შეასრულა ამ ცხოველის მოდემის გადარჩენისა და შეცვლილ ახალ გარემოში დამკვიდრების საქმეში.

ხარჯიხვს ჩლიქები უფრო სქელი, ბლავვი, მაღალი, ოთხკუთხედი ფორმისა აქვს, რაც ნაკვალევზეც თავისებურ ანაბეჭდს ტოვებს და ადვილი გამოსაცნობია. წინა კიდურის ჩლიქის სიგრძე 7-9,



უკანისა 6-8 სმ ია, სიგანე – 5-6, სიმაღლე – 3-4 სმ. ასეთივე ფორმის, მაგრამ შედარებით პატარა ჩლიქები აქვს შუნსაც. ჯიხვის ნაკვალევი მის ადგილსამყოფელში მობინადრე არჩვის ნაკვალევისაგან იმით განსხვავდება, რომ ჩლიქის წვერები წაგრძელებული და წვეტიანი არ არის. თანაც მნიშვნელოვნად განიერი, ღიღია და სხეულის სიძიმის გამო ღრმა ანაბეჭდს ტოვებს. ტყეში და დეკის ბუჩქნარში ნადგომი და გამავალი ბილიკი, მსხვილფეხა საქონლისას წააგავს.

რქებისა და ჩლიქების გარდა, ჯიხვის სქესობრივი დიმორფიზმის მეორადი ნიშანია ნიკაპზე წვერის არსებობა და შეფერილობის ცვალებადობა. წვერი მამლებს 2.5 წლიდან უვითარდებათ და, როგორც აღვნიშნეთ, ხარჯიხვს მთელი სიცოცხლის განმავლობაში ამშვენებს, ზოგჯერ ზაფხულში, ბეწვის ცვლის დროს სცვივა და იმდენად უმოკლდება, რომ ღაბაბივით ეტყობა.

ჯიხვის სხეულის შეფერილობა განსხვავებულია როგორც ფორმებს, ისე სქესთა შორის, აგრეთვე ზამთარ-ზაფხულის მიხედვით. აღმოსავლეთ კავკასიური ხარ-ჯიხვები უფრო მურა-მოშავო, იშვიათად თეთრი, შუნიები კი რუხი მოწაბლისფერონია. ზაფხულში, საერთოდ, მოწაბლისფრო-ჩალისფერია, შემოდგომასა და ზამთარში – მურა-მორუხო. მუცელი ყოველთვის ღია მონაცრისფროა, მკერდზე, ბოქვენზე, ქედსა და კიდურებზე – მურა. საერთოდ, ხარ-ჯიხვები უფრო ერთი ფერის არიან. 6-7 წლის შემდეგ მათი შეფერილობა, წლის სეზონების გარდა, სიბერემდე აღარ იცვლება. ახალგაზრდები კი 4 წლამდე ფერს რამდენჯერმე იცვლიან. ზაფხულის ბეწვის ცვლა ივლისის ბოლომდე გრძელდება, ოქტომბრის ბოლოსთვის ისევ ზამთრის სამოსელშია, თანაც ზამთარ-ზაფხულის მიხედვით ეხამება იმ კლდიან გარემოს, მცენარეული საფარის ფერის ცვალებას, სადაც ბინადრობს. განსაკუთრებით იმ ლოდებსა და ნაშალებს, სადაც გაიზარდა. ამიტომ არის, რომ კლდეში ლოდებსა და ნაშალებს შორის მწოლიარე ჯიხვი ძნელი შესამჩნევია – მხოლოდ რქების მოძრაობით თუ გასცემს თავს.

ჯიხვის კერძილობა ნოემბერში იწყება და იანვრის ბოლომდე გრძელდება. შეწყვილება უმეტესად თავშესაფარში ყოფნისას ხდება. ამ დროს არვეში ძლიერი ხარჯიხვებისაგან ახალგაზრდა ჯიხ-

ვები თავიდანვე დაშინებულნი არიან და ბრძოლას ვერ ბედავენ, მაგრამ განერბვის წამიერ დროს მაინც იხელთებენ, შუნების დაუფლებისთვის უფრო ახალგაზრდა ხარჯიხვეები ძალმომრეობენ, ზოგჯერ რამდენიმე წყვილი ჭიდაობს, მაგრამ მათი ბრძოლა ხანმოკლეა – უძლიერესი ხარჯიხვის დაბრუნებისთანავე შევლდებიან. ჭიდილი ვარჯიშის სახეს იღებს.

ჯიხვების კერძილობის ქცევებში სხვა თავისებური კანონზომიერებებიც არსებობს: ბებერ ხარჯიხვთან ჭიდილში, თუ არვეში თვითონ გაერია, ახალგაზრდები ადვილად ვერ იმარჯვებენ და, მართალია, ძლიერს უფრო მეტი შთამომავლობის მოცემა შეუძლია, მაგრამ აქ მთლად ასე არ ხდება, დამარცხებული ხარჯიხვი ჩვეულებრივ არვეში რჩება და მასზე ძლიერ მეტოქესთან მორიდებულად იქცევა. ძლიერი სუსტს ჯოგიდან მაინც არ აძევებს (ისე როგორც ხარირემი და ტახი). საბოლოოდ ბებერი ხარჯიხვეები თავისი ნებით უთმობენ ასპარეზს ახალგაზრდა ხარჯიხვებს და შუნების არვეს ახლოს აღარ ეკარებიან, მუდმივად განცალკევებულად ცხოვრობენ. ჯოგურობაში, ალბათ, ესეც ბუნებრივი შერჩევის ერთგვარი თავისებური წესია.

კერძილობისას – დეკემბერში ლაგოდენის ნაკრძალსა და არხოტის ხეობაში ჯიხვები ძირითადად ტყეში არიან. მარტ-აპრილში თუ კარგი ამინდებია, დიდი ხარჯიხვეები და თითო-ოროლა შუნი ტყის ზევით, სამხრეთ ექსპოზიციის ფერღობზე ადიან, რადგან აქ მეტი სითბოა, მცენარეთა ვეგეტაცია ადრე იწყება და საკვების მოპოვებაც ადვილია, ჯიხვები ამ ადგილებსა ტყეს არ ცილდებიან. შემდეგ კი ხარჯიხვების გამოყოფა შესამჩნევია – ისინი თანდათან მალლა გადაინაცვლებენ. შუნები კი მოგების შემდეგაც ტყის ზედა საზღვრებში არიან და მოზრდილი თიკნებით ღელის ნაპირებში გამოდიან საძოვრად.

ჯიხვის მაკეობის ხანგრძლივობა ექვს თვემდე გრძელდება. პატარა თიკნები მაის-ივნისში, ზოგჯერ აგვისტოშიც გვხვდებიან. მოგების წინ მაკე შუნი არვეს გამოეყოფა; წინასწარ შეგულებულ ტყე-კლდიან, მაღალბალახიან, მყუდრო ადგილებში შედის და ლოდებს შორის ხშირად ფეხზე მდგომი ბადებს ერთ, იშვიათად ორ თიკანს, უფრო სწორად, მხოლოდ ერთს ინარჩუნებს და ზრდის. მიუხედავად იმისა, რომ დედა პატარებზე ზრუნავს და სა-

შიშროების დროს თავგამოდებით იცავს, ახალდაბადებულები მაინც ხშირად იღუპებიან არწივისა და კრავიჭამიისაგან. ეს, იმიტომ, რომ თიკანი დაბადებისთანავე ფეხზე დგება და დედას ბარბაცით დასდევს. პირველ ხანებში დედა მას თავშესაფარ ადგილებს არ აცილებს, თითქოს ძალავს კიდევ, თვითონაც იქვე უტრიალებს – ღია ადგილებში არ გამოჰყავს. მაგრამ ხშირად ამას ვერ ახერხებს, რადგან თიკანი მოუსვენარია და დედას არ ემორჩილება. ამიტომაც, რომ მზრუნველი დედა ზოგჯერ არვეში კარგახანს აღარ ბრუნდება – ვიდრე პირმშოს არ წამოზრდის, განცალკევებულ ფარულ ცხოვრებას ეწევა. ჩვეულებრივ, თიკიანი შუნი ორი-სამი კვირის შემდეგ უკვე არვესთანაა. ძუძუს ხშირად აწოვებს. თიკანი კიკინით დედას ყველგან თან დასდევს. ზოგჯერ წინ უსწრებს, შორდება და მტაცებლის მსხვერპლი ხდება. ამაზეა ნათქვამი: „უდედოდ ძავალ თიკანს არწივი წაიღებსო“. ლაქტაციის პერიოდი 5-6 თვემდე, კერძოობის დაწყებამდე გრძელდება. ცხიმიანი და ვიტამინებით მდიდარი რძით ხანგრძლივი კვება თიკანს სწრაფად ზრდის და აჯანსაღებს.

მაძრი ჯიხვი სქესობრივად 3 წლის ასაკში მწიფდება, მდებრი – 2 წლის, შესაბამისად ზრდა 6-7 წლამდე გრძელდება; ცოცხლობს 20 წლამდე. ბუნებაში მას მრავალი მტერი ჰყავს: ჯიქი, ფოცხვერი, მთის არწივი, კრავიჭამია, იშვიათად იჭერს მგელი. ჯიხვზე ნადირობს დათვიც – ხელსაყრელ მომენტში ადვილად იჭერს დაუძღურებულებს, ქეციანებს, რომელთაც მოძრაობა უჭირთ. უფრო მეტად კი ადრე გაზაფხულზე ზვავში მოყოლილთა ლეშით იკვებება. ბუნების ქომაგმა სვანმა მონადირემ ელგუჯა გულედანმა დათვის მიერ ჯიხვზე ნადირობის ერთი საინტერესო ამბავი გვიამბო:

„ნადირობისას აღმართს შევუყევით, თან ჭოგრით საჯიხვეებს ვზვერავდით. დაისის ჟამს ჭიუნში განმარტოებული უზარმაზარი ხარჯიხვი შევნიშნეთ, ვიცოდით, რომ საძოვრად დაბლა ჩამოვიდოდა. უნდა გვეჩქარა, თანაც ღელე-ღელე ფრთხილად გვევლო, რომ სხვა ნადირი არ დაგვეფრთხო, გათენებამდე მთის წვერზე ასვლა როგორმე მოგვესწრო და თავშესაფრისაკენ დაბრუნებულ, დაწყებულ ნადირს ბილიკში ჩავსაფრებოდით. სიარული გვიჭირდა, ღამე უკუნეთი და საკმაოდ გრილი იყო. შეუსვენებლად ვიარეთ,

დალლა არ გვიგვრძნვია. გათენებამ წვერზე მოგვისწრო, მცირე მანძილია დაგვრჩა, წინ ძნელად ასასვლელმა კლდემ შეგვაფერხა, ავცოცდით და, როგორც იქნა, ჯიხვის ორბიტამდე მივალწიეთ. მეტი სიფრთხილე გვმართებდა, ლოდებს ამოვფარეთ და კლდის ფხაზე გაწოლილებმა ჭოგრიტებით ერთხელ კიდევ დავზვერეთ იქაურობა. ხარჯიხვი კლდის ქიმზე ნებივრობდა, ჩამოშვებულ წვერს ნიავი უთამაშებდა. ცის ლაჟვარდის ფონზე საოცარი სანახავი იყო, საშიშროებას არ გრძნობდა, წყნარად, ქანდაკებასავით იდგა, თითქოს მზის ამოსვლას ელოდა, რომ მასთან ერთად დღევანდელი დღით კმაყოფილს, ქვეყნიერებისათვის ზევიდან გადაეხედა. ეს იყო ბუნების ულამაზესი სურათი.

თოფის სასროლ მანძილზე ვიყავით. ნიშანიც ჩანდა, მაგრამ ამ სანახაობამ დაგვატყვევა... ამ დროს თვალი შევასწარით თხემზე მაჯლაჯუნასავით რაღაც სწრაფად მიცოცავდა და ჯიხვს თანდათან უახლოვდებოდა. პირველად ვინილეთ დათვის ნადირობა ჯიხვზე. იგი ოსტატურად, ფრთხილად ეპარებოდა მსხვერპლს. არჩევანი ჩვენზე იყო: ან დათვი ან ჯიხვი. თუმცა ორივეს მონადირებაც შეგვეძლო თუ დაკვირვებულად მოვიქცევოდით. ამიტომ არ ვჩქარობდით, ჯერ დათვს ვაცლიდით ჯიხვის დაჭერას, ამ სანახაობით წინასწარ ვტკბებოდით. ვფიქრობდით დათვისათვის შემდეგ მოგველო ბოლო.

საინტერესო ის იყო, რომ ჯიხვი ადამიანის სუნს თუ ერთ კილომეტრზე შორს იგებს და ფრთხილად, მტაცებლის სიახლოვეს ვერ გრძნობდა. ჯიხვი ბებერი, ყრუ, ყნოსვადქვეითებული, ავადმყოფი გვეგონა, ამიტომაც არ შევმართეთ ხელი მის მოსაკლავად. დათვი ვინემ ზედ არ წაადგა, ვერ შენიშნა, შემდეგ კი ჩიტივით აუფრინდა, კლდეში ისე გაუჩინარდა, თვალი ვერ მოვასწარით, მონუსხულივით დავრჩით. არც დათვს და არც ჩვენ არ გვეგონა თუ ყველაფერი ასე უცბად, უშედეგოდ და მოჩვენებასავით დამთავრდებოდა. ნადირობაში ხშირად ხდება ისე, როგორც ნათქვამია: „ორი კურდღლის მღევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერსო“.

ჯიხვი ჯოგური ცხოვრების შემწეობით უფრო კარგად იცავს თავს. ჯოგთან მისვლას ყველა მტაცებელი ვერ ბედავს, თანაც შეუმჩნეველი არაფერი რჩება, ერთმაც რომ შეიგრძნოს საფრთხე, თავისე-

ბური სტვენით ყველას აგებინებს და გაქცევით შველიან თავს. ზოგიერთი მტაცებელი ვერც კლდიან რელიეფზე მარჯვობს მის დაჭერას.

მტრებისაგან თავდაცვაში ჯიხვს დიდად ეხმარება შურთხი, რომელიც მუდმივად მასთან ბინადრობს. სიმბიოზურად ცხოვრობენ. შურთხი ჯიხვების ნადგომში პოულობს საკვებს. მათ ერთმანეთის ენა კარგად ესმით. შურთხი ფრთხილია, როგორც ყველა ფრინველს საუცხოო მხედველობა აქვს. დიდას უთენია იღვიძებს, კლდის წვერზე მჯდომი ქვევით, საძოვარზე ჩასული ჯიხვებისაკენ იყურება, ყოველთვის ერთგულად დარაჯობს თავის სამწყემსოს. თვითონ მხოლოდ არწივისა და ადამიანის ეშინია. მონადირეს შენიშნავს თუ არა, თავისებურად დაუსტვენს. ეს საკმარისია იმისათვის, რომ ჯიხვები იქაურობას გაეცალონ, მისი ძალიან სჯერათ, პირდაპირ თავშესაფრისაკენ გარბიან დამონადირეს ხელმოცარულს ტოვებენ. ამიტომაც, რომ ჯიხვზე მონადირეს ორნაირი სიფრთხილე მართებს.

ჯიხვი უფრო მეტად ზვაგებისა და დაგორებული ქვებისაგან ზარალდება. უარყოფითად მოქმედებს აგრეთვე სხვადასხვა სახის დაავადებები: ქეცი, რქათაცვენა. მასზე აღმოჩენილია 5 სახის ექტოპარაზიტი და 32 სახის ენდოპარაზიტი, ცენუროზი (რეტი), რომლებიც დაავადებას, დასუსტებასა და სიკვდილს იწვევენ. იყო შემთხვევა, როცა დარეტიანებული ჯიხვი კახეთში ვენახში გაჩხერილი ნახეს.

ჯიხვის ყველაზე საშიში მტერი ადამიანია. ოდითგანვე მთიელი მონადირეები თავის ნებაზე ხოცავდნენ ამ ცხოველს. მის ხორცს სპეციალურად იმარაგებდნენ ზამთრისათვის, ტყავისაგან კერავდნენ ძვირფას ქურქებს. ჯიხვის ქურქი თბილი და მსუბუქი სატარებელი იყო. მოკლე გადმობრუნებულ ქურქს საბრძოლო ჯაჭვის მაგივრად იცვამდნენ. ჯიხვის ხშირ ბეწვს იარაღი ვერ ჭრიდა. კერავდნენ საბნის მაგიერ დასახურავ თბილ გუდანურებს, იყენებდნენ უნაგირის საფენად. თივთიკისაგან ქსოვდნენ თბილ ჩასაცმელებს: წინდებს, შალებს, ხელთათმანებს. რქებისაგან მზადდება ძვირფასი ყანწები, დილები. მისი წარმოება ამჟამად აკრძალულია. აკრძალულია ჯიხვის რქების გაყიდვაც, მაგრამ ბრაკონიერები ამას მაინც ახერხებენ, რადგან მკაცრი კონტროლი არაა დაწესებული. მაკონტროლებელი ორგანიზაციები იქამდე ვერ მიდიან. არ მოწმდება მისი დამამზადებელი კერძო

სახელოსნოები. წესრიგის დამცველებს ზოგჯერ თვითონაც იპყრობს რქების ხელში ჩაგდების სურვილი.

ჯიხვი ძირითადად ალპურსა და სუბალპურ ზონაში ბინადრობს. ზაფხულობით თოვლის ხაზამდე აღის, სადაც ლაღად და უშიშრად გრძნობს თავს. მტერი და სიცხე, კოლო და ბუზი იქ ნაკლებადია. ბორასა და ქინქლას ნიავიან ან დაჩრდილულ გრილ ადგილებში ემალება, უყვარს თოვლთან ახლოს ყოფნა, ხშირად ზვავებისა და ნამქერების ნარჩენებზე წვება. გაუვალ დეკიან ბუჩქნარში იშვიათად შედის, ტყე მის ყურადღებას აღუნებს, არ უყვარს ვიწრო და ღრმა დედეები, საიდანაც გარემო კარგად არ მოჩანს. ტყის ზედა საზღვარზე უმეტესად არყნარ ტყეში ჩერდება. უფრო ღია, კლდიან ადგილებს ირჩევს, რასაც ღალიანი საძოვარი მდელოები ახლავს. ასეთ ადგილებში დილა-საღამოს ძოვს და შემდეგ კლდეში შედის – მას აფარებს თავს. ზოგჯერ კლდის ნაშალიან დედეებში ჩერდება, ღორღიან ლამს ფეხით გადაქეჩავს და გრილ სილაში წვება, განცხრომით ისვენებს. როცა დაცხება, ადგება, წინა ფეხით ქვიმას სიგრილემდე კიდევ მოთხრის და გვერდშექცევით ისევ დაწვება. სიცხისაგან შეწუხებული მალ-მალე იცვლის გვერდს. ლაგოდენის ნაკრძალში კი მაძლარი ჯიხვის არვე სიცხეში ყოველთვის ტყეს მიაშურებს და ცხვარივით ჩრდილში აფარებს თავს. აქ დეკიან ტაფობებშიც წვება. ალბათ იმიტომ, რომ უშიშრად გრძნობს თავს. საღამო ჟამს, როცა მზე გადაიწვერება, ისევ საძოვარზე აღის. აქ ჯიხვის დღელამური ადგილმონაცვლეობა მკვეთრად არაა გამოხატული. ჩანს, რომ ჯიხვის ასეთი ქცევები ძირითადად ბუნებრივი მტრებისა და ადამიანის შიშითაა გამოწვეული. ისეთ ადგილებში, სადაც მას არავინ აწუხებს, დღელამურად ადგილს არ იცვლის, იქვე ისვენებს, სადაც ძოვს. ასეა თებერდისა და კავკასიის ნაკრძალებში.

ისეთ ადგილებში კი, სადაც მასზე ხშირად ნადირობენ, სრულიად იცვლის თავის ხასიათს და მეტად ჭკვიანად და საინტერესოდ იქცევა: საკვების საშოვნელად ყოველთვის საღამოს 7-8 საათიდან გამოდის. ჯიხვები კლდის ბილიკს წალიკად გამოჰყვებიან და მთის ნიავთან ერთად დაბლა, საძოვრებისაკენ ეშვებიან ან მოპირდაპირე ბალახიან ფერდობებზე გადადიან. იციან, რომ ღამით

საფრთხე არ ელით, ადამიანზე უკეთესად ესმით და ხედავენ. რიჟრაჟზე კი, როდესაც ნიავი ზემოდან ქვემოთ დაუბერავს, მაძლარი ჯიხვის არვე წყნარი ნაბიჯით ისევ კლდეებისაკენ გაემართება დასასვენებლად. აი, სწორედ ამაზეა ნათქვამი: „ჯიხვო, საჯიხვე გორისკენ გასწიე, თორე თენდება“. მონადირემ ჯიხვის თვისებები და ქცევა კარგად იცის: შუალამისას მიდის, სადაც ჯიხვები ჰყავს შეთვალეირებული, ღელეზე ფენაკრეფით მიიპარება, რომ ნიავის მიმართულების შეცვლამდე როგორმე მოასწროს მანძილის გავლა, თავს დავლა და უკან დაბრუნებულ ნადირს თავშესაფარში შესვლამდე, ბილიკში უსაფრდება. ამაზე უთქვამთ:

„გზას უკრავს მენადირეი,  
ღამეს გაატანს ბნელსაო,  
საგათენებოდ შაუკრავს  
გადასავალსა წვერსაო“.

ადამიანთან და მთის მკაცრ ბუნებასთან ბრძოლაში გამობრძმედილი ამ ღვთისნიერი, უჭკვიანესი ცხოველის მტკიცე ხასიათი, თვისებები და ქცევა ყოველთვის იპყრობდა მთიელის ყურადღებას. ჯიხვსა და მასზე მონადირეზე ლექსებს არამარტო მამაკაცები, ქალებიც თხზავდნენ და მღეროდნენ:

„უყვარხარ მენადირესა,  
ქედებო ყინულიანო,  
ჯიხვთაგან გადათელილო,  
მთაო ქუჩ-ბალახიანო“.

ამ ლექსებში მხატვრულ ფორმებშია მოცემული მონადირე ნატურალისტის ჯიხვზე დაკვირვების ეკოლოგიური მასალები, ქცევები, ცხოველისა და გარემოს ურთიერთობის ნათელი სურათები:

„ჯიხვნი საწოლთკენ წასვლასა  
იგებენ ცისკრის შუქითა,  
ქუჩს ძოვენ თვირთვილიანსა,  
მიდიან წყნარის ბიჯითა.  
როცა წვერს დაეჯრებიან,  
გული უცხრობს შიშითა,  
გზაში არ გვეჯდას მოყმეი,  
ქვიშა შევლებოთ სისხლითა“ (ხალხ.)

ადამიანის უშუალო გავლენითაა გამოწვეული ჯიხვის დღელა-მური ადგილმონაცვლეობა: „შაგიტყვა მენადირეო, ჭყიტინებს უცემს ფეხსაო, გასწია სალის კლდისკენა, აღარ ენდობა წვერსაო“ – ამბობს მელექსე, რითაც ვიგებთ, რომ ჯიხვზე მონადირეს სათანადო სიფრთხილე ვერ გამოუჩენია, გზის შეკვრა დაგვიანებია, ჯიხვებს შეუტყვიათ, გეზი შეუცვლიათ და სალ კლდეს შეხიზნებიან. დიდი წვალებისა და ყინულებში ღამის თევის შემდეგ მონადირე ხელმოცარული დარჩენილა. ჯიხვზე ნადირობა ახალგაზრდა, ჯერ კიდევ უწვერულვაშო კაი ყმის ხვედრი იყო, რომლებიც მთაში აღრე ვაჟკაცდებოდნენ, გული და მუხლი ერჩოდათ და ყოველთვის საემირო-სასახელო საქმისათვის იღვწოდნენ, მათ დედებიც ხელს უმართავდნენ:

კარგ ყმას აჭმე, დედაო,  
დილას ადრიან სადილი.  
ან ხმა რამ შამავარდება,  
ან მთას გაუვლენ ნადირნი. (ხალხ.)

ჭაბუკები სიძნელებს არ ერიდებოდნენ, ოღონდაც უშიშარი მონადირის სახელი მოეპოვებინათ და ეს ცხოველიც განგებას თითქოს მათ საწვრთნელად გაეჩინოს:

თეთრ ჩოხა კიდევანაი,  
გადაქცეული მზერადა.  
წრიაპის წვერით ნაკაწრი,  
კლდე შორით რო სჩანს ბნელადა.  
მოყმე ჯიხვთ გადაყოლილი,  
მუხლების დასაცდელადა. (ხალხ.)

ჯიხვზე ნადირობა უშიშარი ვაჟკაცების წრთობისა და გამოცდის საშუალება გახლდათ. იგი თავისებურ ნებისყოფას, ამბტანობას, სიძლიერეს, გამბედაობას, ამასთან სწრაფსა და ზუსტ სროლას მოითხოვდა.

„შენ იქ ვერ ახვალ ცუდაო,  
სადაც ჯიხვ დავას რქიანი,  
მოხეთ სისვაურთ დანალევს  
ყმა უნდა სახელიანი“ (ხალხ.)

მამულსაც ასეთი დამცველები სჭირდებოდა. ამიტომ ითვლე-



ბოდა ჯიხვზე ნადირობა სასახელო, საამაყო საქმედ.

ჯიხვზე მონადირეს დაბრკოლების გადალახვის გარდა, მრავალი გასაჭირი და საშიშროება ელოდა:

მეწყალი მენადირეო,  
დამრჩალო წვერის ძირსაო,  
პურ რო გშიოდას ვერა სჭამ,  
შიგ თვირთვილ გამადისაო,  
ეხო ნათხარო ტოტითა,  
სალოგინეო ქვიშაო,

ან:

ძილს გიმთხოვს ქვიშის წკრიალი,  
გულში დარდი გაქვ მტრისაო  
გვერდს გიწევს შენი ბერდენკა,  
რკინას გულს იხვევ გრილსაო,  
ხელი გიკიდავ ზატორსა  
იმედ გაქვ როგორც ძმისაო. (ხალხ.)

კიდევ კარგი, რომ ჯიხვზე ნადირობას ყველა ვერ ბედავდა. ჯიხვთა სიმაგრეში შემსვლელი ერთი-ორი მონადირე თუ მოიძებნებოდა და ის მტრისთვისაც რისხვა, მთელი თემ-სოფლის იმედი იყო. სამშობლოს დაცვა და სხვისთვის ხელის გამართვა, ქვრივობლების პატრონობა უპირველეს მოვალეობად მიაჩნდათ:

„ტერდის-წვერ უდგან ლოგინნი  
გაგასა ბერდიშვილსაო,  
ჯიხვნი ხყვან სიმაგრეშია,  
არ აძინებენ ძილსაო. (ხალხ.)

ეს ის დავლათიანი გაგაა, რომლის დაბადებაც, თურმე, ცისარტყელით გამოისახა და შემდეგ არხოტში მტრის შემოსასვლელ ტერდის კარს დღედაღამ დარაჯობდა.

ასეთ მონადირეს სახელი შორს ჰქონდა გავარდნილი და მის სოფელს ავი განზრახვით ახლოს ვერავინ ეკარებოდა. იქიდან ადვილად ვერც ცხვარს გაიტაცებდნენ და ვერც ქალს. მონადირე საჯიხვე მთებიდან არწივივით დარაჯობდა ხეობას და გაჭირებისას მტერს გზას იქ გადაუჭრიდა, სადაც არავინ ელოდა. ამის მაგალითები უამრავია:

გამორეკეს ღიღღვლებმა  
ყაზბეგიანთა ცხვარია.  
ფარეხის კარზე გაწირეს  
წითლად ნაღები მკვდარია.  
ვინ იყავ მენადირეო,  
შორით მახკიდა თვალია?  
შუაგორ გადმოსწევით:  
ქურდო, დაყარე ცხვარია,  
ერთი წაიღეს დაჭრილი,  
ორ ამანდ დარჩა მკვდარია. (ხალხ.)

სახელოვანი მონადირისათვის ამიტომ იყო დაწესებული ცალკე სასმისი „საკარგემო“ თასი და, ცხადია, ყველა ჭაბუკი ცდილობდა მის დამსახურებას. სწორედ ამ დროს უჭირდა ჯიხვს. ყველა გაგებული მონადირე როდი იყო. ამ უცოდველ ცხოველს ხშირად მუქართაც კი სდევნიდნენ, ხელსაყრელ მომენტში დაუზოგავად ჟლეტდნენ და ეს სასახელოდ მიაჩნდათ: „თოფ გატყვრა, ტყვიამ იწივლა, ჯიხვო, წაგერთვა ძალაო. მაღლა წვერებზე ნაზარდო, მოგაძებნინა ჭალაო“. თავისი თოფი მონადირეს დიდად ეიმედებოდა და ესახელებოდა:

კლდეზე გადმოდგა ხარჯიხვი,  
წამაიგრძელა ყელია.  
მოვიხსენ კარაბინაი,  
ნადირზე გაუცდენია,  
ჩემი თოფის ხმა კლდეებსა  
გაება როგორც ქსელია. (ხალხ.)

მონადირე თავის საიმედო იარაღს ხშირად საკუთარ სახელსაც კი არქმევდა. ბებერი მონადირე თავის თოფს ეუბნება: „ჩამაგ-ითოვნა ბუჩაო! სანადირონი მთანია. შენ სანადიროთ, ტიალო, ვერ ნადირობდნენ სხვანია“. მოხუც მონადირეებს დიდად სიამოვნებდათ, როცა ახალგაზრდა მონადირეები დიდ და ბევრ რქას მიიტანდნენ ხატში შესაწირად:

ჩვენ ახალგაზრდებს ვენაცვლე,  
მფრინავს შალგვანან ცისასა.  
რო წავლენ ნადირობადა

სისხლით მასვრიან ბისნასა.

ჩვენი ღვთიშვილის კარზედა

ყონდს დასდგმენ ჯიხვთა რქისასა. (ხალხ.)

საქმე ის არის, რომ ასეთი ახალგაზრდა მონადირეების მოკლულ ჯიხვების რქების „ყონდში“ ხშირად არც ერთი რქა არ აღმოჩნდებოდა ისეთი, რომ „საკარგემო“ დაემსახურებინა.

აზარტული ნადირობა – ბევრი ნადირის ხოცვა, რომ ბოროტება და დანაშაული იყო, ამაზე არავინ არ ფიქრობდა. ეს საქმე მონადირის პირად სურვილსა და ჰუმანურობაზე გახლდათ მინდობილი. ნადირობის აზარტში შესულ მონადირეს კი ზოგჯერ საკუთარი თავიც ავიწყდებოდა და კლდეზე გადაჩენილ ნადირს თან გადაჰყვებოდა ხოლმე. ხევსურეთში ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალს სინდიურისძის სახელით მოიხსენიებენ. გადმოცემით, მონადირე ჭიუხის მიუღლომელ წვერზე აჰყოლია სიმარეში შესულ ხარჯიხვებს, ტალკვესიანი თოფით თორმეტი მოუკლავს, მაგრამ შემცოდე მონადირე უკან ვეღარ ჩამოსულა, სამუდამოდ იქ დარჩენილა.

კაცს იკლებს სინდიურისძე,

ნახოცის ჩამამთვლელსაო,

თორმეტ ჯიხვშიით ნარჩევსა

კლდის თბეზე ჩამამწვდელსაო.

ამბობენ კლდეში „დამაგრებულის“ ყვირილი ერთი კვირის განმავლობაში ისმოდაო, მაგრამ იქ ამსვლელი და მშველელი არავინ იყოო. ქარის დროს ეს ფრიალო კლდეები თვითონაც ღრიალებდნენ და ეს ლეგენდა შეიძლება ამასთანაა დაკავშირებული. ერთი კი ცხადია, იმ დროს სინდიურაზე ძლიერი მონადირე მთელ ხევსურეთში არ მოიძებნებოდა თურმე.

გადმოცემის მეორე ვარიანტი კი გვარწმუნებს, რომ უკან გამობრუნებულ, დამფრთხალ ხარჯიხვების ხოროს მონადირე კლდეზე გადაუჩენიათ. შეიძლება ეს უფრო მართალი იყოს, რადგან ამგვარად ვიწრო ადგილას შემწყვდეული, თოფის სროლით შეწუხებული ნადირი, მით უმეტეს ამაყი და გამბედავი ხარჯიხვები, ერთმანეთის იმედით ბილიკზე შეხვედრილ მონადირეს აღარ ერიდებიან და კლდეზე ადვილად გადაჩენხავენ. ასეთი დაუზოგავი ნადირობის გამოა, რომ ამჟამად ამ ადგილებში ჯიხვის ხსენება არ არის.

კარგი მონადირე ადვილად გასასვლელ ადგილებში, იქ, სადაც შუნი და მოზარდი ბინადრობდა, საერთოდ არ ნადირობდა, მათი მოკვლა ეუკადრისებოდა, ცოდვად მიაჩნდა. აი, რას ამბობს ამაზე ხარჯიხვზე მონადირე:

აისრ ვირი თქვენი მკვდრისად,  
რაიც მე მაკლიყვა ხორცი,  
ხარჯიხვებზე ვნადირობდი,  
გან თქვენსავით ჩიტებს ვზოცდი,  
დაქუეხის წვერზეთა  
სამჯერ ჩამოვაგდე ოცი. (ხალხ.)

დაქუეხი – „თებულოს მთა“ აღმოსავლეთი კავკასიონის უმაღლესი მწვერვალია. მისი პირამიდულად აღმართული საჯიხვეები ყოველთვის ყინულითაა ჩამოლესილი. აქ ჯიხვი მრავლადაა, მაგრამ ყველა ვერ ნადირობს. იქ ნადირობა სიკვდილს ნიშნავს. ამაზეა ხევსურული ნათქვამი: „დაქუეხ მენადირესა უბეში უძე სუდარაო“.

ჩვენი წინაპრების, სახელოვანი მონადირეების უდიდესი რაინდობა და ჰუმანურობა იყო ისიც, რომ ჯიხვზე გამრავლების დროს ტრადიციულად არ ნადირობდნენ და არც ნაზამთრევ დასუსტებულ ნადირს მიუშვერდნენ თოფს.

მთაში ჯიხვზე სანადიროდ გვიან შემოდგომით, მოსავლის დაბინავეების შემდეგ იცლიდნენ, როდესაც შუნი და ხარჯიხვები ჯერ კიდევ ცალ-ცალკე არიან. ამ დროს ჯიხვი, გასუქებული, გაზარმაცებულია, სწრაფად ვერ დარბის, ადვილი მოსაკლავია. თანაც ტყავიც კარგი აქვს და ხორციც, არც ბოტის სუნი უდის:

თუ მახკლავ მენადირეო,  
ნადირ ირჩიე სთვლისაო.  
ტყავ-ხორციტ გაკეთებული,  
მასაკლავადაც ღირსაო. (ხალხ.)

ჯიხვზე შორსმსროლელი იარაღით ნადირობენ. მონადირე ძაღლს საერთოდ არ იყენებს, რადგან კლდეზე სიარულში ჯიხვი სჯობნის – სადაც ჯიხვი გავა და თავს შეაფარებს, იქ ძაღლი ვერ მიუდგება. თუმცა ამასაც ამბობენ: ხევსურეთში – სოფელ ბლოში ერთ სახელგანთქმულ მონადირეს – ნადირა გიგაურს ჯიხვზე დაგეშილი კავკასიური ნაგაზი ჰყოლია, რომელიც თავის პატრონს

ყოველთვის თან დასდევდა, ღიდად მეგობრობდა, ნადირობასა და მტერთან ბრძოლაში ეხმარებოდა. მუდამ მტრიანი ნადირა ძაღლის იმედით ყველგან მშვიდად ათევდა ღამეებს, ბევრჯერ გადაურჩენია, საფრთხეს თურმე წინასწარმეტყველივით გრძნობდა და თავისებური ქცევით აგებინებდა პატრონს, მას „წველილიან ძაღლს“ უწოდებენ. მოსისხლე მტრებმა ყურმას ტყვიაც კი ესროლეს, ცალი ყურით დააყრუეს, მაგრამ თავის საქმეს მაინც აგრძელებდა. ხშირად მარტო მიდიოდა სანადიროდ და როგორც თავის პატრონისაგან ისწავლა, მხოლოდ ხარჯიხვებზე ნადირობდა.

ერთხელ ტანიეს საჯიხვეებზე სანადიროდ წასულ ყურმას შეაგვიანდა, კალობა იყო. მის მოსაძებნად არავის ეცალა, მეხუთე დღეს ძაღლი თვითონ დაბრუნდა და კისერზე მოხვეული ქამრით შეკრული ჯიხვის ტყავი მოიტანა. თურმე მეზობელ სოფლელი მონადირე საჯიხვეებში ძაღლს იმ დროს წააწყდა, როცა თავის მოკლულ ხარჯიხვს გვერდზე ჰყავდა მიწოლილი. მონადირე რომ დაინახა შეუღრინა, მონადირემ იცნო ძმობილის ძაღლი, სახელი დაუძახა, ყურმამ ამის შემდეგ მისცა ნანადირევის გატყავების ნება. მონადირე მიხვდა, რომ ძაღლს შიოდა, ხორცი შესთავაზა, მაგრამ ყურმამ პირი არ დააკარა, იუკადრისა კიდევ, გაწყრა, მოშორებით დაჯდა და მანამდე მოუცადა, სანამ მონადირემ თავისი ღირსეული მომკვლელის წილი ტყავი არ გაატანა. შემდეგ კი ხალისიანად დაადგა თავის სოფლისაკენ მიმავალ კლდის ბილიკს.

ჯიხვზე გაწაფული მონადირე თავისებურ წესს იცავდა და ასრულებდა. სანადირო სამზადისს წინასწარ იწყებდა: მოაწესრიგებდა ტანსაცმელს – განსაკუთრებით ფეხსაცმელს, რადგან ამ დროს საჯიხვეები ხშირად ჩამოთოვლილი, მოყინულია და სიარული ჭირს. ახლად გაბანდავდა ბანდულს – „ჯღანს“, რომელიც თოვლზე არ ცურავს, წრიაპთან ერთად საიმედოდ ეჭიდება ყინულიან კლდეს. წინასწარ შეარჩევდა ვაზნებს, კიდევ ერთხელ გამოცდიდა თავის თოფს ზუსტ სროლაში. ერთ კვირას ისვენებდა, რომ მუხლმაგრად ყოფილიყო. წასვლის წინადღით წვერს იპარსავდა, იბანდა და ასე განწმენდილი უთენია გაიპარებოდა, რომ არავის დაენახა, განსაკუთრებით ქალს, რომ არ დაენავსა. წმინდანად უნდა შესულიყო ნადირთ ქალღმერთის საუფლოში, რომ გასაჭირის ჟამს მაშველად თავის

სალოცავად ხატ-ღმერთი ღირსეული სიწმინდით ეხსენებინა, რათა ხელი მოემართა ველად გასული მონადირისათვის. ასეთი ღვთისნიერი, სახელოვანი მონადირე, მიუხედავად ჯიხვის სიმრავლისა, იშვიათად თუ მოკლავდა იმაზე მეტს, რასაც ვერ გამოიყენებდა, ვერ გამოიტანდა საჯიხვეებიდან. განსაკუთრებული ნიშნის მქონე ნადირს: ალბინოსს, თეთრზოლიანს, ნიშა შუბლიანს, ოთხრქიანს, მკერდჯვრიანს ხომ თოფს არ ესროდა. ცრურწმენის გამო იმ არვესაც ერიდებოდა, სადაც ასეთი ნიშანდებული ცხოველი ერია. მისი მოკვლა ავის – მარცხის მომასწავებელი იყო. ხშირად მართლდებოდა კიდევ. ერთხელ გუროელმა მონადირემ – იმედამ არხოტის საჯიხვეებში, ისართლელები მკერდჯვრიანი ხარჯიხვი მოკლა, გაუტყავებლად ჩამოიტანა სოფელში და ყველას აჩვენა. მათი გვარის მოხუცმა მონადირემ ურჩია, რომ ახლავე შესაწირი საკლავით მისულიყო ხატში შეცოდების პატიებისათვის. მონადირემ ეს შეგონება თავის დროზე ვერ შეასრულა, თითქოს ამის მიზეზი იყო, რომ მომდევნო წელს მისი ძმა და რძალი ზვავმა იმ გზაზევე იმსხვერპლა. ასეთ დამთხვევებს მთაში ხშირად ჰქონდა ადგილი, რასაც შემდეგ შემცოდებით ხსნიდნენ. დიდრქებიანი ჯიხვის მოკვლაზე კი ხატი არასოდეს რისხდებოდა, რადგან თვითონაც ღირსეულ ნიშს მოელოდა. ასეთი ძღვნის ტარება მონადირესაც ეხალისებოდა. სხვა შემთხვევაში ჯიხვს თავს აჭრიდა, შიგნეულობას აცლიდა, ამსუბუქებდა, ღვიძლის მწვადს იქვე წვავდა თუ ამის შესაძლებლობა იყო, სანადიროდ წასულს სასმელი იშვიათად მიჰქონდა. ნანადირევს ტოლად იყოფდნენ, თავი და ტყავი მომკვლელს ეკუთვნოდა. შეხვედრილ ხელმოცარულ მონადირესაც არ ტოვებდნენ უწილოდ. ნანადირევის გამოსატანად ცხენს იშვიათად იყენებდნენ. ზურგით ტარება ესახელებოდათ. ვისაც ნანადირევის ტარება არ შეეძლო სანადიროდ არ მიჰყავდათ.

საქმე ის არის, რომ ამგვარად დაკანონებული ნადირობის წესს ყველა მონადირე არ იცავდა, ხატ-ღმერთისაც არაფერი სწამდათ და ხშირად იმაზე ბევრად მეტს კლავდნენ, რის გამოყენებაც შეუძლოთ. იმის დამადასტურებელი ფაქტებიც მრავალია, რომ სტუმარ-მასპინძლობის დროს სახელოვანი მონადირე-მთამსვლელების ხელით უფრო მრავლად იჟლიტებოდა და იჟლიტება ჯიხვი.

აი, რა მოგვითხრო სახელგანთქმულმა თუმი მონადირის – შოთა ბაკურიძის ღრმად მოხუცმა მამამ გიორგი ბაკურიძემ: „ავად მოსაგონარ წარსულში მრავალსულიანი ოჯახი მაწვა ზურგზე, რაც ხშირად მაიძულებდა ზამთრობით მიმეტოვებინა კერა და შორს მეძებნა სამუშაო, ამბავი, რომელსაც ახლა მოგიყვებით, 85 წლის წინ მოხდა: გვიანი შემოდგომა იყო, ბარის სოფლებში კალოობა უკვე თავდებოდა და მოახლოებული ზამთრის სიცივე ყურებს სუსხავდა. ღამღამობით თრთვილს სდებდა, კახეთის კავკასიონის ტყიანი კალთები ფოთლებისაგან იძარცვებოდა. სწორედ ისეთი დრო და ამინდი ილგა, როცა მონადირე კაცი ცდუნებას ვერ უძლებს და ხშირად აუცილებელ საქმესაც კი ტოვებს, რომ როგორმე ნადირობის ჟინი დაიცხროს. მეც ბავშვობიდანვე მიტაცებდა ნადირობა და, აი, გადავწყვიტე, რომ ამ ზამთარს ბედი ნადირობაში მეცადა.

ნაცნობი მონადირისაგან გავიგე, რომ ვიღაც მემამულე სანდონატო დემიდოვს ლავოლენის მიდამოებში იჯარით აღებული ჰქონდა დიდი სამონადირეო სავარგული, წელიწადში ცხრა-ათჯერ მთის ნადირზე სტუმრებისათვის აწყობდა ნადირობას და გამოცდილ მონადირეს ეძებდა... აღარ დავაყოვნე, თოფი კარგი მქონდა; ნაცნობი მედუქნისგან ნისიად ტყვია-წამალი ავიღე და მეორე დღესვე იმ მოიჯარადრესთან გამოვცხადდი. დემიდოვის მოურავს წარვუდექი და ჩემი სურვილი განვუცხადე.

მორიგეობის პირობა მარტივი იყო: ორი თვე ჯიხვებზე ვინადირებდი, ხორცი მთლიანად მემამულეს დარჩებოდა, ხოლო ტყავებს გავიყოფდით. რა თქმა უნდა პირობა ჩემთვის საზარალო იყო, თითქმის ათითორმეტი ტყავის ღირებულება მარტო ტყვია-წამლის ფასში უნდა გადამეხადა, მაგრამ სხვა სამუშაოს ძებნა დროის გაცდენას ნიშნავდა და მეც დავთანხმდი.

გავამზადე ჩვენი, თუშური ქუმლიანი გუდა, თოფი, ჯოხი და, ნადირობის ჟინით აღვსილი, მეორე საღამოსვე ვესტუმრე ნადირთა იღუმალებით მოცულ საუფლოს. ტყიანი ავათავე და ბინა იქვე ტყის პირას შეხვედრილ ეხში (წამოხურული კლდე) დავიდუცეხლი ავანთე, ცოტა წავიხემსე და მივწექი, რომ კარგად გამომეძინა და დილით ადრე შევდგომოდი ჩემს საქმეს.

თვალეები დავხუჭე, მაგრამ ძილი არ მომეკარა. ფიქრებმა თუშეთში

დატოვებულ ოჯახს მასტუმრა, პატარა თბილ ოთახში ჩემი მეუღლე მატყლს ჩეჩავს და თან ფეხით აკვანს არწევს. კერისპირას მიწოლილა შრომისა და ჯაფისაგან მოღლილი მოხუცი დედა, რომლის ფიქრიც დღენიადავ ერთადერთ შვილს დასტრიალებს... რა იციან, რომ მათი მარჩენალი და იმედი სადღაც დასაკარგავში კლდის ქვეშ შემძვრალა და მათზე ფიქრობს.

ფიქრებში მყოფს ჩამეძინა, შემოდგომის დიდი და გრილი ღამე, როგორც იქნა, ნათელმა შეცვალა. გათენდა და დაიწყო მონადირის ხიფათიანი ცხოვრება...

ერთი კვირის შემდეგ, ერთ საღამოს, ნანადირევით ბინაზე რომ დავბრუნდი, მოურავისაგან გამოგზავნილი ოთხი კაცი და თვრამეტი ცხენი დამხვდა. მათ შორის უფროსმა მოურავის სახელით ტყავები და ხორცი მოითხოვა და მე სასწრაფოდ სასახლეში გამოცხადება მიბრძანა.

ხორციდან უკეთესი ნაჭრები შევარჩიეთ და 48 ჯიხვის და 2 ჯიქის ტყავთან ერთად საპალნეებად შეკრული ცხენებს ავკიდეთ.

გზაში გავიგე, რომ მემამულეს საზღვარგარეთელი სტუმრები ჩამოსვლოდნენ და მეორე დღეს დიდი ნადირობის მოწყობას აპირებდნენ.

მოურავმა მემამულესთან წარმადგინა და ჩემი ერთი კვირის ნადირობის ანგარიში გააცნო. მემამულემ შემაქო და საღამო ნაძალადევი მოწყალეებასავით გადმომიგდო, მიბრძანა, რომ მზად ვყოფილიყავი და მეორე დილით მათ წავყოლოდი გეზის მცოდნედ და ნადირის მომრეკავად.

იქვე გავიგე, რომ სტუმრებს შორის ბევრი გამოჩენილი პირი და მათ შორის ოთხი ქალი იყო, რომელთაგან ერთი საფურანგეთის მეფის ძმისწული, გასათხოვარი ქალი, განთქმული მონადირე და მთამსვლელი ყოფილა.

მეორე დილით მზის ამოსვლისას სანადიროებისაკენ საკმაოდ დიდი ქარავანი – ორმოც კაცამდე მონადირე გავემგზავრეთ. მემამულე და მისი სტუმრები, კარვებითა და პურ-ღვინით პირდაპირ საყუჩარებისაკენ წავიდნენ, ხოლო ჩვენ ოთხი-ხუთი საათის შემდეგ ფარცხად უნდა შევყოლოდით ტყიან ფერდობს ძალღებით, თოფის სროლითა და ყიჟინით, რომ დამფრთხალი ნადირი პირდაპირ



მებატონეებს მისდგომოდა – იქ ეცადათ ცხვირწინ მირეკილი ნადირის მოკვლის ოსტატობა.

სადამოსათვის დაღლილებმა და ხმაჩანლეჩილებმა, როგორც იქნა, მივალწიეთ ბანაკს, სადაც თხუთმეტამდე შველი, ოცამდე ირემი, ათი არჩვი და ოცდაათზე მეტი გარეული ღორი მოეკლათ, ერთად შეეგროვებინათ და ილბიანი ნადირობისაგან გახელებული მებატონეებისათვის უკვე სუფრა გაეშალათ, ირმისა და შვლის მწვადებს შიშხინი გაჰქონდა. წითელღვინიანი ჭიქები სწრაფად გადადიოდა ხელიდან ხელში და ისედაც სისხლსავსე ჩაჟიჟილებულ მებატონეებს ჭარხალივით აწითლებდა.

როგორც გამოირკვა, ყველაზე მეტი ზემონახსენებ მონადირე ქალს მოეკლა, მის ანგარიშზე ექვსი ირემი, ოთხი შველი და ოთხი ტახი მოდიოდა.

კაცი ძნელად დაიჯერებდა, რომ ეს სიფრიფანა, ლერწამივით ტანწვრილი და იფნის სახრესავით მოქნილი ქალი თოფის სროლას შესძლებდა.

ის ღამე ბატონებმა თავიანთ მდიდრულ კარვებში გაათიეს, ხოლო ჩვენ, როგორც ყოველთვის, ღია ცის ქვეშ დავიძინეთ.

მეორე დღით სტუმრებმა, განსაკუთრებით კი პრინცესამ (ასე უწოდებდნენ მონადირე ქალს) ინება, რომ ნადირობა უფრო ზევით, ჯიხვების სამყოფელში გადაგვეტანა. სამი ქალი, მამაკაცების უმეტესობა, მათ შორის მასპინძელიც, კარვებში დარჩნენ. ისინი იქვე, სხვა მხარეს გააგრძელებდნენ ნადირობას, ხოლო პრინცესა და სამი ახალგაზრდა – ერთი მასპინძლის ვაჟი, ახალგაზრდა ოფიცერი და ორი ევროპელი სტუმარი (როგორც გავიგე, ერთი პრინცესას საქმრო იყო) ბატონმა მე ჩამაბარა და მიბრძანა ჯიხვებზე სანადიროდ წამეყვანა.

მე მოკრძალებით შევკადრე, რომ იქ საშიშია, ძნელია სიარული და სტუმრები, განსაკუთრებით ქალი ამას ვერ შეძლებდა. როდესაც მათ ჩემი ნათქვამი გადაუთარგმნეს, პრინცესამ გაიცინა და თარჯიმნის ენით მიპასუხა: მე ევროპის ყველა მნიშვნელოვანი მწვერვალი დამიპყრია, ალპებსა და კარპატებში ვყოფილვარ, მთაშვლელი მონადირე შვეიცარიელები დამიჯაბნია და ამ უბრალო მთებს როგორ შევეუშინდებიო! სიამაყე გამოკრთოდა დანარჩენთა ზვიად გამოხედ-

ვაშიც და მეც უწყომანოდ ვიკისრე მათი მეგზურობა.

პრინციპსას ორლულიანი თოფი (ასეთი პირველად ვნახე მაშინ) და სანადირო ჭოგრიტი გამოვართვი, გადავიკიდე და წინ გავეუბეხი.

აღმართი ავიარეთ, იქიდან მარცხნივ, სამზირი გორისაკენ გავუხვიეთ და ათი საათისათვის უკვე ჯიხვთა საუფლოში ვიყავით.

ჭოგრიტით დავხვერეთ და ჩვენგან ორიოდე კილომეტრის დაშორებით, ქარაფიან კლდის თავზე, კალოსტოლა მწვანე ადგილზე ოცდათვრამეტამდე ჯიხვი შევნიშნეთ. ისინი, უკვე მადღრები, მწვანეზე დაყრილიყვნენ და სიმშვიდით აბრუნებდნენ ბორბალა რქებით დამძიმებულ კისრებს. ეტყობოდა არავითარ საფრთხეს არ გრძნობდნენ და უზრუნველად ეძლეოდნენ განცხრომას.

ჯიხვებთან მისასვლელად ძნელად სასიარულო ქარაფიანი მისასვლელი ავირჩიე, რათა მათი „კეთილშობილური“ ზვიადობა ჩემი მთიური სიამაყის წინაშე წამოჩოქილი მენახა და მონადირული თავმოყვარეობა დამეკმაყოფილებინა.

სიარული ვაჟებს უფრო გაუჭირდათ, ამიტომ მათ გეზების შეკვრა დავავალეთ. მე და პრინციპსამ კი, მისი სურვილის თანახმად, თავდავლა და ნადირის მირეკვა ვიკისრეთ.

წინ მივდიოდი, ქალი ქურციკის სიმარჯვით მომდევდა, ჩემს ნაკვალევზე დგამდა ფეხს და ხელსაც სწორედ კლდეში გამოშვერილ იმ ქვებს ავლებდა, რასაც რამდენიმე წამის წინ მე ვეჭიდებოდი.

ჯიხვებს ფრთხილად რომ მივუახლოვდით, სათოფეზე ცოტა შევისვენეთ, ქალი კლდის შვერილს მიეყრდნო და გამიღიმა. მე ჯიხვები ვაჩვენე და შევთავაზე, პირველად მას ესროლა. მადლიერი თვალთ შემომხედა, თავი დამიკრა და თოფის ნიშანს გახედა. გაისმა ორი გასროლა და თოფის ხმაზე წამომხტარმა ორმა ხარჯიხვმა იქვე ჩაიჩოქა. მანამ სროლისაგან გზააბნეული ჯიხვები თვალს მიეფარებოდნენ, ორჯერ ჩემმა ბერდენკამაც დაიქუხა და ორი ჯიხვი გორვით დაეშვა ხევისკენ.

პრინციპსას მიერ მოკლული ჯიხვები სასწრაფოდ დავაგორე და ჩვენც თავქვე დავეშვით...

ჯიხვები გავატყავე და ჩვენებიც შემოგვიერთდნენ. მირეკილი ფარიდან ორ-ორი მათაც მოეკლათ.

ბანაკიდან გამოგზავნილმა ათმა კაცმა ხორცი, ტყავები და ქალისაგან მოკლული დიდი ხარჯიხვების თავები აიკიდეს და ბანაკისაკენ დავეშვიტ. დახოცილ ცხოველებს დღევანდელი ჩვენი ნანადირევი ჯიხვებიც მიემატა და წასასვლელად ავიშალენით“.

აქედან აშკარად ჩანს, რომ ჯიხვს როგორც შინაური, ისე უამრავი გარეშე მტერი ჰყავდა, როგორ თავის ნებაზე არღვევდნენ ნადირობის წესებსა და ნორმებს; გართობისა და რეწვის მიზნით პირველ რიგში როგორ სპობდნენ საუკეთესო ეგზემპლარებს და ისეთ ძვირფას სამეურნეო ცხოველს, როგორიც ჯიხვია. ძნელად სანადირო ადგილებში, სადაც თვითონ ვერ მიდიოდნენ, დაქირავებულ მონადირეებს თვეობით აგზავნიდნენ.

ამგვარმა დაუზოგავმა ნადირობამ საბოლოოდ უარყოფითად იმოქმედა ამ ცხოველის რიცხოვნობაზე.

აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი თავის წიგნში „მკერდში დაჭრილი ბუნება“ აღნიშნავს: როგორ არ შემცირდებოდა ნადირი, როცა 1935 წლისათვის ომალოელ თუმ მონადირე ინაურიძეს მოკლული ჰყავდა 350 ჯიხვი, მის ძმა ლაზარეს 175 ჯიხვი. ისინი ასახელებდნენ მონადირეებს, რომელთაც თოფი ხუთჯერ დაემარხათ, ე. ი. 500 ჯიხვი მოეკლათ.

სამჯერ ხომ ჩაგფალ მიწაში,

სამი ვათავე აზარი,

ერთილა მიკლავ მეოთხეს,

შენი საფლავიც მზად არი. (ვაჟა-ფშაველა)

ასეთი მონადირეები ხევესურეთშიც იყვნენ: ბლოელ ნადირა გიგაურს თოფი ხუთჯერ დაუმარხავს. ამბობენ: „ნადირამ ხუთჯერ აათავა აზარი და იმიტომ ვერ წაუვიდა კარგად საქმე მის შვილობლოსო“. თურმე საქორწინოდ მოყრილი ხუთი ვაჟიშვილი ისე დაელუპა, ძე არ დარჩენილა. ბევრი ნადირის ხოცვა მაინც დიდ ცოდვად ითვლებოდა მთაში. მათ ხომ თავიანთი პატრონი ჰყავდათ უფლისაგან მიჩენილი „მწყემსი ქალის – დალის სახით: „ნადირს გაულეუტ ცოდვას იზამ, ბელს შინიდან გამოხიზავ“.

ნადირთ მწყემსის განაწყენება დაუშვებელი იყო, ამით აიხსნებოდა ის, რომ ნადირობით უზომოდ გატაცებას, სიხარბესა და სახიფათო სანადირობებში სხვა არაწესიერ მოქცევას ხშირად მარცხი

მოჰყვებოდა. ამას გვიდასტურებს მრავალი ხალხური თქმულება:  
ახვედ და ველარ ჩამოხვედ,  
ნადირთ მწყემსნ დაგწყევლიანო.

ან:

ჯარჯივ ნუ მისდე ჯიხვებსა,  
მაგინელებენ ტიალნი.

ეს ცოდვები შემდეგაც რომ არ მოსწეოდათ, ყოველი ასი ჯიხვის მოკვლის შემდეგ მიწაში მარხავდნენ თოფს, რომ ეს ცოდვები როგორმე მიწისათვის მიეზარებინათ, ჩამოეცილებინათ თავისა და შთამომავლობისათვის. ბევრს კი თითქოს ამ ცოდვებმა მართლაც უწია. თავზე დამტყდარ უბედურებას, რაც მონადირის ხიფათიან ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული, ამას მიაწერდნენ, ზოგჯერ უშვილობას და გვარის გადაშენებასც ამ მიზეზით ხსნიდნენ. ასეთ შემთხვევაში რეალობა ხშირად უპირისპირდებოდა ყალბ რწმენას და მალე თვითონ რწმუნდებოდნენ და სჯეროდათ, რომ ცოდობრალი არსებობდა. ამგვარ ცოდვებს ხშირად ხატისათვის შენაწირი ძღვენი არაფერს შველოდა. ბუნებაში გონივრული მოქმედება იყო საჭირო. ამიტომ იყო, ალბათ, რომ ბოლოს თოფის დამარხვა ფორმალურად სრულდებოდა, იგი თავის ძველი რწმენისა და ხატის მოჩვენებით მოტყუებას უფრო ნიშნავდა. მონადირე დამარხულ თოფს მიწიდან მესამე დღეს ისევ იღებდა ან თოფს იცვლიდა, ნადირობას კვლავ აგრძელებდა და მოკლულ ნადირსაც თავიდან ითვლიდა. სათვალავში მხოლოდ დიდი ხარჯიხვები შედიოდა, პატარა და ფურ-ჯიხვები არ ითვლებოდა.

გარდა იმისა, რომ ამგვარი ნადირობით უამრავი ნადირი ნადგურდებოდა, საუკეთესო ნარჩევი დიდრქებიანი, საჯიშე ეგზემპლარების მოსპობა თაობათა დაკნინება-გადაგვარებას იწვევს, მაგრამ კავკასიონზე ჯიხვს ფართო არეალი აქვს მრავალფეროვანი ეკოლოგიური უბნებით, მისი გავრცელება სხვა მხრივ არ იზღუდება და ამან გადაარჩინა.

ეს საქმე თავიდანვე რომ მოწესრიგებულიყო და მეცნიერულ საფუძველზე წარმართულიყო, დღეს, უდავოდ, მეტ სარგებლობას ვნახავდით, ეს ცხოველი მეტად გამოადგებოდა ჩვენს ერსა და კაცობრიობას, რადგანაც ჯიხვზე სპორტულ ნადირობასა და

ბუნებასთან ახლოს ყოფნას თავისებური უდიდესი შთაგონებითი და აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს. ამის უკვდავი მაგალითია რაჭა-სვანეთის, ხევის, ხევსურეთისა და თუშეთის მონადირეების ლეგენდად ქცეული თქმულებები, ბალადები და ლექსები. ჯიხვის გამო მკაცრ ბუნებასთან ურთიერთობა ყველაზე მეტად ამ კუთხეების მთათა ხეობებში ჰქონდა ადამიანებს. მთაში, კერძოდ, ხევსურეთსა და სვანეთში ჯიხვზე ნადირობის გარდა, ნადირობა და მონადირე თითქმის არც არსებობდა. ლიტერატურაში და ხალხურ პოეზიაშიც ასეა – ფშავში ირემზე ნადირობასა და რაჭაში დათვზე ნადირობის ამბავს თუ მოიხსენიებენ. ადვილად სანადირო ნადირზე: ღორზე, შველზე, არჩვზე კურდღელსა და ფრინველზე ნადირობას ვაჟკაცობად არ თვლიდნენ, რადგან სიძნელეებთან არ იყო დაკავშირებული და ამიტომ სპორტულ-შთაგონებითი ინტერესი არ ჰქონდა.

ჯიხვი და საჯიხვეების ბუნება თავისებურად მასწავლებლობდა, წვრთნიდა, ჯანსაღ ახალგაზრდობას ზრდიდა და თავის მიწა-წყლის სიყვარულს მემკვიდრულად უნერგავდა თაობებს. საჯიხვეების საღმა კლდეებმა და ჯიხვზე ნადირობამ საქართველოში დასაბამი მისცა ალპინიზმის განვითარებას და სახელოვანი მთამსვლელების აღზრდას. ამის მაგალითად მართო ხერგიანების, ჯაფარიძეების, კვიციანების, ნიგურიანების, გურჩიანების, კახალიკაშვილების, ქირიკაშვილებისა და სხვათა გვარების განხელებაც კმარა.

საჯიხვეებში პოეტური მუშებიც ლაღად იბადებიან. ამას გვიდასტურებს არხოტის ხეობაში მონადირეებისვე ტრადიციულად მომდინარე ბუნების პიეზია, სასიმღერო რიტმზე აწყობილი, შეუღარებელი საგმირო-სამონადირეო ხალხური ლექსები:

ოხერო ჩვენო ტერლაო,  
მიჯნაო ქისტებისაო.  
შიბწვერო გადასავალო  
მაგლილო ჯიხვებისაო.  
ბევრ მონადირე გინახავ,  
დილაზე ცისპირძვრისაო,  
თოფიან-ღურბინდიანი,  
მაგალი წვერის ძირსაო,

ფეხზე ფოლადის წრიაპი  
ნათოს დაღაღას კლდისაო. (ხალხ.)

ამ ხეობის საჯიხვეები – მომხიბლავი ბუნება თავისებურად რომ შთააგონებდა და ზეადამიანურ გრძნობებსაც უნერგავდა ამის შემგრძნე ადამიანს, ამის დამადასტურებელი მაგალითებიც ბევრი გვაქვს: ერთ დროს ჯიხვეებზე სახელგანთქმულმა მონადირემ, გველისმჭამელმა ხოგაის მინდმა, აქ ამოიღვა ზებუნებრივი ენა და ბუნების გრძნეული დამცველი გახდა, აქაა მისი ხატის ნაკრძალად ქცეული სამუხეუმო სანლ-კარი, ტყე, რომლის შუაგულში ის უზარმაზარი, ამჟამად წვერ-გამხმარი ფიჭვი ისევ დგას, რომელსაც „მცველად თურმე გველი ჰყავდა შემოხვეული“. ის ხიდი კი, რომელზე გასვლისას ბუნების ცოდვებისაგან განწმენდილი, ბუმბულივით დამსუბუქებული მინდია რომ არ გადავარდნილიყო, უბეში ქვას რომ იდებდა, წყალს წაუღია. დაგვრჩა მხოლოდ მისი კვალის ფოტოსურათი.

ამ ხეობის საჯიხვეებში დაიხვეწა ვეფხვისა და მოყმის ბალა-დაც. პირშიშველა მოყმის თვალცრემლიანი დედაც ხომ აქ იარე-ბოდა, რომ ვეფხვის დედისათვის სამძიმარი ეთქვა:

იქნება ვეფხვის დედაი  
ჩემზე მწარედა ტირისა.  
წავიდე, მეც იქ მივიდე,  
სამძიმარ უთხრა ჭირისა.  
ის თავის დარდებს მიაბობს,  
მეც უთხრა ჩემი შვილისა.

საინტერესო ის არის, რომ გასულ წლებში, ასას საჯიხვეებში – თათელის ღელეში მყეფრთ ყურეში და ბერხნის საჯიხვეებში მონადირეებს რამდენჯერმე შეხვდა ჯიქი (აქ მას არასწორად ვეფხვს უწოდებენ) და ვეფხვისა და მოყმის ბალადის ამბავი კვლავ განმეორდა. „როცა 15-20 მეტრის მანძილიდან, კლდის ქიმზე გაწოლილ, ნახტომისათვის მომზადებული ჯიქის ნაკვერჩხალივით ანთებულ თვალებს პირდაპირ შევხედე, მართლაც თვალნი მარისხნა ღვთისანი, ჯერ ერთ ადგილას გავშემდი, კარგახანს თოფის მობრუნებაც ვედარ მოვახერხე, რომ შემეძლოს ერთ ლექსს მეც დავწერდიო,“ – გვითხრა ამლიონმა მონადირემ უნცრუამ. თურმე ჯიქიც ისე ეპარე-ბოდა ხარჯიხვეებს, როგორც მონადირე და ორივენი ერთ ასასვლელ

ბილიკზე შეიყარნენ. ჯიქმა გაცლა იუკადრისა, დარწმუნებული იყო, რომ ამ არემარეში მასზე ძლიერ მეტოქეს არ შეხვდებოდა. როგორც ირკვევა, ეს ცხოველი ტყუილად გვგონია გადაშენებული.

აქ ის ბინადრობს და ჯიხვის წყალობით დღემდე შესანიშნავად ინახავს თავს. მართალია, ბუნებას ამშვენებს, შეტანილია „წითელ წიგნებშიც“, მაგრამ უდიდეს ზარალს აყენებს ჯიხვს, ნიამორსა და არჩვს. მე საშუალება მომეცა ფირზე აღმებეჭდა მისგან კლდეებზე გადმოჩეხილი ჯიხვის ჩონჩხები და ინგუშ ეგერ-მონადირის მიერ ასას ხეობაში მოკლული ჯიქის ქურქები. მას თეთრ-ნათელ ფონზე შავი ლამაზი ხალებით მოქარგული ერთ მეტრამდე სიგრძის შოლტივით გრძელკუდიანი ტანი აქვს. ასეთი სხეულის გამო აქვს მას შერქმეული სახელწოდება „ლეოპარდი“, რაც ინდურად “ლომ-გველას“ ან „გველკუდა ლომს“ ნიშნავს.

საჯიხვევებით და თანაბარი ფორმაზომის „რქაჯანგიანი“ ჯიხვებით ოდითგანვე განთქმული იყო არხოტის ხეობა, სალოცავებში შენაწირი ზოგიერთი რქის სიგრძე 100 სმ-ს აღწევს. ალბათ, აქაურ ერთ-ერთ სოფელს ამიტომ შეარქვეს ახიელი, რაც ქისტურად „საჯიხვეს“ ნიშნავს და ცხადია, ჯიხვზე კარგი მონადირეებიც აქ უფრო იზრდებოდნენ. სოფელ ამლის ერთ-ერთი სალოცავის (რკენას) წინა კედელი შემკობილია ერთმანეთის მჯობი, უამრავი ჯიხვის რქებით. ამდენივე რქები ეკლესიის შიგნითაა მიყრილი. სამწუხაროა, რომ ეს უნიკალური სამუზეუმო ტურისტული სანახაობითი სამეცნიერო ღირსების მასალა ასე უპატრონოდ ყანდრდება და იკარგება, იმ დროს, როცა სხვა უკეთესი არ გაგვაჩნია. თანაც ეს ხატიც, როგორც ზოგაის მინდის კერა, ახალი რესტავირებულია. აქ გადის ხამხის ხეობის ეკოტურისტული მარშრუტი და ჯერაც არავინ იცის ამ ცოცხალი მუზეუმის ღირსების შესახებ, რომ აქ მჟღავნდება ჯიხვის ყუბანურ-თებერდული წარმოშობა, ფორმათა გავრცელების საზღვარი, ტყისა და კლდის სავარგულის ეკოლოგიური გავლენის უპირატესობა.

შუა ადგილას მოთავსებული წყვილი რქა შუამავალ ფორმათაშორის ყველაზე დიდია. მისი სიგრძე 1 მ-ს აღემატება, სიგანე – 20 სმ-ს აჭარბებს. ამ რქების შესახებ ასეთი თქმულება არსებობს: როცა ეს ჯიხვი არხოტის საჯიხვევებში გამოჩნდა, მონადირეებმა მოს-

ვენება დაკარგეს, მაგრამ ერთმანეთს არ უმხელდნენ ნანახს. ცალ-ცალკე კი ყველას დიდი სურვილი ჰქონდა მისი მოკვლისა. მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ბოლოს ერთი სოფლიდან ორი ცნობილი მონადირე ისე წავიდა ამ ჯიხვზე სანადიროდ, მიზანი ერთმანეთისათვის არ გაუმხელიათ. ორივე თითქოს შემთხვევით აღმოჩნდა იმ ჯიხვების ფარასთან, სადაც ეს გოლიათი ხარჯიხვი ერია. აქ კი წესის თანახმად წილი ყარეს: უფრო ახალგაზრდა მონადირეს (ჩინგლათ აბას) ჩასაფრება ხვდა წილად, ხირჩლას მორეკვა. მომრეკავს, რა თქმა უნდა, გული დაწყდა, რადგან მხოლოდ ჩასაფრებულს მოუწევდა ნადირისათვის სროლა. ემძიმებოდა სხვისთვის „მიერთმია“ საოცნებო სამსხვერპლო. კარგად იცოდა, რომ დამფრთხალი ჯიხვის ფარა სათოფეზე არ მიიკარებდა მომრეკავ მონადირეს. ამგვარად, სამი-ოთხი წელი სდია პირდაპირი მისვლით მარტომ თურმე ამ ჯიხვს, მაგრამ სასროლ მანძილზე ვერასდროს მოიხელთა. ახლა კი გრძნობდა, დიდი ხნის ოცნება წყალში ეყრებოდა. მაგრამ მაინც გაიფიქრა, რომ მისი ამხანაგი მას სხვა დიდ ხარჯიხვებში ვერ გაარჩევდა ან ახალგაზრდა მონადირეს მოთმინება და გამოცდილება არ ეყოფოდა და პირველად მისულ ჯიხვს ესროდა. პირველად კი ეს დიდი ჯიხვი არ მივიდოდა, რადგან სისწრაფეში სხვები სჯობნიდნენ. ის ყოველთვის თავისებურად იქცეოდა, ფარის შუაგულში ტრიალებდა, შორს არ სცილდებოდა, ზოგჯერ საძოვარზე ყველაზე ბოლოს, შებინდებისას გამოდიოდა, მაშინ როცა თოფის ნიშანი აღარ ჩანდა. ფიქრობდა, რომ თოფის გასროლის შემდეგ ჯიხვები ერთმანეთში აირეოდნენ, თავს უშველიდნენ და მისი საოცნებო ჯიხვიც გადარჩებოდა. ამით დაიმედებულმა, ნადირობის წესს ვერ უღალატა, ჯიხვები დააფრთხო და მონადირისაკენ წასულ ფარას ჭოგრით დაუწყო ყურება. დიდ ხარჯიხვს თვალს არ ამორებდა. როცა ჯიხვები ჩასაფრებულ მონადირეს მიუახლოვდნენ, შეატყო, აბა სროლას აგვიანებდა, შური მოერია, კელარ მოითმინა და ტყუილად დაუძახა: „აი, ეგ პირველი, რომ მოდის ყველაზე დიდია, ესროლეო“. ჩასაფრებულმა მონადირემ ვითომ ვერ გაიგონა, არ ესროლა. ჯიხვი გაატარა. მას მერე, მესამე ხარჯიხვიც მიჰყვა. მიმრეკავი მიხვდა, რომ მოტყუვდა, მაგრამ კიდევ რამდენჯერმე დაუძახა: „აი, ახლა რომ მოდის, ეგ ყველაზე დიდია, არ გაუშოო“ და ბოლოს გულახდილობა არჩია, ხატ-ანგელოზი დაარისხა: „მაგ ჩემ



ჯიხვს თუ ესროლე, გაგიწყრას არხოტის სალოცავებიო“, მაგრამ ჩასაფრებული მის ყვირილსა და მუდარას ყურადღებას არ აქცევდა, არ ჩქარობდა და ისიც სწორედ იმ „ბერხენს“ ელოდებოდა, რომლის ღვენაშიც ნაკლები ჯაფა არც მას დასგომია თურმე. და, აი, როდესაც უზარმაზარქებიანი ხარჯიხვი მიუახლოვდა აბას, თოფი მხოლოდ მაშინ გავარდა. თოფის ხმის ექო ჭიუხებში ჩაიკარგა და მონადირის დაუოკებელი სურვილიც თან გაიყოლა. მიმრეკავმა თავის საოცნებო ხარჯიხვი დაგორებული რომ დაინახა, ამხანაგს შესძახა: „ჩემი ცხოვრების ერთადერთი მიზანი ეგ იყო, ეგაც შენ წამართვი, შენი ამხანაგობაცო“... აილო გუდა-ნაბადი, მეგობარი და მისი ნანადირევი კლდეებში მიატოვა, უსიტყვოდ გამობრუნდა. ამხანაგმა დაუძახა: „რა მოგივიდა, შე კაი კაცო, დაბრუნდი, ნანადრევს აქ ხომ არ დავტოვეთ, წალება უნდაო“. განაწყენებულ მონადირეს მისი ხმის გაგონებაც არ უნდოდა. ისე დატოვა იქაურობა, უკან ერთხელაც არ მიუხედავს.

ამბობენ, მას შემდეგ იმ მონადირემ ნადირობისადმი ინტერესი დაკარგა, ნადირობას თავი დაანება და თქვა: „ვინემ არხოტის საჯიხვეებში იმაზე დიდრქებიანი ხარჯიხვი არ გაიზრდება, სანადიროდ არ წავალ, ეს ხატმაც გაიგოს და ხალხმაცო“. ამ ფიცს ახიელელი ხირჩლა ცისკარაული მტკიცედ ასრულებდა თურმე:

წავიდა ის დრო, როდესაც  
საჯიხვეებში ვმღეროდი.  
რიჟრაჟზე გაღვიძებული,  
ჭიუხებს გადავცქეროდი.  
ესუნთქავდი ხევსურეთითა,  
ვცოცხლობდი საქართველოთი. (ხალხ.)

მალე რუსეთ-იაპონიის ომიც დაიწყო და იმ მთის წარაფებზე გაწვრთნილ მონადირეს (სხვებთან ერთად) რუსების მიერ დატყვევებით გატაცებულს იაპონელ სამურაებთან ხმალდახმალ ბრძოლა მოუწია. ხევსურების სიმამაცემ და ბრძოლის ტექნიკამ იაპონელები გააოცა. ახიელელ ხირჩლა ცისკარაულს შინ დაბრუნება აღარ ეღირსა. ძმადშეფიცულებს სიმამაცის ძეგლი მტერმა იაპონელებმა დაუდგეს (ჟურ, „გზა“, №7, გვ. 42).

მე მაინც არ დავბრუნდები,  
განა ქალივორ თმიანი,

თუ მავკვდი დამილოციდით,  
ბოთლათი არაყიანი. (ბუბა ბლოელი)

დიდრქებიანი ხარჯიხვი კი არხოტის საჯიხვეებში მხოლოდ  
ახლალა გამოჩნდა. მისი მოკვლით ყველა იქაური სტუმარად  
ჩასული მონადირეა დაინტერესებული. სამჯერ ესროლეს, მა-  
გრამ ტყვია ვერ მიაკარეს.

თავიანთ სურვილს არც ახლა უმჟღავნებენ ერთმანეთს არხოტელები:  
ბებერი მონადირე ალექსი ოჩიაური და ახალგაზრდა მონადირე ლეო  
ჯაბუშანიანი. ისინი თურმე ერთმანეთს იმით უშლიან ხელს, რომ  
სანადიროებისკენ გამავალ მდინარეზე გადებულ საცალფეხო ხიდებს  
წყალში აგდებენ, რომ მონადირემ დიდი ხარჯიხვის ადგილსამყო-  
ფელში მისვლა ვერ შეძლოს. ამ ხიდზე გადაჯდომით გავლა ჩვენც  
მოგვიწია. ლევენდა თითქოს ცოცხლდება ხელმოცარული ნადირო-  
ბის სასიამოვნო მოგონებებიც აქვე კაფიად იბადებიან:

ის როგორ იყო, ის როგორ,  
ფსიქმ ჩამოგვჩხავლა ზენითა,  
კალმახების მჭამლებო  
თოფებში ჩავიფსენითა. (ა. ჭინჭარაული)

ასე ფარულად და ცხადლივ ეჯიბრებოდნენ და ეჯიბრებიან  
ჯიხვზე ნადირობაში ერთმანეთს ლექსობით წაქეზებული, სტუ-  
მარ-მასპინძლობით დავალებული ბებერი და ახალგაზრდა ნარ-  
ჩევი მონადირეები და, ცხადია, ჯიხვი მხოლოდ გაუვალმა სალმა  
კლდეებმა და მარად თოვლიან-ყინულიანმა ჭიუხებმა, თოვლმა და  
ზვავების საშიშროებამ გადაარჩინა ადამიანისაგან განადგურებას.  
მიუხედავად ამისა, ადამიანმა მის მოდგმას საკმაოდ დიდი ზიანი  
მიაყენა. მაგრამ, საბედნიეროდ, დღევანდლამდე მაინც შემორჩა. იგი  
თითქოს კავკასიონთან ერთად დაიბადა, გამოიწროთო და კავკასიო-  
ნის მწვერვალებთან ერთად ბერდება.

შორით გავხედავ ჭიუხებს,  
ყინულით მოელვარესა.  
კავკასიონის მწვერვალებს,  
ჯიხვების საბუდარებსა. (ხალხ.)

ჯიხვს განსაკუთრებით მას შემდეგ გაუჭირდა და დაიწყო მისი  
რიცხოობრივი შემცირება, რაც მთაში ხრახნილიანი შორსმსროლე-

ლი ავტობიოგრაფიული იარაღი გაჩნდა, ამასთან ვერტმფრენმა დიდად გააადვილა ჯიხვზე ნადირობა და მონადირეებიც გამრავლდნენ. განუკითხავი ნადირობით სტუმარ-მასპინძლობა, ავტობიოგრაფიული შეიარაღებულნი ხშირად მთელ არვეს ანადგურებდნენ. დიდი ხნის წინ ნადირობის აზარტში შესულმა ყაზბეგელმა მონადირემ ხდეს ხეობაში საფარში მისული ჯიხვებიდან არც ერთი არ გაუშვა, თანამედროვე იარაღით ხუთ წუთში თორმეტი ჯიხვი მოკლა; შატილიონმა მონადირემ მაციების საჯიხვეებში – ცხრა; თუშმა ცხვრის მწყემსმა ლაროვანის მთაში ერთ დღეს შვიდი ხარჯიხვი ისეთ კლდეზე გადაჩეხა, რომ ვერც ერთი ვერ ამოიტანა. მსგავსი ფაქტები უამრავია, აი, თანამედროვე იარაღის სიკეთე შეუგნებელი მონადირის ხელში. ეს ნამოქმედარი შემდეგ თვითონაც ზარავდათ:

ჯიხვს რომ თოფს დახკრავ, ჩააქცევ,  
კაცივით აგმინდებისა.  
უაზრებ ჯიხვის თვალებსა  
თაოდავ დაგნანდებისა. (ხალხ.)

სახელგანთქმული მთაშველელი-მონადირე ვახტანგ ქირიკაშვილი ბევრი ნადირის ხოცვაზე უდიდეს გულისწყრომას გამოთქვამდა, თან იქვე დასძენდა:

ცუდი ყმა მოხეს ვერ წავა,  
ნადირს ვერ მახკლავს მთისასა,  
თუ მაკლა, ვერ გაატყავებს  
ჯიხვმოზვერს ბატობისასა,  
რო მაეზიდას, ვერ მაჰგლეჯს  
სასულას ხარჯიხვისასა. (ხალხ.)

გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში, მთის ცალკეული სოფლებიდან ბარში მიგრაციის გამო, ჯიხვზე ნადირობა თითქმის შენედა, რამაც ხელი შეუწყო ამ ცხოველის ხელახლა მომრავლებას. ჯიხვის რაოდენობამ განსაკუთრებით იმ უბნებში იმატა, სადაც მოსახლეობა არ არის და ტრანსპორტი ვერ უდგება. ამის ნიშნად არხოტის ხეობა. აქ ჩასვლა დღემდე ძალიან ჭირდა, განსაკუთრებით ჯიხვზე ნადირობა, მაგრამ ახლა აქაც შვეულმფრენით, ცხენით, ადგილობრივი მონადირეების დახმარებითა და ხელშეწყობით ად-

ვილად ახერხებენ და აკრძალულ დროსაც თავის ნებაზე ნადირობენ. ასეთ ავტორიტეტთან მონადირეებს არც სხვაგან ეშლებათ ხელი. პირიქით, ადგილობრივი სოფლის თავკაცები და მონადირეები ყველგან დიდი პატივით ხვდებიან, მიპატიჟებულებს ნანადირევს გულუხვად ატანენ. ასეთი სტუმარმასპინძლური ნადირობის შემსწრე გახლდით პირადად: ყაზბეგში – თრუსოსა და ხდეს ხეობებში; არხოტში – ასას ხეობაში; შატილში – არლოტში, თუშეთში – დიკლოსა და ჩილოს ხეობებში, ალაზნის სათავეებში – სპეროზას მთაში; თელავყვარლის მიჯნაზე – საბუის მთაში ყვარლის-ღურუჯისა და ბურსის ხეობებში; ლაგოდეხის ნაკრძალის მოსაზღვრე – კაბალის ხეობის სამონადირეო მეურნეობაში; ლიახვსა და ქსნის ხეობათა სათავეებში, სვანეთ-სამეგრელოს ქედზე; აფხაზეთში – გუმისთის ხეობებში და სხვაგან, განსაკუთრებით თუშეთსა და მის მოსაზღვრედ, საჯიხვეებსა და სანიამორე ადგილებში მდებარე ლეკების სოფლებში (ქიონი, ხუშეთი, ჭერო) შეინიშნება. აქ ბევრმა არც იცის, რომ მცირეყალიბიანი შაშხანის შენახვა და ნადირობა აკრძალულია, რომ ჯიხვისა და ნიამორის მოკვლისათვის, თუნდაც თიკანი იყოს, მონადირე სისხლის სამართლის კანონით ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯებოდა, იარაღი ერთმეოდა და ჯარიმდებოდა.

ამ საკითხების გაცნობიერება – პროპაგანდა მოსახლეობაში საერთოდ არ ხდება.

ჯიხვს მრავალმხრივი ზრუნვა და ყურადღება დღეს უფრო სჭირდება. მისი გასაჭირის დანახვა და დახმარება პირველ რიგში ისევე მონადირეს შეუძლია, რადგან იგი ყველაზე ახლოსაა ჯიხვთან, იცნობს მის ბუნებასა და ადგილსამყოფელებს. კეთილშობილი მონადირე ხომ ნამდვილი ბუნების შვილია, გრძნობს ბუნების სილამაზესა და მნიშვნელობას, მასზე ზრუნავს, უფრო ხილდება ეროვნულ განძს, ყოველთვის იღვწის მის დაცვასა და მოვლა-პატრონობაზე. განა ამის მაგალითი არ გახლდათ ის, რომ კეთილსინდისიერი მონადირე ამ ბუნების სიმდიდრეს უფრო ხილდებოდა, მიუხედავად ნადირის სიმრავლისა, ზომიერებას იცავდა – ერთს, იშვიათად ორს, იმასაც მხოლოდ დიდრქებიან „ბერხენ“ ხარჯიხვს კლავდა სახელისათვის. ან ის, რომ თავის სანად-

იროებში უცხოს არ გააჭაჭანებდნენ და შემოჭრილზეც ხშირად  
ისე ნადირობდნენ როგორც ნადირზე:

არხოტის ვიწრო ხეებო,  
შეღებილებო სისხლითა...  
წინიდგე ძალით ნაჭერნო,  
თოფით, ხმლითა და ისრითა. (ხალხ.)

1979 წელს შატილიდან არდოტელმა მონადირეებმა ჯიხვის  
ქეცით დაავადების შესახებ ვრცელი წერილი მისწერეს აკადემი-  
კოს ნიკო კეცხოველს (ამის შემდეგ, 1983 წელს, შამილ შეთეკაუ-  
რმა და გოგი ლიქოკელმა მაისტის მთაში ქეცით დაღუპული  
ჯიხვის თიკნები კიდევ ნახეს). ისინი სწორად მოიქცნენ, როცა  
თავის ვინაობის გამხელას არ მოერიდნენ და დროულად აცნობეს  
სათანადო ორგანოს – ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეო-  
ბის მთავარ სამმართველოს, ბუნების დაცვის სახელმწიფო კო-  
მიტეტს. სამწუხაროდ, სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძ-  
იება არავის ჩაუტარებია, პირიქით, ისევ მონადირეების დასჯა  
მოინდომეს. ჯიხვის ბედი მხოლოდ ბუნებას მიენდო... ამის შემდეგ  
ჯიხვის ქეცით დაავადებების შემთხვევები აღინიშნა არხოტში,  
თუშეთში და ამ უბნებში ჯიხვის რიცხოვნობამ მკვეთრად იკლო.  
1983 წლის დამდეგს ყაზბეგელმა მონადირე ბუნების ქომაგმა  
იორამ ლულუშაურმა ახალი (ეროზირებული) დაავადებით დაშ-  
ლილი სამი წყვილი ზრდასრული ჯიხვის რქა ჩამოიტანა თბი-  
ლისში და ამ სატკივრის გამხელისათვის ისიც დიდ უსიამ-  
ოვნებას გადააწყდა. მას ერთხანს მხარი მხოლოდ საქართველოს  
ბუნების დაცვის საზოგადოებამ დაუჭირა და დაავადების შესას-  
წავლად მხოლოდ ერთი ექსპედიცია მოაწყო ყაზბეგის რაიონში.  
მისი მონაწილე მეც გახლდით და ძალიან გავოცდი, როცა ხდესა  
და თარგმანის წყლის ხეობის საჯიხვეებში ორი კვირის განმავ-  
ლობაში დიდრქებიანი ხარჯიხვი ვერ ვნახეთ. როცა ყორას მთიდან  
ხდეს ხეობის ჩამწკრივებულ ფრიალო მწვერვალებს მაღლიდან  
დავხედეთ და იქ გასული შუნები დავინახეთ, ერთგვარი სიხალისე  
ვიგრძენით (ამ ექსპედიციის შესახებ უფრო დაწერილებით ჩვენ  
ქვემოთ გვექნება საუბარი. ა. ა.). ჩვენ ეს დაავადებული რქები  
ლენინგრადში ჩავიტანეთ და ლაბორატორიულად შემოწმება დაი-

წყო და საქმე სერიოზული აღმოჩნდა, მაგრამ უსახსრობის გამო კვლევის გაგრძელების საშუალება არ მოგვეცა.

ასეთი მონადირე-ნატურალისტები, რომლებიც ბუნების ჭირვარაძს ამჟღავნებენ და არ მალავენ, საყვედურის მაგივრად პირველ რიგში მადლობის ღირსნი არიან. ნადირსა და ბუნებაზე მზრუნველი, ცხადია, ისევ კარგი მონადირეა, რომელსაც თავის მიწაწყალი ნიადაგ უყვარს და მისი ქომაგობა ყოველთვის ესახელება. ჯიხვის ადგილსამყოფელ ჩანჩქერებთან და კლდოვან ქარაფებთან მომხიბვლელადაა მათივე ნათქვამი:

ჯიხვი სიმაგრეს შემდგარნი,  
შუნი გასული ველადა,  
ნადირთ გუშაგად დამდგარი,  
თავისუფლების მცველადა.

ჯიხვი კლდეს იყენებს არა მარტო გაჭირვების დროს თავშესაფარად, არამედ მაშინაც, როცა მას არავინ აფრთხობს. მეძველდრულად შეგუებულია კლდეს. ამაზეა ნათქვამი: „ჯიხვის გამზრდელი – აკვანი კლდეა, ბულბულისა – ბალიო“.

მყინვარს კალთაზე ჯიხვები  
უწევს, ვით დედას ბაღლია,  
ასიამოვნებს ჭიუხი,  
როგორც ბულბულებს ბაღია. (ხალხური)

ჯიხვი საძოვარზე დროებით შესვენების დროსაც კი კლდეს ან კლდის ნაშალ ქვიშას, ბექს მოძებნის, იქ შედგება ან ჩაწვება. დაბლობ ადგილას და მინდორზე წოლა თითქოს არ ეხერხება, საშიშ ადგილას დიდხანს წოლა არ უყვარს. უშიშარ ადგილას იალალზე კი არვე მთელი დღე ნებივრობს. ახალგაზრდები და შუნიები უფრო მოძრაები და მოუსვენრები არიან. ხნიერი ხარ-ჯიხვები კი უფრო ღინჯად, დაკვირვებულად იქცევიან და წყნარად მოძრაობენ. როცა ერთად არიან, წინ ყოველთვის შუნიებს უშვებენ, თვითონ მოგვიანებით მიჰყვებიან უკან. თავშესაფარად, როგორც აღვნიშნეთ, უფრო მაღალ, ძნელად მისადგომ კლდეს ირჩევენ. მაგალითად, ყაზბეგის მთის კლდიანი საძოვრებიდან ასული ჯიხვის ფარა თარგმნის ღელის სერზე ორად იყოფა, ხარჯიხვები მარცხნივ ყველაზე მაღალ ყორას მთის მწვერვალებისაკენ მიემართებიან, მოზარდი და შუნიები კი მარცხნივ კლ-

დიან სერს თავდაღმა მიჰყვებიან და დოლას მთის ქარაფიან კლდეებში აფარებენ თავს. აქ შიშველ კლდეებზე მოძრავი ჯიხვები ყველგან კარგად მოჩანან და ადვილად შეიძლება მათი დათვლა-აღრიცხვა. ისინი არ გარბიან, შორიდან ინტერესით აკვირდებიან მათ ადგილსამყოფელში მოხვედრილ ადამიანს, დადგმულ კარვებს და როცა დარწმუნდებიან, რომ ადამიანი მათ არ ერჩის, კარვებთან ახლოსაც კი მოდიან. ამ დროს შუნი უფრო დაინტერესებას იჩენს, ხარჯიხვი კი საათობით დგას კლდის ქიმზე ან კლდეში შეფარებული და დიდ უნდობლობას ამჟღავნებს ადამიანის მიმართ. ცხადია, ეს ზედმეტი სიფრთხილე აქ ხშირი ნადირობით დასჩემდა ამ ცხოველს.

ჯიხვს ყველაზე ძალიან შვეულმფრენის ხმის გაგონება და დანახვა ზარავს. გამოჩენისთანავე იფანტებიან, უგზო-უკვლოდ გარბიან და მიმართულებას კარგავენ.

სათქმელიც სწორედ ესა აქვს ჯიხვს, ადრე თუ გაუვალი სალი კლდე შველიდა თავდასაცავად და მასზე მალლა იშვიათად თუ ვინმე შეძლებდა ასვლას, ახლა პირიქით, „ჯიხვთა სიმაგრე“ მახედ იქცა, იქ თავშესაფრების მემკვიდრულად გამოძუშავებული თვისება კი – დამღუპველად, რადგან თანამედროვე ალპინისტური ტექნიკით, ოპტიკით აღჭურვილი შორსმსროლელი იარაღითა და ავტომატით შეიარაღებულ მონადირეს მწვერვალებზე ასვლა და ჯიხვის მიგნება-მოპოვება არ უჭირს. ბევრგან პირდაპირ შვეულმფრენით უვლიან სათავეს. ჩვენი საჯიხვე მწვერვალები ყველა ახლოსაა და შვეულმფრენით ადვილი მისასვლელია.

ჯიხვის ადგილსამყოფელს თავშესაფარი კლდეებისა და საძოვარი მდელოების გარდა თან ახლავს წყაროიანი ღელეები და სხვადასხვასანის მინერალური გამონაჟონები – „ვეები“, ანუ „მუჯები“, სადაც ეს პირობები არაა, ჯიხვი არ ბინადრობს. საქართველოს ზოგიერთ ადგილში დაღესტნიდან ჯიხვის შემოსვლა და მობინადრეობა სწორედ ამან განაპირობა.

ისეთ ადგილებში, სადაც ეს პირობებია და გაუვალი კლდეები დიდ მასივებს ქმნის, ჯიხვი სუბალპურ ტყეში მუდმივად ბინადრობს და თუ არავინ აწუხებს, ადვილგადანაცვლებას არ ახდენს. ალპურ ზონაში მისი მუდმივად გადანაცვლება უფრო იძულებითი ხასიათისაა და ძირითადად ანთროპოგენური ფაქტორების გავლენითაა

გამოწვეული. საქართველოში ამის დამადასტურებელი დღეს არხოტის ხეობა – აქ ხშირად აღარ ნადირობდნენ და ჯიხვი მუდმივად ტყის ზონას დაუბრუნდა. ზაფხულში დილით ადრე ჯიხვი ტყის ზედა საზღვარზე – ალპურ საძოვრებამდე ადის. მაგრამ დასასვენებლად ისევ ტყეში ჩამოდის. დევნილი და დამფრთხალი ზევით, კლდეებისაკენ კი არ გარბის, არამედ ქვევით, ტყეში ეშვება და ტყე-კლდიან გორებზე აფარებს თავს. ჩანს, რომ ჯიხვის ძირითადი საბინადრო იმთავითვე ტყე იყო და არა შიშველი, გაუვალი კლდეები. ცხადია, ამ შეგუების წყალობით გადარჩა ბუნების ეს იშვიათი ბინადარი. ახლა უკვე პირიქით, მისმა მოდგმამ არსებობა შეიძლება ტყე-კლდიანებში ფარული ცხოვრებით უფრო გაიხანგრძლივოს.

ჯიხვი მეტად ჭკვიანი, ფრთხილი და დაკვირვებული ცხოველია. მართალია, სწორ ადგილზე სწრაფად ვერ დარბის, მაგრამ კლდეზე ძალზე გაბედულად, მოხერხებულად და სწრაფად მოძრაობს. დახვეწილად და გამოზომილად ხტის ლოდებზე, კლდიდან კლდეზე, ხრამზე. ციცაბო კლდეზე სიარულში მას ბევრი ცხოველი ვერ შეედრება. ამაში ხელს უწყობს სხეულის თავისებური პროპორციულობა, ძლიერ განვითარებული კიდურების კუნთები, რაც მთავარია ჩლიქების აგებულება და გამაწონასწორებელი რქები.

ჯიხვს საუცხოო ყნოსვა, მხედველობა და სმენა აქვს. იგი ერთადერთი ცხოველია, რომელსაც სამივე გრძნობა თანაბარ უმაღლეს დონემდე განუვითარდა – შორიდანვე კარგად არჩევს მტერ-მოყვარეს. განსაკუთრებით თოფიანი მონადირის ემინია და თოფის ხმაც ზარავს. გარდა ამისა, ჯიხვს წინასწარი გრძნობები, ალლო და მიხვედრის დიდი უნარი გააჩნია. ზოგჯერ თითქოს ზეციურად შეიგრძნობს საფრთხეს: მიახლოებულ ადამიანს, თვალითაც, რომ არ ჩანდეს, უგებს, ამინდის შეცვლას ერთი-ორი დღით ადრე გრძნობს და მაშინვე უსაფრთხო ადგილას გადაინაცვლებს, ასევე იქცევა გამოდარების წინაც. იგებს ზვაგების საშიშროებას, დიდთოვლობისას გონივრულად ერიდება საზვავო და ქვის საგორავიან ლეღებს, სადაც ამის საშუალებაა, ტყეში ჩადის, საზვავო თოვლიან ფერდობებზე არ ჩერდება, ზვაგის გასატეხ ადგილებს არ ეკარება. ამ დროს ზევით დარჩენილი ხარჯიხვი ქარისაგან გადაწმენდილ უთოვლო გორის ფხებსა და სერებს არ სცილდება.



ბევრს არ მოძრაობს, წამოხურულ კლდის ძირებსა და გამოქვაბულ-ულეებში წვება. ქვებსა და კლდეებზე არსებული ხავსითა და მღიერებით იოკებს შიმშილს, ზოგჯერ რამდენიმე სული ერთ კალოსტოლა ადგილზე მოიყრიან თავს და მთელ დღეს იქ ატარებენ. როდესაც ფერდობები ზეავისაგან და თოვლისაგან განთავისუფლდება, მხოლოდ მაშინ იწყებენ მიმოსვლას. ზეავისაგან ჩამოწმენდილ ფერდობზე გადადიან საძოვრად. როცა საშუალებას გამოიჩინებენ, მაშინ ჩადიან ტყეში. ამიტომაც, რომ ზამთრის დამდეგს თოვლის დიდ ზეავეებში მოყოლილი ჯიხვები იშვიათად გვხვდებიან. მათ ეს თვისებები მთის მკაცრ სტიქიასთან მუდმივ ბრძოლაში იმუნიტეტით გამოუმუშავდათ და მემკვიდრულად ჩამოუყალიბდათ. მაგრამ ბუნება მაინც სჯობნის: ადრე გაზაფხულზე, როცა გათბება, მაღლა მთის პირში ადგილებში ბალახი უფრო ადრე ილვიძებს, ხარჯიხვები ტყიდან ზევით მიიწევენ, პატარა-პატარა ლელებში არიან. ამ დროს ამ ადგილებისათვის დამახასიათებელია ხეობათა ქვასაგორავიანი ხშირი ეროზიები, რის გამოც მრავლად ილუპება ჯიხვი, განსაკუთრებით შუნები.

ჯიხვს სიფრთხილე და ქცევები იმ ადგილმდებარეობის მიხედვით აქვს გამოუმუშავებული, სადაც ბინადრობს: იქ, სადაც სისტემატურად ნადირობენ და ჯიხვი ნაფრთხოვია, ნადირობის დროს ნალიანი ფეხსაცმლისა და რკინის ბუნიკიანი სანადირო ჯოხის ხმარებაც კი აფრთხობს მათ. ხმაურზე დაგეშილი ჯიხვი საშიშროებას ერთ კილომეტრზე იგებს და გარბის. ასევე შორს ხედავს და შეუსამებელ საგანს რამდენიმე კილომეტრზე შენიშნავს, ყნოსვით კი ყველაზე უწინ იგებს საფრთხეს. თვითონვე ირჩევს ნიავის შემხვედრ მიმართულებას.

კერძოობისას ხარჯიხვები ნაკლებად ფრთხილობენ, არ ტოვებენ ამორჩეულ თავშესაფარს, შორს არ მიდიან. ჯიხვის სეზონური ადგილგადასაცვლება თოვლის საფარის გაკლენით საკვებისა და მარილის მოპოვებასთან უფროა დაკავშირებული. ზამთარში ალპურ და სუბალპურ ზონაში თოვლი დიდხანს დევს, ჯიხვი 70 სმ-ზე მაღალ თოვლის საფარს ვერ ერევა და დაბლა, ტყის ზონაში ეშვება, ზოგან შუა სარტყლამდე ჩამოდის და ნაკლებ თოვლიან სამხრეთ-აღმოსავლეთი ან სამხრეთ-დასავლეთი ექსპოზიციის ნაკლებთოვლიან ფერდობებზე გამოიზამთრებს. სადაც ამის საშუ-

ალეხა არაა, უტყეო ადგილებშიც, სამხრეთი ექსპოზიციის ქარის-აგანგადაწმენდილ უთოვლო ადგილებში ბინადრობს. აქ უფრო სითბოა, მყუდრო თავშესაფარი – გამოქვაბულები და წამოფარებული კლდეებიც ხშირადაა. ჯიხვი კავკასიონზე ძირითადად ასეთი ადგილების წყალობით ზამთრობს და არსებობს. ზაფხულში კი ალპური ზონის ჩრდილო ექსპოზიციის გრილ ფერდობებზე ატარებს მეტ დროს. საკვებად 260-მდე სახეობის მცენარეს იყენებს. ზამთარში ძირითადად მთის ხმელი ბალახით – ქუჩით, წივანათი, მღიერებით, ხავსითა და ნეკერით იკვებება. უხეში საკვებით ხანგრძლივი კვების გამო ჯიხვის კუჭში ხშირად მოზრდილი ქვებისმაგვარი გუნდები უჩნდება, რაც საბოლოოდ თავისებურ უარყოფით გავლენას ახდენს მის ჯანმრთელობაზე, იწვევს დაავადებას – კუჭის მწვავე ატონიას, ჰიპერკერატოზს, ცხოველის სიგამხდრეს, რაც საბოლოოდ სიკვდილით მთავრდება.

ხდეს ხეობაში ხშირი ბრაკონიერობით მთების წვერებზე შეხიზნული ჯიხვები ძირითადად ლიქენებით კვებით აღრეულ (6-8 წ.) ასაკში ამოუცნობი „რქათაცვენით“ იღუპებიან (ამას ემატება ალპური მგელი და ჯიხვი განწირულია). ეს ტრაგედია მეგრანტეებმა სამჯერ „თურქულის“ ცრუ, მარტივი დიაგნოზით დახურეს. საქმე სერიოზულია. საჭიროა დაავადებული რქებისა და ლიქენების ქიმიური ანალიზი. მცენარეულ და ცხოველურ სამყაროში რადიაქტიული იზოტოპების მიგრაციის გზების დადგენა. ვიცით რომ, ყველაზე საშიში ცოცხალი ორგანიზმების ბიოგენურ ცვლაში Cs (ცეზიუმი), Ce (ცერიუმი), Sr (სტრონციუმი), U (ურანი), Ra (რადიუმი), Pu (პლუტონი) და ა.შ. რადიაქტიული მტვრის 70% ილექება მშრალი გზით, 40% ატმოსფერული ნალექებით. ლიქენი კი ყველაზე მეტად წყალს ისრუტავს და დაავადება აქედან მომდინარეობს. ბოტანიკის ინსტიტუტის ლიქენოლოგ პროფესორების ციური ინაშვილისა და ინგა კუპრაშვილის კონსულტაციით აქ გავრცელებული ლიქენები მიეკუთვნებიან 15 გვარს, აქედან: 1. ქვებზე მოსახლე გვარებია: *Aspicilia*. *Biatora*. *Brodoa*. *Caloplaca*. *Candelariella*. *Haematomma*. *Lecanora*. *Lecidea*. *Melanelia*. *Tephromela*.

2. ნიადაგზე მოსახლე გვარებია: *Cetraria*. *Cladonia*. *Peltigera*. *Stereocaulon*. *Thamnolia*.

ნორჩი ბალახით ჯიხვი მხოლოდ ზაფხულსა და შემოდგომაზე იკვებება. ჯიხვის საკვებ რაციონში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მარილს, რისთვისაც ხარბად ლოკავს ბუნებრივ გამონაჟონებში დამლაშებულ ნიადაგს. მიდის ცხვრისათვის მარილნაყარ ადგილებში. განსაკუთრებით მლაშე წყლებს ეტანება და ადვილად აგნებს. „ვეძებზე“ მიჩვეული შეიძლება ტყის ქვედა სარტყლამდე ჩავიდეს. ყვარლის რაიონში, ბურსას ხეობის ტყის დაბლა ზონაში, ერთ ასეთ გამონაჟონს ნადირის სარწყულბელს უწოდებენ. ასეა ლაგოდების ნაკრძალშიც – ჯიხვები და არჩვები აქ გოგირდის წყლებამდე (600-700 მ) ჩამოდიან. სამარილზე მისული ჯიხვი ბევრად აღარ ფრთხილობს. ადვილად შეიძლება მასთან ახლოს მიპარვა. ვერ უგებს იქ ჩასაფრებულ, შენიღბულ ადამიანსა და მტაცებელს.

თოვაში, წვიმაში, ნისლსა და ქარბუქში ან როდესაც ქარი ერთი მიმართულებით ზევიდან ქვევით უბერავს, ჯიხვები საძოვარზე იშვიათად გამოდიან და თუ გამოდიან, ბევრს არ მოძრაობენ, თავშესაფარი კლდეების ახლომხლო ბალახობენ, მათ მომლოდინე მონადირეზეა ეს ხალხური ნათქვამი:

თოვლსა თოვს, ჯიხვი ფენს უცემს,  
გულს გიგლის მონადირეო,  
ვერცაით დაგკარ ისარი,  
სისხლი ვერ მაგადინეო.  
ვერ გადაგაგდე კლდეზედა,  
რქებზე ვერ დაგაბჯინეო.

თუ ასეთი ცუდი ამინდი დიდხანს გაგრძელდა, ჯიხვები შიმშილობენ, მათ შიმშილის, მოთმინების დიდი უნარი შესწევთ.

როგორც ვთქვით, ჯიხვი არვეებად ბინადრობს: 7-14, ზოგჯერ 30-100 სული ერთად იყრის თავს. ზაფხულში დედალ-მამალი ჯიხვები ცალ-ცალკე არვეებად არიან. ამ დროს შუნებთან არიან თიკნები და ღურაყები. არვეს უფრო ფრთხილი ჯიხვები, ხშირად შუნები ღარავლობენ, უფრო სწორად, ადრე იგებენ საფრთხეს. საერთოდ, არვეში ყველა ერთნაირად ფრთხილობს, ერთმა მათგანმც რომ შენიშნოს საფრთხე, თავისებური მოკლე „სტკენით“ ყველას აგებინებს, გაქცევის მიმართულებას უჩვენებს და მთელ არვეს თან გაიყოლებს. დამფრთხალი ჯიხვების თქარათქური კლდეებზე რქების

ხეთქებით გამოწვეული საგორავის გრუხუნი და კორიანტელი გრიგალის ამოვარდნას ჰგავს. ეს კი ქვევით, ლელეში მოყოლილ მონადირეს დიდ საფრთხეს უქმნის.

არვეში იწვრთნებიან და სიფრთხილეს ეჩვევიან მოზარდებიც, ქცევებსა და მტერ-მოყვარის გამოცნობის უნარს დიდებისაგან იძენენ, ობლად დარჩენილ პატარებზეც ჯოგი ზრუნავს. მათ სხვა ჯიხვები უწევენ მშობლების მაგივრობას, დედობილები გამოუჩნდებიან და ძუძუს აწოვებენ. ზოგჯერ ხარჯიხვიც შეიკედლებს უდულო პატარას. არვე ასევე ზრუნავს ბებრებისა და სუსტების მიმართაც. მათ უყურადღებოდ არ ტოვებენ. ახალგაზრდა, ძლიერი ხარჯიხვები დაუძღვრებულ ჯიხვებს გულგრილად არ ექცევიან. შეხვედრისას თავისებურად ეალერსებიან, პატივისცემასა და მოკრძალებას გამოხატავენ. ეს მთის ცხოველების საერთო წესია.

დიდი სიფრთხილის მიუხედავად, არვეში მყოფი დიდი ხარჯიხვები თავისებურად ამაყებიც არიან. ზოგჯერ გაქცევას არ კადრულობენ. თუ არვე არ დაფრთხა, ცალ-ცალკე არ გარბიან. კეთილი განზრახვით მათთან მოხვედრილ უთოფო ადამიანს ზოგჯერ მეგობრად მიიჩნევენ, ძალიან არ ერიდებიან, დაფეთებით არ გარბიან და არც არვეს ჩამორჩენილ „მოხუცებს და პატარებს“ ტოვებენ უყურადღებოდ, ამაში მაშინ დავრწმუნდი, როდესაც მათი ცხოვრებითა და ქცევებით დაინტერესებულმა საჯიხვე კლდეებში მრავალი ღამე გავტყეხე.

ერთხელ მშვენიერი ამინდი იყო, სწორედ ისეთი, ფოტომონადირე რომ ინატრებს. ჩემი ფოტოთოფით ჯიხვთა სამფლობელოს ვესტუმრე, ვიცოდი, ჯიხვი ძალიან ფრთხილია, ადამიანის სუნსა და ფეხის ხმას ყნოსვითა და სმენით შეიგრძნობს. მას ადამიანის სუნი უფრო აფრთხობს, ვიდრე დანახვა, ნიავი ჯიხვისათვის პირველი ამბის მიმტანია. გამახსენდა ხალხური ლექსი, “ნიავ გიზიდავს ამბავსა, ქარები ლემადისაო“ (ლემადე – მთის ძლიერი ქარი). ამიტომ ჯიხვებთან მიპარვა მონადირული წესით დავიწყე, ახლოს მისვლა დიდი წვალების შემდეგ, სალამოს, ძლივს მოვახერხე. გვიანი იყო, სურათის გადაღება აღარ ხერხდებოდა. ვიცოდი, ჯიხვების თავშესაფარი და საძოვარი იქვე ჰქონდათ, შორს არსად წავიდოდნენ და გადავწყვიტე, ღამე იქვე, კლდის ნაპრაღში გამეთია. ზაფხულის თბილი ღამე გახლდათ, მაგრამ მთაში მაინც ციოდა. თითქმის

არ მძინებია, მთელ ღამეს მესმოდა ჯიხვების რქების ჯახუნნი, ფრუ-ტუნი, სტკენა, ბლავილი, სუნთქვა და ბუტბუტი.

დილის რიჟრაჟზე რამდენიმე ჯიხვმა სულ ახლოს გადაუარა იმ ნაპრალს თქარათქურით, სადაც მე ვიყავი ჩაწოლილი, ვიგებდი, ერთმანეთს დასდევდნენ, კუნტრუმობდნენ, თითქოს დილის ვარჯიშით ხვდებოდნენ ალიონს. ისე კი, თავს უშიშრად გრძნობდნენ. ჩემი იქ ყოფნა არ უგრძენიათ. ნიავე ჯერ კიდევ ზევიდან უბერავდა.

ინათა, თუ არა, კლდესთან მივხიხიდი და ფრთხილად გადავიხედე ჯიხვებისაკენ: ზოგი ჯერ კიდევ ძოვდა, დანარჩენები გაფანტულიყვნენ, კლდეში შემდგარიყვნენ და ლოდებს ისე იყვნენ შეხამებულნი, გამოცდილი თვალი თუ შეამჩნევდა, ერთ ადგილას კლდის ქიმზე შუნები იყვნენ, ახალგაზრდა ხარჯიხვები კი თავს დარაჯად ედგნენ.

ჯერ კარგად არ იყო გათენებული, მაგრამ გულმა არ მომიტოინა, ერთი-ორი სურათი გადავიღე და მზის ამოსვლას დაველოდე. როდესაც საჯიხვეები კარგად განათდა, წამოვიწიე და უფრო მოხერხებულ ადგილას გადავცოცდი.

ჯიხვებმა ადამიანის სუნი მხოლოდ ახლა იკრეს, უეცრად შეცბუნდნენ, რამდენიმე სურათი კიდევ გადავიღე და უფრო გაბედულად გადავინაცვლე წინ. გადაღებით რომ გული ვიჯერე, ფეხზე წამოვდექი და აშკარად დავენახვე ჯიხვებს. ასე მოულოდნელად და პირდაპირ რომ აღმოვჩნდი მათ წინაშე, გაშტერებული მიყურებდნენ, გაქცევას ვერ ახერხებდნენ. მეც ადგილიდან აღარ ვიძროდი. ერთმანეთს ღრმა უფსკრული გვაშორებდა და წინ წაწევა აღარ შეიძლებოდა. ამას ჯიხვებიც გრძნობდნენ, უფრო იმიტომ არ ეშინოდათ. მხოლოდ შუნები ვერ ისვენებდნენ – კლდეზე ხან აღიოდნენ, ხან ჩამოდრიოდნენ, ხარჯიხვები კი ამაყად გამომყურებდნენ და სხვებსაც გულს უმაგრებდნენ. აშკარა იყო ჯიხვებს ამ ქარაფიანი კლდის დატოვება არ უნდოდათ. სხვა უფრო საიმედო თავშესაფარი – კლდე ახლოს არ ეგულებოდათ. თითქოს იმასაც მამჩნევდნენ კეთილი განზრახვით რომ ვიყავი მისული. უიარალოდ, წყნარად ვიქცეოდი და აღარ მერიდებოდნენ.

ოღნავ დავუსტვინე, თან ხელი ავუქნიე და გავეხმაურე, წასვლა ვუბრძანე. ზოგიერთები თითქოს დაფრთხნენ. დიდმა ჯიხვებმა ამ

ხმაზე უკადრისად მხოლოდ ზურგი შემაქციეს და კარგა ხანს გაუნძრევლად იდგნენ, თან ცალი თვალი ჩემკენ ეჭირათ, ერთი ენახოთ, აბა, რას იზამსო. მათ ქცევაში შიშის გარდა სიამაყეც იგრძნობოდა.

ავჩქარდი და ფოტოფირი მალე გამოძელია. რაღაც შემთხვევისათვის შემონახული ორიოდუე კადრიც გადავიღე, დავჯექი და შუადღემდე თვალი არ მომიშორებია.

ბოლოს ერთად მოგროვდნენ, რაღაც მოითათბირეს, საერთო გადაწყვეტილებით კლდიან სერს ზევით შეჰყვნენ. ერთი ბებერი, რქამოტეხილი (ცალარქა) ხარჯიხვი უკან რჩებოდა, სიარული უჭირდა, ჯოგს ვეღარ მიჰყვებოდა. შევაძწინე, რომ მას მთელი არვე უცდიდა. თუ ბებერი ჯიხვი ჩამორჩებოდა და თვალს მოეფარებოდა, ახალგაზრდა ხარჯიხვები მაშინვე მოაკითხავდნენ, უფროსის მოლოდინში ჩაიძულებდნენ, თუ იწვა, ადგომას ელოდნენ. ცას შესცქეროდნენ მღუმარედ. დიდი ვაჟას ნათქვამი გამახსენდა:

ჯიხვმა თქვა სალის კლდისამა,  
მთელ ღამეს ლოცვად მდგარია.  
მიიღე, დამბადებელო,  
ეს ჩემი სათხოვარია:  
მაჩვენე აყვავებული  
სამშობლოს მთა და ბარია.

ჯიხვები დინჯად, დიდი მოთმენით მოელოდნენ უფროსის წამოღვომასა და მისვლას. ხან ერთმანეთს უყურებდნენ, ხან უფროსს, თითქოს საუბრობდნენ, უფროსის წინაშე ერთნაირად იხდიდნენ ვალს. როცა ბებერი ჯიხვი წამოეწეოდა, წინ გაუძღვებოდნენ და ისევ არვესთან მიიყვანდნენ.

კერძილობის წინა პერიოდი იყო. ხარჯიხვები და შუნები უკვე ერთმანეთში იყვნენ არეულები. ხარჯიხვები გამომწვევად იქცეოდნენ: ერთმანეთის პირისპირ დგებოდნენ ნიკაპწამოწეულები, უფრო ხშირად ყალყზე შემდგარ რქებს ერთმანეთს უღერდნენ, თითქოს აფრთხილებდნენ, აი, მე ასეთი დიდი და მძიმე რქები მაქვს, შენზე მაღლა ვიწვევი და ჩემთან წინააღმდეგობა არ გაბედო. დაბლა მდგომი ჯიხვიც სიამოვნებით ღებულობდა გამომწვევას და რქების ჯახაჯუხი შორს ისმოდა. დროდადრო შუნებს გაუვლიდნენ გვერდზე, ყნოსავდნენ, წინა ფეხს უსვამდნენ, ენას უყოფდნენ და თავისებურად ებუტბუტებოდნენ.

ჯიხვი ძვირფასი სანადირო-სარეწაო ცხოველია. იმის გარდა, რომ ის უფასოდ და სპეციალური შრომის გაუწევლად გვაძლევს საუკეთესო ხარისხის ხორცს, ტყავსა და სხვა ნედლეულს, მისი მთავარი ღირსება ისიც არის, რომ კარგად იტანს ტყვეობას, ადვილად შინაურდება და ეჩვევა ადამიანს. თავის მოძვლელს ძალღვივით უკან დასდევს. ბევრად არც უცხოს ერიდება. ეჩვევა შინაურ პირუტყვს და მათთან ერთად ბალახობს. თუმცა ხშირად წინააღმდეგობაშიც ვარდება. ადამიანთან სიახლოვისას თავის ადგილას მაინც ვერ პოულობს, თამაშით აწუხებს.

არხოტის საჯიხვეებში – ტანიის ჭალაში მონადირეებმა, თოფის ხმით შეშინებული, კლდეებში განაბული ჯიხვის თიკანი დაიჭირეს (თიკნებს ამ ხერხით იჭერენ: მონადირე როცა დაინახავს თიკანს, თოფს გაისვრის, ტყვიას ახლოს ქვებზე დაურტყამს. ამ ხმაზე შეშინებული ის მაშინვე ჩერდება, იმალება და ადვილი დასაჭერია) და სოფელ ამლაში ციცქა ჯაბუმანურს მიჰგვარეს. თერთმეტი შვილის მამას ამისათვის სად ეცალა, მაგრამ მაინც დაიტოვა. დიდი შრომა არც დასჭირვებია, თიკანი თავისთავად მიეჩვია საქონელს, დღედაღამ მათთან ერთად იყო. თავისიანებს საძოვარზეც თან მიჰყვებოდა. უცხო საქონელთან შერევა რატომღაც არ სიმოვნებდა. ალბათ ჯოჯურად მობინადრეობის ბუნებრივი თვისება მემკვიდრულად დაჰყვა. მალე წამოიზარდა, რქებიც გაეზარდა, ხარჯიხვის სახე მიიღო. გათამამდა, ძაღლებსა და ადამიანებს აღარ ერიდებოდა. თითქოს გრძნობდა მოკრძალებითა და სიყვარულით რომ ეპყრობოდნენ და არ თავზელდებდა. ხანდახან ძაღლი თუ შეულრენდა ან ბოჩოლა გაეთამაშებოდა, მაშინვე უკანა ფეხის წვერებზე – ყალყზე შედგებოდა. რქებს მოუღერებდა, ჯერ აფრთხილებდა, მერე კი არტყამდა და აშინებდა მოწინააღმდეგეს. განსაკუთრებით ბავშვებთან სიახლოვე სურდა. მათთან თამაშის დროს ძალიან ფრთხილად ხმარობდა რქებს, ცდილობდა მათი გულის მოგებას. ხშირად სუფრაზე ჩაუზიარდებოდა, ძალიან უყვარდა ხილი, მათ ხელიდან მიირთმევდა ვაშლს, მსხალს, ატამს, ქლიავს, ყურძენს, პომიდორს, კიტრს, საზამთროს, ბაღს, შალშავს, მონარშულ სიმინდს. როცა ბავშვებს ხილს ხელში დაუნახავდა, მაშინვე წინ დაუდგებოდა, ჯერ თავს დაუქნევდა – მაჭამეო, თუ არ უწილადებდნენ დაეტაკებოდა და ხარბს ლუკმას ხელიდან გააგდებინებდა. დიდე-

ბისა და ძაღლის ნაპირაღს კი პირს არ დააკარებდა.

ჯიხვს წლები მოემატა, გაიზარდა, დახარდა ამჟამადაც საქონელთან დადის მთაში. თავისიანებში სხვის საქონელს არ უშვებს. წინ გადაელობება და ყალყზე შედგება. ყველამ კარგად იცის ეს რასაც ნიშნავს, გამოცდილი აქვთ მისი რქების დარტყმის სიძლიერე და ერიდებიან. უყვარს საქონელთან თამაში, განსაკუთრებით საღამო ჟამს, როცა სახლში ბრუნდებიან. ასე იყო იმ დღესაც – გზადაგზა თამაშის დროს ერთმა დეკეულმა ჭიდაობა გაუბედა. ჯიხვმა ვეღარ მოზომა, მძლავრად დაარტყა და ისიც კლდეზე გადააგორა. ოჯახის დიასახლისმა ეს იწყინა, გომურში შეამწყვდია და ჯოხით უმოწყალოდ ცემა. ამის გამო ჯიხვმა ერთი წელიწადი იავადმყოფა, ბეწვიც აღარ გამოიცვალა, გასაწყლდა, გახდა და ძალიან მოიწყინა. ადამიანებისადმი უნდობლობა დასჩემდა, ქალები ხომ სულ შეიძულა, ახლოს აღარ ეკარებოდა, განმარტოვდა, როცა დიასახლისს დაინახავდა, გომურიდან გამოვარდებოდა გარეთ, შეუბრალებელ დედინაცვალს ვერა და ვერ შეურიგდა, იმ ეზოში აღარ ჩერდებოდა, ერთ მიტოვებულ სახლის ბანზე გადასახლდა და იქ ათევდა ღამეს. ზამთარ-ზაფხულს გარეთ იყო. სოფელზე ადრე იღვიძებდა. ვინემ საქონელს გამოუშვებდნენ, მას უკვე მოვლილი ჰქონდა სოფლის შემოგარენი. მზის ამოსვლისას ბანზე ერთ ამოჩემებულ ადგილას ბროლის ქვასთან იდგა ან იწვა და ფიქრიანი თვალებით საჯიხვეებისკენ იცქირებოდა. თითქოს იქიდან ვიღაცა მოუხმობდა, ვიღაცას მოელოდა.

ჯიხვს ექვსი წელი შეუსრულდა, რქები გაეზარდა, ხასიათი შეეცვალა, კლდეებისაკენ დაიწყო ყურება, უფრო უკარება და დინჯი გახდა, ნაკლებად თამაშობდა, გარეგარე სიარულს მოუხშირა, საქონელთან აღარ ჩერდებოდა. ნოემბერში თავისი სამწყემსო ერთი კვირით მიატოვა, შემდეგ ისევ დაბრუნდა. დილას გომურის კარებთან იწვა. გამოშვებულ მეგობრებს სინარულით შეეგება, სათითაოდ დაყნოსა, მოუალერესა, საძოვრამდე მიაცილა და ისევ სადღაც წავიდა. ჯიხვის კერძილობა იწყებოდა, აქ სოფლის საძოვარი კიდევანას ქედის საჯიხვეებს ესაზღვრება, დარწმუნებული ვიყავით, რომ ხარჯიხვს მემკვიდრულად იქით მიუწევდა გული. მოხდა ის, რასაც არ ელოდნენ: ერთ საღამოს ძროხებმა დააგვიანეს, მეორე საღამოს საერთოდ



აღარ მოვიდნენ, გაირკვა, რომ ხარჯიხვი სოფლისკენ მომავალთ წინ გადაუდგა, აღარ უშვებდა და საჯიხვეებისკენ მიუთითებდა.

ჯიხვის აღზრდისა და მოშინაურების შესახებ საინტერესო ამბავი გვიამბო ყაზბეგის მკვიდრმა, ახალგაზრდა მთამსვლელმა მონადირემ შალვა ქირიკაშვილმა.

„ამ რამდენიმე წლის წინათ ყაზბეგის საჯიხვეებში ობოლი თიკანი ღავიჭირე და სასლში წამოვიყვანე. ის ხელში აყვანისთანავე შექრება. პირველი დღიდანვე ხელოვნური საწოვრიდან ხალისით მიირთმევედა თხისა და ცხვრის რძეს. ზოგჯერ უზომოდაც კი ჭამდა. მალე გაიზარდა და გასუქდა. პატარაობისას უფრო მოუსვენარი იყო, მოაჯირსა და სახლის სახურავზე დახტოდა, ერთთავად ვარჯიშობდა. კარები ღია რომ ყოფილიყო, ოთახში მაინც ფანჯრიდან შემოხტებოდა. უყვარდა მანქანაზე შეხტომა და ფანჯრის კიდეებზე სიარული. ბავშვებს ძალიან დაუძეობრდა, ვიდრე პატარა იყო, ლოგინში უწევებოდა. დღისით ხომ ყველგან უკან დასდევდა. მგრძობიარე და ალერსიანი გახლდათ. წლისას შუნისხელა რქები წამოეზარდა, სამიოთხი წლისა უკვე გათამამდა, ქუჩაში გასვლისა აღარ ეშინოდა, კარიკარ დადიოდა, ძაღლებიც არ ერჩოდნენ, შინაურ ცხოველად მიაჩნდათ, შინაურსა და უცხოს ყველას თავდაკვრით ეგებებოდა. მოფერებასა და ძღვენს ყველას ხელით სიამოვნებით იღებდა. ყაზბეგის ქუჩებში ღინჯად დადიოდა. სტუმრები მასთან სამახსოვრო ფოტოსურათებს იღებდნენ. ეს მოუსვენარი ნადირი მოკლე ხანში მოშინაურდა, თითქოს მთლად გარდაიქმნა, ნამდვილი „ნებიერა“ გახდა, ეს სახელიც დაანათლეს. მაგრამ თავისი ერთი ზნე მაინც არ მოიშალა: სადაც მოახერხებდა, სახლების სახურავზე ადიოდა, დახტოდა, იქ წევბოდა, სიმძიმითა და ჩლიქებით შიფერსა და კრამიტებს ამტვრევდა. მომჩივნები გამრავლდნენ და ეს საყვარელი ცხოველი თბილისის ზოპარკს ჩავაბარეთ. მან უცხო გარემო და ტყვეობის ამგვარი პირობები ვერ აიტანა, მოიწყინა, დანალვლიანდა, იშვიათად ჭამდა, სიკვდილის პირას მივიდა. ერთხელ, როცა მის სანახავად მივედით, შორიდანვე გვიცნო, მოირბინა, სიხარულით ცას ეწია, გამხიარულდა, აღმზრდელს ზედ მივარდა, გარშემო ურბენდა, ფრუტუნებდა, ხელებს ულოკავდა, რქებს უსვამდა, ეფერებოდა. წამოსვლისას გვერდზე გამოყვა, წინ გადაელობა, აღარ ეშვებოდა. თითქოს ეხვეწებოდა: არ დამტოვო, მეც თან წამიყვანო. შევატყვეთ, რომ ვერ იცოცხლებდა, სურვილი

შევესრულეთ, ნებიერა ყაზბეგში დავაბრუნეთ. ჯიხვმა მშობლიურ ადგილებს რომ შეხედა, განალიხდა, მალე გამოკეთდა, მაგრამ ამ მთებისათვის დიდხანს მაინც არ უცქერია. მოკლე ხანში უგზო-უკვლოდ გაქრა. გვითხრეს, სვანეთში ვნახეთ, იქ დაიღუპაო“.


ჯუთიდან დედოფლისწყაროში ჩასახლებულმა ესტატე არაბულმა თავის ცხვარ-ძროხას ჯიხვის თიკანიც გააყოლა, რომელიც თავის სიცელქეს იქაც ლამაზად აგრძელებდა, მაგრამ მალე „თვალწირპლიანობითა“ და ფილტვებით დაავადდა, იფნის ფოთლებს ეტანებოდა (რასაც სხვა ცხოველი იშვიათად ჭამს), ის ალკოპილმანიტის შემცველია. ეკოტურისტების ვალია დააკვირდნენ თიკანს, მკურნალობს თუ მარაფობს.

არხოტიდან თბილისის აეროპორტში ჩამოყვანილი ორი ჯიხვი სამ წელიწადში გასაცოდავდა. ერთი მალე დაიღუპა, მეორე თუშეთში გადააფრინეს. ასე გადაგვარდნენ ზოოპარკში აღზრდილი ჯიხვები და მათი ჰიბრიდებიც.

ხალხური დაკვირვების ეს მასალები იმაზე მეტყველებს, რომ ჯიხვი მაღალი მთის ცხოველია, დაბალ ადგილებში ვერ გვარობს. რომ ჯიხვის მოშინაურება თიკნობიდან უფრო სწრაფად ხდება, ის დატყვევების გარეშე შინაურდება და ხელშეწყობას თხოულობს, მისი მოშინაურება და სასოფლო-სამეურნეო ცხოველის ახალი ჯიშების გამოყვანა ადვილად შეიძლება. ჯიხვი ხომ სხვა გარეული თხების გვარების წარმომადგენლებსაც ეჯვარება, შინაურ თხებთან შეჯვარებითაც ნაყოფიერ თაობას იძლევა. ჰიბრიდი— „ჯიხვთხა“— მშობლებზე დიდია. ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ პირველი ნამატი 120 კგ-მდეა.

1942 წელს ლაგოდენის ნაკრძალში მეცნიერებმა დაიწყეს შინაური თხისა და ჯიხვის შეჯვარება, კარგი შედეგიც მიიღეს, გამოიყვანეს ჯიხვთხის პირველი თაობა, მაგრამ ნაკრძალთა სამმართველომ ეს ყველაზე საჭირო საქმე რატომღაც შეაწყვეტინა. ასე რომ არ მომხდარიყო, ახლა ჯიხვთხის ჩამოყალიბებული ჯიშები გვეყოლებოდა და მთის მეცხოველეობის შემოსავალიც იქნებოდა. ჯიხვთხის მაშინდელი ჰიბრიდები თბილისის ზოოპარკში 1956 წლამდე არსებობდნენ და თავისთავად მრავლდებოდნენ (იხ. სურ.).

გავრცელება კავკასიაში



გავრცელება კავკასიაში






1. დასავლეთკავკასიური ჯიხვების პოლიმორფიზმი კავკასიის ნაკრძალში, ოთხრქიანი ჯიხვი  
Polymorphism of West Caucasian turs: a tur with four horns



2. აღმოსავლეთკავკასიური ხარჯიხეები ლაგოდეხის ნაკრძალში. "ჯიხეების გადავლილი კლდე რთ ნახო, აგიკვირდება, იმათ ნადგომსა-ნაწოლსა თოლი არ მოეკიდება" (ხალხური)  
East Caucasian tur in Lagodekhi Preserve. "You will be surprised at seeing the rock that turs have crossed, Your sight can't reach their helter-spot." (Folk song)



3. ბარდის წვერი. „შიბწვერო გადასავალო მაგლილო ჯიხეებისაო საზღვარო სისხლით მოსვრილო ჩვენო და ქისტებისაო” (ხალხური)  
**Turs in Arkhoti (Georgia) “ Oh peak of the rock stepped down by bucks, You have seen so many hunters at sun-rise, You are the border stainedcd with Chechen and our blood” (Folk song)**



4. აღმოსავლეთ კავკასიური ხარჯიხეები ზაქათალის ნაკრძალში  
**Bucks in Zakatala Preserve**



5. საარწიოს მთის თაგშესაფრიდან გამოსული ჯიხეები საძოვარზე გაიშალნენ  
**Turs came out of their shelter and spread on the pasture.**





6. ჯიხვების „ცოხა“ – დასვენების საათი ბუნებრივ სამარილესთან  
კავკასიის ნაკრძალში  
**Turs are having a rest**



7. ჯიხვთა ჭიდილი „სამაია“. იმიტაციური სცენა

**Wrestling of the turs**



8. ხარჯიხეების რაინდობა – დარტყმით გადავარდნილის ამოყვანა.  
„რქაგაწვედილობა”

**Bucks are knights. After fight they help the defeated buck**



9. “სამშობლოს იაღაღები, ჯიხეთა საგანევ ტიალო”  
“Pastures of my country, abode of turs” (Folk song)



10. ჯიხეების სალაღობელო, შავანავ-ღარიალაო  
Dariala, habital of turs.



11. ობოლი თიკნების აღმზრდელ-მასწავლებელი შუნი  
Mother- tur has adopted orphans



12. შინაურ თხადელობილს ჯიხვის თიკანი არ უჯერებს, „გერდებობა“  
**A Disobediend adopted kid**



14. ჯიხვის ობოლი თიკანი  
„საით წავიდე არ ვიცი, სუყველგან მახე მიგია” (ხალხური)  
An orphan kid





15. ცნობის მოყვარე ფოთრი საჭესთან (ა. კაპანაძის ფოტო)

**Curious tur kid**



16. გუშაგი თიკანი. Guardindg tur kid



17. თიკნების გუშაგობა

**Tur kids are having a guarding lesson**



18. საგუშაგოზე დგომის გაკვეთილები: ჯიხვის თითო თიკნიანობა  
The tur generally has one kid.



19.დედის დამჯერი თიკანი

Ah Obediend tur kid



20. ჯიხვის ორთიკნიანობა (იშვიათია). დედის მიერ საგუშაგოდან მოხსნილი თიკნები  
The tur seldom has two kids



21. ობოლი თიკნების ბანაკი „სკოლა“

The camp of orphan kids



22. თიკნების ტურისტული ლაშქრობა, ქეჩობთ აჩრვის თიკანი  
**Tur kids are hiking**



არწივი - თიკნების მტერი



23. არწივის შიშით დედას ამოფარებული თიკანი და  
დედის თავშესამება  
**The kid is afraid of eagle**



23. ენგურული ჯიხვი ჯვარას მთაზე „კლდეზე გადმოდგა ხარჯიხვი რქებით  
ლაჟვარდი დახია” (ხალხური)

A tur from Enguri Gorge “ A buck stepped above the rocks And he tore the sky with its horns” (Folk song)



24. ხარჯისგებს შეკედლებული შუამოქცეული ობოლი თიკანი  
An orphan kid adopted by other turs



26. თეთრგულა შაშვილი - ჯიხვთა გუმაგი

The guard of turs – the thrush

25 შურთხი - ჯიხვთა მწყემსი - საიმედო

მეგობარი და დამცველი

Shepard of turs





27. ნამარილევი ჯიხვის სორო პირშაღმა შამადიოდა

**The turs have eaten salt**



28. ბებერი ჯიხვის ვედრება: ჯიხვა თქვა სალი კლდისამა,/ მთელ ღამეს ლოცვად მდგარია,/ მიიღე დამზადებელი ეს ჩემი სათხივარია,/მაჩვენე აყვავებული სამშობლოს მთა და ბარია. (ვაჟა-ფშაველა)



29. ცალრქა ხარჯისვი „ჯისვო გუნებით მძიმეო, კლდიდან რამ  
გამოგიყვანა“ (ხალხური)  
A tur with one horn



30. თებერდული ჯიხვების პოლიმორფულობა – უფროს-უმცროსობის იმიტაცია, ბებერ დაუძღვრებულ ხარჯიხვს მეგობრები პატივდებით ეპყრობიან, მის ადგომას ელოდებიან და ასე სვენებსვენებით, გვერდში დგომით მიაცილებენ სამარის კარამდე.  
**Young turs treat the old ones with honor**






31. ბებერი ხარჯიხვის მომლოდინე ჭარმაგი ხარჯიხვები ბჭობენ  
Turs are having a counsel



32. ჯიხვის სიკვდილის უამი

**Buck waiting for death**

33. ჯიხვის ტიპური ადგილსამყოფელი -  
ლაგოდეხის ნაკრძალში  
Typical habitat of turs – Lagodekhi Preserve





34. ჯიხვები გაგრის ქედზე

**Turn on Gagra Mountains**



35. სქესობრივი მომწიფების ჟამი (ვაცი - 3 წლის, წალი - 2 წლის). განგური

Turs are ready to breed



36. ჯიხვების საჭერ ხუნდში დამხრჩვავი ხარჯიხვი (ლაგოდუხის ნაკრძალში)  
„რას მერჩი ადამიანო“

**A trapped tur**



37. კოდორული ჯიხვის რქები

**Tur horns from Kodori Gorge**



38. თებულოს მთის ჯიხვის ნაცვეთი რქები

A tur from Tebulo Mountains





39. ხევსურეთის ხახმატის სატში შენაწირი ბისნაჩორეხში მობინადრე ჯიხვის რქები  
**Tur horns from Khakhmati Sanctuary, Khevsureti**



40. არხოტში ახიელის სალოცავში შენაწირი ჯიხვისა და ირმის რქები  
Deer and tur horns from Akhieli Sanctuary, Khevsureti




41. ჯიხვის რქები რომა, მინდია წიკლაურის რელიქვია

**Tur horns from Dariali Gorge**

42. არხოტის წარმართული სალოცავი  
“რკენა”  
შენაწირი ჯიხვის რქები ბუნების  
ცოცხალი მუზეუმი

**Tur horns from Rkena Sanctuary, Khevsureti**





43. „რქათაცვეთით” დაავადებული ხარჯიხვის,  
(ზემოთ ხარჯიხვების, ქვემოთ-შუნის) რქები  
ყაზბეგიდან. იორამ ღუდუშაურის მასალა

**The tur with horn-falling disease from Kazbegi**



44. ჯიხე-ცხვარი „ბუნების ჯადოქარი“ აფხაზეთის  
სვანეთიდან –  
ატავიზმი, მუტაცია (ორდენ დგებუაძის  
საკუთრება. გულრიფში)  
**A hybrid of tur and sheep from Svaneti**



45. ჯიხთხები თბილისის ზოოპარკში – 1956 წელი

**The hybrids of goats and tur from Tbilisi Zoo**



46. თბილისის ზოოპარკში გადაგვარებული ხარჯისვის რქები  
A buck from Tbilisi Zoo



## ნიამორი - *Capra aegagrus*, Erxl., 1777

**„კლდე-ქარაფებში ნაზარდო,  
ვაცო, უვალოდ მტრიანო“  
ხალხური**

ნიამორი ხმელთაშუაზღვიური წარმოშობის, შინაური თხების წინაპარი, უძველესი, უიშვიათესი და უძვირფასესი გენოფონდია. მან თავისი მოდგმა დღევანდლამდე შემოუნახა კაცობრიობას. მის შესწავლასა და დაცვა-მომრავლებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს მეცხოველეობის პროდუქციის გაზრდისათვის. ის ევკარება შინაური თხების ჯიშებს, აუძვობესებს და თავისზე მეტი ზომა-წონის შთამომავლობას იძლევა. ლიტერატურაში აღნიშნულია: ციმბირული თხისა და ნიამორის, ხრახნილრქებიანი თხისა და ნიამორის, ჯიხვისა და ნიამორის ჰიბრიდები. ამრიგად, სხვა არც ერთი გარეული ჩლიქოსანი ცხოველი ისეთ დიდ პერსპექტივას არ იძლევა სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და სამონადირეო ჯიშების გამოყენისას, როგორც ნიამორი. თანაც აქედან მიღებული ჯიშები მთა-კლდიანი, გაუვალი, სხვა მხრივ ნაკლებად გამოსაყენებელი საგარეულების ამთვისებელნი არიან. ამიტომ შეიტანეს საერთაშორისო, საქართველოსა და ზოგიერთ სხვა ქვეყნების წითელ წიგნებში. მიუხედავად ასეთი მნიშვნელობისა, მისი ეკოლოგია ჯერაც შეუსწავლელია.

ნიამორის საქართველოში გავრცელებისა და ბიოლოგიის ცალკეული საკითხების შესახებ ძველსა და ახალ ლიტერატურაში უმეტესად ერთმანეთის მსგავს ზოგად ცნობებს ვნახულობთ და ეს ცნობებიც გამოკითხვის მასალებზეა დაფუძნებული და არა უშუალოდ სტაციონალურ დაკვირვებებზე, მაგრამ მაინც გარკვეული მეცნიერული მნიშვნელობა აქვს, თუმცა ზუსტად ვერ პასუხობს თუნდაც ნიამორის საქართველოში გავრცელებისა და რიცხოვნობის დღევანდელ მდგომარეობაზე, ვერც მის ადგილსამყოფლებისა და რიცხობრივ შემცირების მიზეზებზე და რაც მთავარია, დაცვა-გამრავლების იმ ღონისძიებებზე, როგორც ამას წითელ წიგნში შეტანილი ცხოველი მოითხოვს.

ნიაძორის გამრავლების საკითხს ეხება ზ. ექვთიმიშვილის სტატია, რომელიც თუშეთის პირობებშია შესრულებული; სომხეთში გავრცელებულ ნიაძორის შესწავლის საკითხს ეძღვნება კ. გასპარიანის შრომა; აზერბაიჯანში ნიაძორის გავრცელების საკითხს ზოგადად ეხება ხ. ალექპეროვი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტმა ნიაძორის ეკოლოგიის შესწავლა ჯერ კიდევ 1981 წლიდან შეიტანა თავის სამეცნიერო თემატიკის სამწლიან გეგმაში და ამ საქმის შესრულება მე დამევალა, საჭირო საკითხებზე მონაპოვარი მასალები სამეცნიერო სტატიებად პრესაში ქვეყნდებოდა.

აღსანიშნავია, რომ ამ საკითხის სრულყოფილად შესწავლა ცხოველის რიცხოვრივი სიმცირის გამო უკვე დაგვიანებული აღმოჩნდა. ისეთ საკითხზე მასალების აღებას, როგორცაა სისტემატიკა – ზომა-წონა, ზრდა-განვითარება, ექსტერიერი-ინტერიერი, განგური, გამრავლება, დაავადებები, შინაგანი და გარეგანი პარაზიტები და სხვა. ცხოველის მოპოვებაზე ნებართვა რიცხოვრივი სიმცირის გამო არ მოგვითხოვია, თუმცა ბრაკონიერთა ნადავლით მაინც ვსარგებლობდი. საველე მასალების შეგროვებისას ვსარგებლობდი ფოტო-კინო აპარატებით და ვიზუალური დაკვირვებებით, ადგილობრივ მონადირეთა გამოკითხვით. ზოგიერთი საკითხების შესწავლა-დაზუსტებაში ხელი შეგვიწყო 2006 წელს ბორჯომის ეროვნულ პარკში სომხეთიდან ნიაძორების რეკლიმატიზაციის მიზნით შემოყვანამ, სადაც ერთხანობას მხოლოდ უშუალო დაკვირვების საშუალება მომეცა და არა კონსულტანტობისა.

**საკვლევი უბნების მოკლე დახასიათება.** ნიაძორის გავრცელების ადგილების ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა, როგორც მთავარ კავკასიონზე, ისე სამხრეთ კავკასიონზე, თითქმის ერთი ტიპისაა: სიმაღლე ზღვის დონიდან, მთათა ფერდობების დაქანება, ნიადაგების ფიქლის ქანების წყობა-კლდიანობა, კლიმატი, მცენარეული საფარი და რაც მთავარია, მის ადგილსამყოფელში სიმშრალის მოყვარული ფიჭვნარი ნათელი ტყეების არსებობა.

მთავარ კავკასიონზე ნიაძორის გავრცელების ადგილები ზუსტად ემთხვევა ლ. მარუაშვილის დარაიონებას თუშ-ხევსურეთის

ფიზიკურ-გეოგრაფიულ რეგიონს, რომელიც კავკასიონის ჩრდილო ფერდობზე მდებარეობს და უშუალოდ ესაზღვრება ჩაჩნეთ-დაღესტანს, ამ რეგიონის დასავლური საზღვარი (როგორც ნიამორის გავრცელება) არხოტის უღელტეხილიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ არღუნის ხეობაში, შატილსა და ჯარეგოს გასწვრივ მიყვება თუშეთის ქედს ჩილოსა და დიკლოს მთის ფერდს; ამ უკანასკნელიდან საზღვარი მიყვება ანდის ყოისუს ხეობას, აღწევს მთავარ ქედზე აღმართულ შავი კლდის თხემს, ამ საზღვრების ტყეკლდიან ადგილებში ბინადრობს და მას არ სცილდება, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ მისი საცხოვრისი ძირითადად ეს რეგიონია, მას ყველგან არსებობა არ შეუძლია. აქაური ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები განსაზღვრავს მის მობინადრეობას, რაც მის ბუნებაში მოშენებისას აკლიმატიზაციისა და რეაკლიმატიზაციის დროს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. ამიტომ მიგვაჩნია საჭიროდ ამ მონაკვეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება.

ამ ადგილების ძირითად დამახასიათებელ თავისებურებად, უწინარეს ყოვლისა ხეობათა შემოზღუდულობა, დახშულობა, უფრო ერთგვაროვანი გეოლოგიური აღნაგობა, ფიქლური წყებების გაბატონებული მდგომარეობაა. ნიამორის ტიპური საბინადრო ადგილები ტყის ზონას 2600 მ-ს იშვიათად სცილდება, მაგრამ აქ ძალიან რთული რელიეფია, ტყეში ყველგან აღმართულია გაუვალე შვეული კლდეები, ვერტიკალური ნაპრალები, წვეტიანი, კომპურად მდგარი, ზოგან თალივით წამოხურული სიპი კლდეები, რომლებიც ცხოველისათვის ბევრგან გომურის მსგავს თავშესაფარს ქმნის.

აქაური ჰავა გვალვიანი და კონტინენტურია. წლიური საშუალო ტემპერატურა 5 გრადუსია, თვიურ ტემპერატურათა რხევის წლიური ამპლიტუდა 19,4 გრადუსი, ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი 880 მმ. ლ. მარუაშვილს ამ რეგიონის დამახასიათებელ ბუნებრივ თავისებურებად (რაც მას კავკასიონის დანარჩენი, საქართველოს ფარგლებში მდებარე რაიონებისაგან განასხვავებს და დალისტანთან აახლოებს) ფიჭვნარი ტყეების ფართო გავრცელება მიაჩნია. მართლაც, ფიჭვი თითქოს ინდიკატორია ნიამორის არსებობისათვის. ნიამორის გავრცელების ადგილებში,

არღუნისა და პირიქით ალაზნის ხეობათა ტყეების შედგენილობაში მთავარ როლს ყველგან ფიჭვი ასრულებს. ალაგ-ალაგ ფიჭვთან შერეულია თეთრი და შავი არყის სახეობები, უფრო მაღლა ნესტიან ადგილებში ტყე მხოლოდ ჯუჯა არყის, ცირცელისა და ღეკის ბუჩქნარებით არის წარმოდგენილი.

სამხრეთ კავკასიონზე არსიანისა და შავშეთის ქედების შესაყარი მონაკვეთიც, სადაც ამჟამად ნიამორია გავრცელებული, დაახლოებით ასეთივე ბუნებრივი პირობებით ხასიათდება, მაგრამ მთავარ კავკასიონთან შედარებით უფრო ნალექიანი და თბილია.

ეს რეგიონი ტიპობრივი საშუალო მთიანი ეროზიული რელიეფითაა წარმოდგენილი, ზოგან სიმაღლე 2700 მ-ზე აღის, დანაოჭებულია. მისი ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურება მდგომარეობს, უწინარეს ყოვლისა, მის ოროგრაფიულ დახშულობაში — ქვაბულისებრ მოყვანილობაში, მთის თხემების ზეგანივით გაშლილობაში და ნაკლებ განესტიანებაში. წლიური ნალექიანობა 772-1180 მმ-ია. საშუალო წლიური ტემპერატურა 13-11 , უცივესი თვის ტემპერატურა 3,5-0,8 , თვიურ ტემპერატურათა წლიური რხევის ამპლიტუდა 18,5-19 . ეს მონაკვეთი მცენარეულობის მიხედვითაც მკვეთრ კონტრასტში იმყოფება აჭარის ზღვისპირა ნაწილებთან. ხიხანის ციხის მიდამოების კლდიან ადგილებზე ფიჭვია გავრცელებული. ეს ტყე არსიანის ქედის თხემზე წყდება და თურქეთის შიშველ კლდიან ადგილებში გადადის. აქ აღმართული ნიამორის თავშესაფარი მწვერვალები ტყის გავრცელების საზღვარს სჭარბობს. ასეთებია: მთა თლილი ზღვის დონიდან 2541 მ, მთა პრასინაული ზღვის დონიდან 2635 მ. და არსიანის ქედის უმაღლესი მწვერვალი (ნიამორების თავშესაფარი) თავსახნისა ზღვის დონიდან 3000 მ. ეს მთები ძველი გამყინვარების ნაშთებს ატარებს, თანაც ვულკანოგენური წყებებითაა წარმოდენილი — ხასიათდება ეროზიული საფეხურებით. ჩამონაშლები ზოგან გაშიშვლებული მოწითალო ფერისაა და გაუვალ კლდეებს ქმნის. თვით ხიხანის ციხის მიდამოებშიც, სადაც ნიამორი ბინადრობს, წითელ კლდეებს წიწვიანი ტყე ნახევრად ვერ ფარავს. აქედან ეს ცხოველი მისთვის უჩვეულო ადგილებშიც ვრცელდება და შიშველ მთათა მწვერვალებზე კლდის ნაპრალებში აფარებს თავს.

**ნიაძორის მოკლე მორფოლოგიური აღწერილობა.** ლიტერატურაში ნიაძორის ზომა-წონების შესახებ ერთმანეთისაგან განსხვავებულ მოსაზრებებს ვხვდებით. ასე მაგალითად: კ. გასპარიანს მოჰყავს დალის, იშადოვისა და მორიცის მონაცემები, რომ დიდი ვაცის წონა 55 კგ-ს აღწევს, სხეულის სიგრძე 115 სმ-ს, მინდაოში სიმაღლე – 85 სმ-ს; რქების სიგრძე 115-130 სმ-ს; ი. გრომოვის, ა. გურევიის და სხვათა მონაცემებით, ნიაძორი სხეულის სიგრძე 150 სმ-ია, მინდაოში სიმაღლე 80-95 სმ, თხის ცოცხალი წონა 30 კგ-ა, ვაცისა – 35-38 კგ, ქალას სიგრძე 185-225 მმ-ია, წვერების სიგრძე – 20 სმ.

ვ. გეპტნერი, ა. ნასიმოვიჩი, ა. ბანიკოვი აღნიშნავენ, რომ ვაცის ქალას სიგრძე 248-279 მმ-ია, საშუალოდ – 262-263 მმ; თხისა – 215-234 მმ, საშუალოდ – 224-227 მმ, რქების სიგრძე – 110-130 სმ, კუდის სიგრძე – 20 სმ, ცოცხალი წონა – 70-80 კგ.

ი. სოკოლოვის მიხედვით, ნიაძორის სხეულის სიგრძე 150 სმ-ია, მინდაოში სიმაღლე – 80-95 სმ, თავის ქალას სიგრძე – 255 მმ, თხისა – 185-222 მმ; ყურის სიგრძე 10-11 სმ-ია, კული ბეწვიანად – 17-20 სმ, უბეწვოდ – 12-13 სმ, რქის სიგრძე – 140 სმ; ცოცხალი წონა ვაცის – 35-38 კგ-ია, თხისა – 26-30 კგ.

საქართველოში, თუშეთში, ბრაკონიერების მიერ მოკლული ერთი 7-8 წლის ვაციდან ავიღეთ განაზომები და აღვწერეთ მისი მორფოლოგიური ნიშნები, რაც, ცხადია, ამომწურავი არ იქნება ნიაძორის დახასიათებისთვის, მაგრამ მცირე წარმოდგენას მაინც გვაძლევს მთავარ კავკასიონზე გავრცელებული ნიაძორის შესახებ. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ამ მონაცემების აქ მოტანა. ვაცის სხეულის სიგრძე 160 სმ-ია, მინდაოში სიმაღლე – 80 სმ, გავაში სიმაღლე – 89 სმ, ქალას სიგრძე – 24 სმ, ყურის სიმაღლე – 16 სმ, ყურის სიგანე – 7 სმ, წინა წვივის სიგრძე – 28 სმ, უკანა წვივის სიგრძე – 35 სმ, წინა კიდურის ჩლიქის სიგრძე – 5,5 სმ, სიგანე – 4 სმ, წინა კიდურის ჩლიქიდან რუდიმენტულ ჩლიქებადმდე მანძილი – 4,5 სმ. ეს რუდიმენტები კლდიან რელიეფზე ცხოვრებასთან დაკავშირებით, როგორც სამუხრუჭე საშუალება, ორივე კიდურებზე ძლიერ განვითარებული, ბრტყელი და ფხიანია, მათი სიგრძე 4 სმ-ია, სიგანე – 2,5 სმ, უკანა კიდურის ჩლიქის სიგრძე – 5 სმ, სიგანე

– 3,5 სმ, კუდის სიგრძე უბეწვოდ – 11 სმ, ბეწვიანად – 17 სმ. ნიკაპზე ლამაზად ჩამოშლილი 16 სმ-მდე სიგრძის შავი წვერი აქვს. რქის სიგრძე 62 სმ-ა, ძირში გარშემოწერილობა – 26 სმ, წვერში – 5სმ.

ეს ეგზემპლარი შერეული, შავზოლიანობით ხასიათდება (ზურგზე შავი ფერი სჭარბობს), შუბლი და წვერი შავი აქვს, ფერდები მორუხო-ყვალისფერი, მხრებიდან დაწყებული ზოლი ხერხემალზე მკვეთრ შავ ზოლში გადადის, გავაზე გრძელდება და კულსა და კიდურებზე მთავრდება, ჩლიქები კუპრით შავია, მუცელი – თეთრი. სითეთრე კიდურების შიდა მხარეზედაც დაჰყვება და გარეთა მხარეს მუხლებამდე გადმოდის. ბარძაყების უკანა მხარეც თეთრია, წინა შიგნითა მხარეს მოთეთროა, გარეთა მხარეს – მურა-რუხი, წარბები მოთეთრო-ყვალისფერია (ეს მემკვიდრული ნიშნები ჰიბრიდებში იკარგება).

სამხრეთ კავკასიონზე, სომხეთში გავრცელებული ნიამორი უფრო მორუხო-მოწაბლისფროა, იშვიათად გამოერევა შავი მუქზოლიანი მკერდთეთრი ვაცი. ისინი უფრო გახუნებულ მოთეთრო ჭუჭყისფერია, თანაც მომცრო ტანის. თავი პატარა აქვს, კისერი უფრო მოკლე, თავი აღმართულად, ლამაზად უჭირავს.

განსხვავებაა მდედრსა და მამრს შორის შეფერილობაშიც, ეს განსხვავება შორიდან კარგად შეიმჩნევა (თხა უფრო ნაზი, ცქვიტი აგებულებით ხასიათდება, კისერი წვრილი აქვს, რქები პატარა 20-25 სმ სიგრძისა და თხელი), უფრო ერთფეროვანი მოწაბლისფროა, ზურგზე მუქი ზოლი ოდნავ ან სულ არ ეტყობა. ასევეა ახალგაზრდებიც, 2-3 წლამდე საფხულში ერთნაირი რუხი მოწაბლისფრონი არიან, ზამთარში კი რუხი სჭარბობს. მუცელზე სითეთრე მამრებს უფრო ეტყობათ. ვაცს ნიკაპზე წვერი 2-3 წლის ასაკიდან ნელ-ნელა ეზრდება, უშავდება და ზოგჯერ 30 სმ-მდე აღწევს. გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება თხასაც ჰქონდეს 10-15 სმ-მდე სიგრძის წვერი, მხოლოდ არა შავი და ულაზათო. საერთოდ ნიამორი კლდეს შეგუებული პროპორციული აგებულებისა; აქვს ბრტყელი სხეული და სქელი ფეხები, მკერდი განიერი. განსაკუთრებით ლამაზია ვაცი, რომელსაც 40 სმ-მდე სიგრძის აღმართული კისერი და უკან, გავამდე ნამგალივით გადახრილი

130 სმ-მდე სიგრძის ბრტყელი შავი ან მორუხო რქები აქვს. რქა წინა მხარეზე ბორცვებიანი და ფხიანია, უკანა მხარეზე – ბლავვი, ძირში სქელი და განიერია, წვერში თანდათან ვიწროვდება. ამის შესაბამისად ბორცვები ერთმანეთს სცილდება და წვერში ერთი გრძელი წვეტიანი ნაზარდით მთავრდება. რქის შალითა ღრუიანია, მაგრამ მისი ტევადობა 500-600 სმ კუბს იშვიათად აღემატება.

მონადირეები და სპეციალისტები ხშირად მსჯელობენ, რომ რქაზე ბორცვების რაოდენობა მისი ასაკის მაჩვენებელია. თიკანს პირველ წელს 10-12 სმ-მდე სიგრძის რქები ეზრდება და ამ დროს უჩნდება პირველი ბორცვიც, შეიძლება ეს ბორცვი მეორე წლამდეც არ გამოეზარდოს. ამის მიხედვით ორი წლის ვაცს შეიძლება ერთ ან ორბორცვიანი რქა ჰქონდეს, 4-5 წლისას 3-4-ბორცვიანი და ა.შ. ნიამორის რქაზე სხვა წლიური რგოლები უფრო კარგადაა გამოხატული და ხნიერ ეგზემპლარებში ეს რგოლები და ბორცვები ერთმანეთს აღარ შეესატყვისება. 10-15 წლის ვაცებში რქაზე ბორცვების რიცხვი 7-9, მეტი არაა. ბორცვები ნიამორს ზრდის დამთავრებამდე 5-6 წლამდე უფრო ინტენსიურად უვითარდება, შემდეგ კი თანდათან კლებულობს და ზოგიერთ ხნიერ ეგზემპლარს თანდათან უპატარავდება და შეიძლება სუსტად ან სულ არ ჰქონდეს გამოხატული.

ასევე არ შეიძლება ნიამორის ასაკის განსაზღვრა რქის სიგრძის მიხედვითაც. რქა შეიძლება იყოს 130 სმ-მდე სიგრძის 9-ბორცვიანი, ამავე ასაკის ან უფრო ხნიერ ნიამორს კი 80 სმ-მდე სიგრძისა 3-5 ბორცვიანი სქელი რქა ჰქონდეს, რომელიც ტევადობით ბევრად აღემატება გრძელ რქას, მაგრამ სწორად მდგომი მცირედ გადახრილი და უშნოა.

ამ საკითხის გასარკვევად მოგვყავს მთავარ კავკასიონზე მოპოვებული ხნიერი ვაცის რქების განაზომები: რქები შავი, მარჯვენა რქის სიგრძე 126 სმ ა, მარცხენა კი 125 სმ. ორივე რქის გარშემოწერილობა თანაბარია: ძირშია 27 სმ, წვერში – 26 სმ. ორივე რქაზე შვიდშვიდი ბორცვი აქვს. მარჯვენა რქაზე წვერში მე 6 ბორცვი სუსტადაა გამოხატული. ბორცვებს შორის მანძილი არათანაბარია. რქის ძირიდან ზევით განაზომები ასეთია: მარჯვენა რქაზე ქალაღან პირველი ბორცვი დაცილებულია 9 სმ-ით, პირველ-

იდან მეორე ბორცვამდე მანძილი 10 სმ-ია. მეორედან მესამემდე 15 სმ, მესამედან მეოთხემდეც – 15 სმ. აქ რქის ზრდის ეს კანონზომიერება ირლვევა. ჯერ თანაბრდება, შემდეგ კლებულობს, მაგალითად: მეოთხედან მეხუთე ბორცვამდე მანძილი 14 სმ-ა, აქედან მეექვსე ბორცვამდე – 17 სმ, ხოლო მომდევნო ბორცვამდე – 18 სმ. უკანა ბორცვიდან რქის წვერამდე ბორცვები აღარ ეტყობა და მანძილი 28 სმ-მდეა გაზრდილი.

ეს კანონზომიერებაა დაცული მარცხენა რქაზედაც. ქალაღან პირველი ბორცვი დაცილებულია 9 სმ-ით, პირველ და მეორე ბორცვს შორის მანძილი 11 სმ-ია, მესამემდე – 15, მეოთხემდე – 15, მეხუთემდე – 14, მეექვსემდე – 15, მეშვიდემდე – 18 სმ, რქის წვერის სიგრძე კი – 27 სმ-ია.

ე.ი. ჩანს, რომ რქები ერთნაირი კანონზომიერებით ვითარდება. რქის ძირსა და წვერში, ე.ი. ახალგაზრდობისა და სიბერის დროს განვითარება არათანაბარი, მაგრამ კანონზომიერია, შუა ასაკში – თანაბარი. ეს ნიშნავს, რომ რქის ზრდა და ცხოველი ამ ასაკში ჩამოყალიბდა. შემდეგ წლებში რქა წვრილდება, წვეტიანი ხდება, ბორცვებს შორის მანძილი თანდათან მატულობს, ბორცვების რიცხვი კლებულობს და ქრება. რქის ზრდა-განვითარება სიბერის დროს უფრო ცვალებადობს, თანდათან კლებულობს და წყდება.

**გავრცელება.** ლიტერატურული მონაცემების მიხედვით ნიამორი გავრცელებულია საბერძნეთის არქიპელაგზე, მცირე აზიაში, წინა აზიაში, ირანში, თურქეთში, კოპეტდაღზე, დიდ ბალხანებზე, სამხრეთ თურქმენეთში, დასავლეთ ინდოეთში, სომხეთსა და აზერბაიჯანში.

საქართველოში ნიამორის გავრცელებისა და საარსებო გარემოზე ძალიან მწირ, ერთმანეთის მსგავსს, ხშირად არაზუსტ ცნობებს გვაწვდიან. მაგალითად: ნ. დინიკი, ი. სოკოლოვი, ა. ჯანაშვილი, ნ. ვერეშჩაგინი დამაჯერებლად მიუთითებენ, რომ ნიამორი გავრცელებულია მთავარ კავკასიონზე არღუნისა და ალაზნის სათავეებში (ხევსურეთსა და თუშეთში), აგრეთვე ბორჯომის ხეობაში და თრიალეთის ქედზე.

არღუნისა და ალაზნის სათავეებში ნიამორი არ გვხდება. იგი შემორჩენილია ორ მცირე მონაკვეთზე, ისიც იქ, სადაც ეს მდინარეები საქართველოს ტერიტორიას ტოვებენ. ბორჯომის ხეობაში და თრი-



აღეთზე კი ნიამორი, საერთოდ არ მოიპოვება. ნ. ვერემჩაგინი იმასაც აღნიშნავს, რომ ნიამორი დალესტნიდან ლაგოდენის საზღვრებში შემოდის, რაც ჩვენი გამოკვლევით არ დასტურდება, აქ მისი შესაფერისი ადგილსამყოფელი - ფიქლის კლდიანი თავშესაფრები არაა.

ვ. გეპტნერის, ა. ნასიმოვიჩის, ა. ბანიკოვის მონაცემებით ნიამორი გავრცელებულია სვანეთში, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. ისინი იმოწმებენ (ჰფი ცენმაიერის – 1915) ცნობებს იმის შესახებ, რომ ხევსურეთში არაგვის ხეობაში ორწყალთან მოპოვებულია ჯიხვისა და ნიამორის ჰიბრიდი. ეს არა სარწმუნო ცნობები, როგორც ჩანს, მონათხრობითაა შექმნილი, რადგან ამ ადგილას ჯიხვი და ნიამორი არასოდეს ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო, რადგან იქ მათი საარსებო ადგილსამყოფელი არაა.

ამგვარად, საქართველოში ნიამორის გავრცელების თაობაზე, მეცნიერულ მარშრუტულ გამოკვლევებზე დამყარებული ზუსტი ლიტერატურული ცნობები არ მოგვეპოვება. მისი შესწავლა კი სამონადირეო ტურიზმისათვის საჭიროა. ამიტომ ამ საკითხს ყურადღებას ვაქცევდით ჯერ კიდევ 1963-1965 წლებიდან, როცა საველე სამეცნიერო სამუშაოებს ვატარებდით ჯერ მთავარ კავკასიონზე, ხოლო შემდეგ სამხრეთ კავკასიონზე, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთისა და აჭარის მთებში. წლების სხვადასხვა დროს სხვადასხვა უბანში მრავალჯერ გვიხდებოდა საველე-სამეცნიერო სანადირო გასვლები, მაგალითად – 1965 წელს საველე-მარშრუტული გამოკვლევა ჩავატარეთ კახეთის კავკასიონზე ალაზნის სათავეებში სპეროზას მთაში, პირიქითი ალაზნისა და გომეწრის ხეობებში, სადაც გადმოცემით, ნიამორი უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ნიამორი მხოლოდ თუშეთში ვნახეთ, ისიც ჩილოს ხევში – ტუტარიკსა და დიკლოს ხეობაში. 1966 წელს საველე-სამეცნიერო გასვლები მოეწყო ყვარლის რაიონის მთაში ბურსა ღურუჯისა და არემის ხეობებში, ლოლოიანსა და მის მოსაზღვრე დალესტნის ტერიტორიაზე – სიმურის ხეობაში, აგრეთვე თუშეთში გომეწრის ხეობაში. 1967 წლის ოქტომბერში საველე-სანადირო გასვლა მოეწყო ლოპოტის ხეობის გავლით სასანთლის მთასა და დალესტნის მთებში. ნიამორი არც აქ შეგვხვედრია. ამავე დროს მარშრუტები გან-მეორდა ყვარლისა და ლაგოდენის

მთაში, ჩელთისა და კაბალის ხეობათა სათავეებში, საბუისა და დაღესტნის საზღვარზე, იქ, სადაც ადრე ნიაშორი იყო გავრცელებული, მაგრამ ამ უბანში საქართველოს ტერიტორიაზე ახლა შემოსული ნიაშორი არც ჩვენ გვინახავს და არც მონადირეებს.

1968 წლის ივლისში, ხევსურეთში, ასას ხეობის მარჯვენა მხარეს ბისნა ჩორეხის სამონადირეო სავარგულში ვნახეთ 11 ნიაშორი. 1978 წლის სექტემბერში ამ ადგილებში კვლავ მოგვიხდა ორი კვირით ყოფნა და ერთი ვაცილა შეგვხვდა. დანარჩენი ნიაშორები, როგორც გაირკვა, ჯიხვებზე მონადირე ბრაკონიერებს გაუწყვეტიათ. ნიშუშად ერთი რქა გამომატანეს. ასას ხეობის მომიჯნავე არღუნის ხეობაში გამოვიკვლიეთ არდოტის ხეობა და ანატორის მიდამოები, სადაც გადმოცემით 2009 წელს შატილელმა მონადირეებმა ანატორის ხატის ტყეში 3 ნიაშორი კვლავ იხილეს და 2010 წელს მოკლეს.

1978 წლის ოქტომბერში ერთხელ კიდევ შემოვიარეთ ყვარელ-თელავის სასაზღვრო საბუის მთის სანიამორე სამონადირეო სავარგულები, მაგრამ ნიაშორი აქამდე არ ამოღის. იგი მხოლოდ საკმაოდ დაბლა, დაღესტნის ტერიტორიაზე ზღვის დონიდან 1800 მეტრზე ავათლოსა და ხეტლის მთაზე ვნახეთ.

1983 წლის ოქტომბერში საველე სამეცნიერო გამოკვლევები შვეულმფრენით ჩავატარეთ ასას ხეობის მარცხენა მხარის მომიჯნავე თერგის შენაკადებში. შევამოწმეთ ხდესა და თარგმნის წყლის ხეობათა ჯიხვის სამონადირეო სავარგულები. გაირკვა, რომ ამ ადგილებში ნიაშორი საერთოდ არ ვრცელდება.

ასეთივე მარშრუტული გამოკვლევები ჩავატარეთ მცირე კაკას-სიონზედაც. მეცნიერები აზრს გამოთქამდნენ, რომ ნიაშორი თითქოს გავრცელებულია ბორჯომში, თრიალეთის ქედზე და ატენის ხეობის სათავეებში. ჯამჯამას მთაში 1976 წლის 23 ივლისს გორის პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომლებთან, ვახტანგ და ვასილ გელდიაშვილებთან ერთად (რომლებიც ნიაშორის აქ გავრცელების აზრს იზიარებდნენ) მოეწყო ექსპედიცია. მარშრუტით შევამოწმეთ ჯამჯამას მთის ტყეკლდიანი სამონადირეო სავარგულები – ბიტარბის მთის გადასასვლელის ჩათვლით, მაგრამ ნიაშორი აქ არც ჩვენ, არც მწყემსებსა და ადგილობრივ მონადირეებს უნახავს.

არც მოსახლეობაში აღმოჩნდა ნიაძორის არსებობის დამადასტურებელი ნიშანი (რქების სახით). აქ ნიაძორის შესაფერისი ადგილ-სამყოფლები მცირე ფართობზეა და კიდევ რომ ყოფილიყო, უთავშესაფაროდ ვერ გავრცელდებოდა და ვერ იარსებებდა.

1981 წლის აგვისტოში ნიაძორს მხოლოდ ხიხანის ხეობის სათავეებში (ხიხანის ციხის მიდამოებში სასაზღვრო ნეიტრალურ ზონაში) მივაკვლიეთ. აღსანიშნავია, რომ მანამდე აქ ნიაძორი არ ყოფილა აღნიშნული.

ამგვარად, 1981-1983 წლებში ჩატარებული საველე გამოკვლევებით საბოლოოდ დადგინდა, რომ საქართველოში ნიაძორი მხოლოდ სამ უბანში (9 10 ათას ჰექტარზე) ბინადრობს. მისი გავრცელება და რიცხობრივი განაწილება ასეთია: მთავარ კავკასიონზე – არღუნის ხეობის შუაწელში (იხ. რუკა I), მისი არეალი არდოტისა და არღუნის წყლის შესაყარიდან იწყება, ვრცელდება მდინარის დინების მიმართულებით, ძირითადად მდინარის მარჯვენა მხარეს მდებარე ფიჭვნარი ტყის მასივებში – არიშკის ხევის ჩათვლით (1100-2600 მ.ზ-დ ფარგლებში), მის გაგრძელებაზე ჩაჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე ხოზუნდის სერზე, ბაზდეთის ხეზე უფრო მრავლადაა. ამ ხეობიდან შედის და ვრცელდება ასას ხეობის მარჯვენა მხარემდე – ბისნა-ჩორეხის ხეების ტყიან ადგილსამყოფელში. აღსანიშნავია, რომ ნიაძორისა და ჯიხვის შეხვედრა და თანაცხოვრება ამ ხეობაში და თებულოს მთაში – მაციეხში ხდება. აქ მაისტის მთაში ვაცები ზღვის დონიდან 3500 მეტრზე აღიან. ეს იმაზე მიგვითითებს, რომ თუ დავიცავთ და ხელს შევუწყობთ, ამ უბანში ნიაძორი შეიძლება გავრცელდეს და იარსებოს არა 2500 ჰექტარზე, არამედ ასას ხეობაში, არხოტის, შატილის მიდამოებში, არდოტის ხეობაში, გუროსწყლის ხეობაში 15-20 ათას ჰექტარამდე კლდიან, სხვა მხრივ ნაკლებად გამოსაყენებელ ტერიტორიებზე, მაგრამ ნიაძორის აქ გავრცელებას ბუნებისადმი ბარბაროსული დამოკიდებულება ბრაკონიერობა აბრკოლებს.

პირიქითი ალაზნის ხეობაში ნიაძორი მხოლოდ ჩილოს, დიკლოსა და ანდის ყოისუს ხეობებში (1200-2800 მ.ზ-დ ფარგლებში) დაახლოებით 5000 ჰექტრამდე ტერიტორიაზე ბინადრობს.







იქაც ყველგან ერთნაირი რაოდენობით არაა განაწილებული. იგი ძირითადად თავმოყრილია გაუვალ ქარაფიან კლდეებიან ტყეში. ასე მაგალითად, მისი საბინადრო ადგილებია: ჩილოს ხააში, ხეობის მარცხენა მხარეს შენაქოს ღელემდე – ტუტარიკის ღელეებში, აქ ალოტებია (მინერალური წყლები – ვეძები) და ამიტომ იყრიან თავს. ჩილოს ხეობის მარცხენა მხარის ჩრდილო ნაკლებად ტყიან ფერდობზე, ლაშარის გორის უკანა ფერდობზე ერთეულები გადიან. ასევე ჩილოსა და დიკლოს შორის მდებარე შიშველ უტყეო ტაოს გორამდე ნიაშორი იშვიათად ადის, იგი გვხვდება დიკლოსა და ჭეროს შორის მდებარე სავარგულში, ყველაზე მრავლადაა ანდის ყოისუს ხეობის მარჯვენა მხარის ვებუს მთაში. აქედან გამოდის გულფიჭვთანასა და ციხის ღელეში. მის გაგრძელებაზე დაღესტნის ტერიტორიაზე ქიონისა და ხუშეთის ტყე-კლდიან სამონადირეო სავარგულში ფართობი უფრო იზრდება და ნიაშორის არეალიც უწყვეტია. ანდის ყოისუს ხეობის სათავიდან მოხეტიალე ვაცები ხვდებიან არიშკის და არდოტის ხეობათა სათავეებში, არღუნის – გუროს ხეობის გავლით ასა-არხოტის ხეობამდე აღწევენ. იყო შემთხვევა, ერთმა უდიდესმა ვაცმა თერგის სათავეებში შეაღწია, იქ ჯიხვებს კი არ შეუერთდა, სოფელ გორის ციხის ცხვრის ფარაში შეერია, ერთი კვირა ძალმომრეობდა, ფარა შეაწუხა და მოკლეს.

ნიაშორი სამხრეთ კავკასიონზე (იხ. მარშ. III) არსინის ქედის პრასინაულის მთის სასაზღვრო ნეიტრალურ ზონაში ძირითადად ხიხანის ციხის მიდამოებში, ზღვის დონიდან 1500-2300 მეტრზე კუნძულივით ფიჭვნარ ტყე-ში 1000 ჰექტრამდე ფართობზე ბინადრობს. აქედან მისი გავრცელება რელიეფის თავისებურების გამო შევიწროვებულია, მთის თხემს ჰორიზონტალურად მიჰყვება. ყარადერსუს მთის ფერდობზე არეალი შემოჭრილი სახითაა, საქართველოს ფარგლებში 3000 ჰექტრამდე ტერიტორიას იკავებს და თურქეთში გადადის. მის არსებობასა და მრავალრიცხოვნობას მტკიცედ დაცული სასაზღვრო ზონა განაპირობებს.

ამგვარად, საქართველოში ნიაშორი გავრცელებულია (მთავარ კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებზე, არღუნისა და პირიქითი ალაზნის ხეობებში, ჩაჩნეთ-დაღესტნის მოსაზღვრე ტერიტორიაზე

– ანდის ყოისუს ხეობაში და სამხრეთ კავკასიონზე არსიანის ქედის თხემზე – ხიხანის ხეობის სათავეებში თურქეთის მოსაზღვრე ტერიტორიაზე) დაახლოებით 9-11 ათას ჰექტარამდე ფართობზე, ვერტიკალურად 1000-2600 მ. ზღვის დონეზე.

**ადგილსამყოფელი.** ლიტერატურაში მოხსენებულია, რომ ნიამორი მრავალგვარ ადგილსამყოფელში ბინადრობს. იგი დიდი შემგუებლობითა და პლასტიურობით ხასიათდება. ნ. ვერემჩაგინის მონაცემებით, აზერბაიჯანში – კეჩალ დაღის მთაში ნიამორი ძირითადად წიფლნარი ტყის შუა სარტყელში ბინადრობს. სომხეთში – ნახჭევანში კი (1947 წლამდე) ნახევრადუდაბნოში გვხვდებოდა; ვ. ჰეპტნერი, ა. ნასიმოვიჩი, ა. ბანიკოვი აღნიშნავენ, რომ ნიამორი კასპიის ზღვის სანაპიროზე ახლაც ნახევრადუდაბნოში ზღვის დონეზე 100-200 მეტრზე ბინადრობს.

საქართველოში გავრცელებული ნიამორი საბინადროდ მთის მშრალ ფიჭვის ნათელტყიან ისეთ ციკაბო ფერდობებს ირჩევს, სადაც დახრილობა 60-70 გრადუსია და ფიჭვისა და კი უჭირს დაფესვიანება. ისე, რომ ყველაზე მეტად ნიამორის ადგილსამყოფელში მიმდინარეობს თვით ბუნებისაგან გამოწვეული ურთულესი სტიქიური პროცესები: ექსპოზიციები, ქარები, ყინვები, ჩამორეცხვები, ეროზიები, მიწისა და თოვლის ზვავები, რომლებიც მოქმედებენ როგორც მცენარეულ საფარზე, ისე უშუალოდ ამ ცხოველზე. ამიტომ არის, რომ ფიჭვნარი ტყე, რომელიც ნიამორის არსებობისათვის ინდიკატორის სახითაც კი გვევლინება და შორიდან თითქოს ერთნაირი სახისა და ლამაზადაც კი მოჩანს, დიდ ბუნებრივ ცვლილებებს განიცდის. აქ ტყე და კლდე ერთმანეთშია არეული, ბევრგან ქარაფიანი კლდის წვერები ტყესთან ერთადაა აღმართული, ზოგან ტყე მთლიანად მოსპობილია და მის ადგილას შიშველი (ნაცრისფერი, შავი, ყავისფერი, წითელი) ქანები მოჩანს, ზოგან ფიჭვნარის ადგილას ღვია, გარაკლა, ხუნწი და სხვა ბუჩქნარები იკავებს. ამ ადგილების ხალხური სახელწოდებებიც ტოპონიმები აქედან მომდინარეობს (იხ. მარშრუტები). მშრალი ჩხატი, წყლიანი ხევი, წითელი კლდე, შავი კლდე, პირმზითი, ღვიიანი თბე, ნაშალი კლდე, არყიანი, ცუცუნაიანი (ფხვიერი) კლდე და სხვა.

ტყე ხევისპირა ღელეებშიც ბევრგან საგორავი ქვისა და ზვავე-



ბის მოქმედებისგანაა მოსპობილი. გამიშვლებული რუები ნაშალი ქვის ზვავებითაა ამოვსებული. ეს პროცესები თავისთავად უარყოფითად მოქმედებს ამ ცხოველის სავარგულსა და რიცხოვნობაზე.

ნიაძორის ადგილსამყოფელში მცენარეული საფარი საბოლოოდ მაინც თავის იერს იღებს და პირველ რიგში ექსპოზიციების მიხედვით ნაწილდება. მაგალითად, სამხრეთ დასავლეთ და სამხრეთ აღმოსავლეთ ექსპოზიციის დიდი დაქანების ფერდობებზე ქარისა და მზის რადიაციის გამო თოვლი არ ჩერდება. დიდი ზვავები არ იცის, ხეები გაიშვიათებული, მაგრამ სწორმდგომი, ნიაძორის საკვებად მიუწვდომელია. ბალახეული საფარი ქვა-კლდეებზე კარგად ვერ ხარობს, მეჩხერია, ხშირად ჩამონაშალებში – მთლად მოსპობილი.

ჩრდილოეთისკენ მოქცეულ ფერდობებზე კი ხშირია დეკიანი, ცირცელი და არყნარები. იქ, სადაც ზვავე არ ხვდება და კლდეებს თავისთავად პატარ-პატარა – 20-50 მეტრის სიგანის ტერასები აქვს შექმნილი, თოვლი დიდხანს ჩერდება, მუდმივი სინესტეა და ნიაძორის საკვების მომცემი ბუჩქნარები და ბალახი იზრდება, ნიაძორის ადგილსამყოფელში ასეთი ტყეთა და კლდეთა შორის მოქცეული ღია, ზოგან მოვაკებული მწვანებალახიანი მდელოები ხვეის პირიდან იწყება და ტყის ზედა სარტყელში სუბალპურსა და ალპურ ზონაში გადადის. ესაა ნიაძორის ტიპური საძოვარი. თიკნიანი დედებიც პირველად აქ გამოჩნდებიან. ამიტომ უწოდებენ მას სათიკნიას.

ნიაძორის ადგილსამყოფელში ჰავა ცივია. ნ. კეცხოველის მონაცემების მიხედვით, ყველაზე თბილი თვის საშუალო ტემპერატურა 10 გრადუსს შუა მერყეობს. წელიწადში სულ 1-3 თვეა, როდესაც ტემპერატურა 10 გრადუსზე მეტია. ყველაზე ცივი თვისა – 6 გრადუსი და ზოგჯერ უფრო ნაკლებიცაა, რასაც ეს სითბოსმოყვარული ცხოველი გაჭირვებით ეგუება.

ნ. კეცხოველის მიხედვით, ნიაძორის ტიპურ ადგილსამყოფელში შეიძლება გამოვყოს მცენარეულის შემდეგი დაჯგუფებები: ფიჭვნარი სტომით; ფიჭვნარი სელშავით; ფიჭვნარი კეწერათი; ფიჭვნარი მჟაველათი; ფიჭვნარი ხავსით; ფიჭვნარი თივაქანართი; ფიჭვნარი ქასართი; ფიჭვნარი ძივით; ფიჭვნარი ღვიით; ფიჭვნარი გლერძათი; ფიჭვნარი ნარევი ფოთოლმცვივანი ბუჩქ-

ქნართ; ფიჭვნარი კოლხური ელემენტებით; ფიჭვნარი მორენებზე; ფიჭვნარი ჩამონახვავებზე; ფიჭვნარი გამონატანის კონუსზე; ფიჭვნარ-მუხნარი და სხვ.

როგორც ირკვევა, ნიამორს ეს რთული ადგილ-სამყოფელი თავის ნებით არ ამოურჩევია, მისი აქ დამკვიდრება და მობინადრეობა თავიდანვე ანთროპოგენური ფაქტორებითაა გამოწვეული და მის უდიდეს შემგუებლობასა და ამტანობაზე მეტყველებს. მაგრამ, რაკი ერთხელ შეხიზნებია და შესთვისებია ამ ღუხჭირ, ისედაც ხიფათიან ცხოვრებას, დღესაც აქ ურჩევნია ყოფნა თავისი მოდემის გადასარჩენად. ამ ადგილ-სამყოფლის უდიდეს ღირსებად ის უნდა ჩაითვალოს, რომ ეს უძვირფასესი ცხოველი აქამდე სწორედ გარემომ შემოუნახა კაცობრიობას.

**ცხოვრების ნირი, კვება.** საქართველოში ნიამორი ერთნაირ ეკოლოგიურ გარემოში იძულებით ბინადრობს, ეჩვევა ადამიანს და შინაურ პირუტყვს, სათანადო ხელისშეწყობით იტანს ტყვეობას და მრავლდება, მაგრამ დიდხანს ვერ ცოცხლობს. თუ ველზე გაუშვებთ, გაველურებაც მალე იცის, თხა უფრო მალე ველურდება, ვიდრე ვაცი. ადამიანმა ეს ღირსება მასში დიდი ხნის წინათ შენიშნა, პირველად თხა მოიშინაურა და დღემდის მიმდინარეობს სელექცია. მიღებულია წელიწადში 400-500 ლ-მდე მეწველი ჯიშები, რძის ცხი-მიანობა 4,3 %, ამდენივეა ნახშირწყლები. ამასთან 3-4 კგ ნაპარსი, 25-30 კგ-მდე ხორცი და 4-6 კგ ქონი, რასაც სამკურნალო მნიშვნელობა აქვს.

თხის მოდემას უკლდეოდ არსებობა თითქმის არ შეუძლია. სადაც არ უნდა იყოს იგი – როცა შესაძლებლობას ნახავს, ყოველთვის კლდე-ბუჩქებისაკენ გარბის. ამიტომ შეარქვეს კლდის თხა. ეს თვისება შინაურ თხასაც თავის წინაპრისგან მოსდგამს. ის პირწმინდად სპობს ახალ აღმოცენებულ ტყის ნარგაობას.

ნიამორის საბინადრო ადგილები – ქარაფიანი, გაუვალი კლდეები, ჯიხვის ადგილსამყოფელს არ ჩამოუვარდება. პირიქით, ბევრგან უფრო ციცაბოა. ამიტომ, რომ ნიამორი ჯიხვზე ორჯერ მეტ სიგრძისა და სიმაღლის ნახტომებს აკეთებს. იგი შეეუღლ კლდეზე სამ მეტრზე მაღლა ხტება. მდინარე არღუნზე, რომლის სიგანე შევიწროებულ ადგილში 9-10 მეტრზე ნაკლები არაა, ნიამორი

ერთი ნაპირიდან მეორეზე სკუპით თავისუფლად და ლამაზად ხტება. თუ გაუჭირდა, მთის სწრაფ მდინარეშიც კარგად ცურავს.

საქართველოს პირობებში ნიაძორი თავისი ადგილსამყოფლის ტიპური მობინადრეა. იგი ჯიხვსავით ფართო მიგრაციებს არ ახდენს, სადაც იბადება, იზრდება, ბერდება და კვდება, საძოვარზე, წყალზე და თავშესაფრისკენაც ერთი ამორჩეული ბილიკით დადის. შეიძლება ეს მისი სიფრთხილითა და მტრთანობითაა გამოწვეული. ბინადრობს ჯგუფურად (2-3-5-7 სული ერთად).

ნიაძორის ქცევები, ადგილმონაცვლეობა, ძირითადად დაკავშირებულია გამრავლებასა, კლიმატურ ფაქტორების მოქმედებასა, კვებასა და თავდაცვასთან.

შემოდგომის ბოლომდე ნერბვის დაწყებამდე ვაცები და თხები ცალ-ცალკე არიან, მაგრამ ხშირად დილა-საღამოს საძოვარზე ერთად გვხვდებიან და ისევ მალე იშლებიან. განცალკევებულად უფრო ხნიერი ვაცები და მშობიარე თხები ცხოვრობენ. ვაცები ცალკე ჯგუფებსაც ქმნიან და ტყის ზედა სარტყელში, ალპურ ზონამდე, საჯიხვეებამდე ადიან. მაგალითად, თებულოს მთაში ფერდობებზე ვაცები საჯიხვეებში გვხვდებიან იმ დროს, როცა თიკნიანი თხები და ორ-სამ წლამდე მოზარდები, არწივის შიშით ტყის ზონას არ სცილდებიან, ერთად არიან, საძოვარზედაც ერთად გამოდიან და ერთნაირად ფრთხილობენ. ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ჯგუფს ბებერი თხა მეთაურობს. ჩვენი დაკვირვებით, ხნიერი, გამოცდილი თხები და ვაცები უფრო ფრთხილობენ, ვიდრე მოზარდები და შუახნისანი. მოზარდებთან მყოფი დედა თხა უფრო ადრე იგებს საფრთხეს, ფრუტუნებს და დაფეთებული გარბის ან ჩუმად გაიპარება. საერთოდ, ნადირობისას უფრო ძნელად მიეკარები ხნიერ ვაცებს, რომლებიც ყოველთვის ცალკე, მაღლა, ღია, კლდიან ძნელად მისადგომ ადგილებში ბინადრობენ და კლდის ქიმებზე დგებიან. ამ შთაგონებითაა ნამღერი:

„ქარაფზე წადგა კლდის ვაცი,  
ლამაზად გაიხარაო,  
წამაიგრძელა კისერი,  
რქებ ზურგზე გადიყარაო,  
კლდეებზე რქათა ნაგრილი  
მშვილდლივით მაინარაო.“ (ხალხ.)

ვაცი უფრო ფრთხილი და დაკვირვებულა, საფრთხის დროს უცბად არ ფეთდება და უგზოუკვლოდ არ გარბის. ისე ამაყად იჭერს თავს, თითქოს ვერც შეგნიშნა, თან გაკვირდება და როცა თვალს მოეფარები, სწორედ მაშინ მოქმედებს, იმ არემარეს სწრაფად გაეცლება. ზოგჯერ ბილიკზე წინ თხები მიდიან, თვითონ კი ნელ-ნელა მიჰყვება უკან, მათზე უფრო წინ ხშირად ვაცუნები გარბიან.

საერთოდ, თიკნები და მოზრდილებიც ძალიან მოძრავნი, მოუსვენარი არიან, უყვართ თამაში, ერთ ადგილას ვერ ჩერდებიან, ხშირად დედას უსწრებენ, არ უგონებენ. მათ მრავალი მტერი ჰყავს და ჯგუფს მოცილებულებს მაშინვე არწივი, ბატკანძერი ან სხვა მტაცებელი ესხმის თავს. ამიტომაც, რომ ახალ დაბადებულს, რომელიც ფეხზე მაშინვე დგება, დედა პირველ ხანებში თან არ ატარებს. მას გამოქვაბულში, ლოდების ან ხეების ქვეშ მალავს. ჩილოს ხეში ალოტებთან (ვერძებთან) თიკნის კიკინი გავიგონე, მას დედა ფრუტუნით გამოეხმაურა და კიკინი აღარ განმეორდა. თიკანი დანახვისთანავე ობიექტივში მოვაქციე – თითქოს ფეხზე ძლივს დგებოდა. უცბად ელდასავით წამოხტა და ტყეში გაუჩინარდა. იმ ადგილზე დიდხანს ჩავუსაფრდი, მაგრამ დედამ ისე გააპარა, მათი ასავალ-დასავალი ვერც გავიგე.

ნიაშიორი უამინდობისას ბევრს არ მოძრაობს, მას განსაკუთრებით თოვლის ზვავები და მთის ნაშალი საგორავები ზღუდავს. ხშირად კალოსტოლა მყუდრო ტაფობში ატარებს რამდენიმე დღეს და შიმშილობს. ზამთარში მის ნადგომ ადგილებში ხეები შემოღრღნილია, ხოლო ბუჩქნარის ტოტები გადაპარსულივით გადაჭმული, ლოდებიდან და ხეებიდან ხავსი და მღიერები ახეკილი. ხნიერი, გამოცდილი ნიაშიორიც კი ბუნების სტიქიურ საშიშროებას წინასწარ ნაკლებად გრძნობს. საზვავო ადგილებში და სადაც კლდის ნაშალი ჩამოდის, არ ერიდება და იღუპება.

ნიაშიორი შორეულ მიგრაციას არ ახდენს, თოვლის საფარისა და სხვა კლიმატური ფაქტორების გავლენით, უფრო საკვების მოპოვებასთან დაკავშირებით, ადგილსამყოფელშივე ფერდობებისა და ექსპოზიციების მიხედვით მცირე მანძილით გადაინაცვლებს. მაგალითად: როცა დიდი თოვლი სტიქიურად, უცბად მოდის, ნიაშიორი ტყის ზედა სარტყლიდან დაბლა ხვეისპირა ღელეებში ჩამოდის,

ან სამხრეთ-დასავლეთ ექსპოზიციის კარგად განათებულ ფერ-დობზე გადაინაცვლებს. ქარის დროსაც მოფარებულ, ნათელ ტყიან ფერდობზე ჩერდება და მყუდრო ღელეებში აფარებს თავს. წვიმასა და თოვლში ბევრს არ მოძრაობს, სითბოს მოყვარულია, თავს წამოხურული კლდეებისა და ლოდების ქვეშ აფარებს ან გამოქვაბულში შედის, რაც მის ადგილსამყოფელში (ფიქლის კლდეებიან ხეობებში) ყველგან ხშირადაა. დიდ ჯგუფებს ნიაშირის რიცხობრივი სიმცირისა და საკვების უკმარისობის გამო არ ქმნის, და თუ შექმნა, ისევ მალე იშლება. გამრავლების დროს შექმნილი ჯგუფებიც მოკლე ხანში იშლება.

ნიაშირი, თუ ადამიანი მასზე არ ნადირობს, ბევრად არ ერიდება, მიმნდობია, არ გაურბის, მის სიახლოვეს ცხოვრობს, ეს თვისება მას ხშირად ღუპავს. ამის საუკეთესო მაგალითია, თუნდაც ის, რომ არლუნის ხეობაში შატილის მახლობლად ანატორის ხატის ტყეში, სადაც ადამიანი ხატის რიდით, საერთოდ არ შედიოდა (ფართობი 1500 ჰექტარამდე) ნიაშირი 1948 წლამდე ბინადრობდა. ადგილობრივი მცხოვრებნი ამბობენ, ნიაშირები წყლის დასაღვევად ყოველდღე არლუნის ჭალაში ჩამოდიოდნენო, ხალხი მათ ხვდებოდა, ხედავდა, ხატის ცხოვლად თვლიდა, თოფს არავინ ესროდა. ნიაშირები გრძნობდნენ ადამიანის სიკეთეს და მიეჩვივნენ ასეთ თანაცხოვრებას. ამ პატარა ფართობზე გამრავლდნენ, ჯგუფად დამკვიდრდნენ, მაგრამ ომიანობის შემდგომ წლებში შეიარაღებულმა ურწმუნო პოლიციელებმა ეს ცხოველი მთლად გაჟლიტეს. დაგვრჩა მხოლოდ გამოცდილება, რომ ნიაშირის მოშენება-მომრავლება ასეთ პატარ-პატარა ფართობებზედაც ადვილად შეიძლება.

იქ, სადაც ამ ცხოველზე სისტემატურად ნადირობენ, ნიაშირი სიფრთხილით ჯიხვს აჭარბებს, მას საუკეთესო ყნოსვა, მხედველობა და სმენა აქვს. სწრაფად დარბის და თამამად დახტის შვეულ კლდეებზე. წინასწარ გრძნობს საფრთხეს, შედის ისეთ თავშესაფარში, სადაც ადამიანი ვერ მიუდგება, მაგრამ წყალზე, სამარილეზე, საძოვარზე გამოსვლის ადგილებში უსაფრდებიან და ამგვარად ნადირობენ მასზე.

ნიაშირი საძოვარზე ადრე დილით 6-7 საათზე გამოდის, 9-10

საათამდე ძოვს და შემდეგ აქვე ისვენებს. შემალლებულ გორაკებსა და ლოდებზე წვება. როცა მზე დააცხუნებს, ადგება, წყალსა და სამარილეზე მიდის, მარილთან ერთად ლოკავს და აყოლებს დამლაშებულ ნიადაგს, ქვიშას. მისი ნალოკი „ვეძები“ „ალოტები“ ჩილოსა და დიკლოს ხევში პატარ-პატარა ორმოების სახითაა.

ნიაძორის საძოვარზე გამოსვლა და დასასვენებელში შესვლა დამოკიდებულია არა მარტო მზის ამოსვლა-ჩასვლასა და სიცხეზე, არამედ იმაზედაც, რამდენად უშიშარ ადგილზე ბინადრობს. მაგალითად, არსიანის ქედზე „ყარადერსუს“ ქედზე – სასაზღვრო ზონაში, სადაც მას საშიშროება არ ელის, არავინ ნადირობს, დღისითაც საძოვარზეა, თვალთ ყველგან კარგად მოჩანს, იმ დროს, როცა არღუნისა და ჩილოს ხეობებში, საძოვარზე ნიაძორი დილა-საღამოს იმ დროს გამოდის, როცა ხევებში ჩრდილი ჩადგება, მაშინაც აჩქარებულად მოძრაობს, წყნარად არ ძოვს, მანამდე კლდეებში შეუძინევლად იმალება. როცა მათ ადგილსამყოფელში დავდიოდით, ფენაკრეფით ისე შეუძინევლად იპარებოდა ჩვენგან, ქვიშასაც არ აჩქამებდა. ზოგჯერ ფრუტუნით ვხვდებოდით, რომ იქ სადღაც ნიაძორი იყო. გასაჭირისას განაბვაც იცის. ერთხელ არღუნის ხეობაში ამგვარად განაბული, ლოდების ქვეშ შემძვრალი თიკნების დედა ნიაძორი არღოტელმა მონადირემ ხელით დაიჭირა და დაკლა.

**კვება.** ნიაძორის საკვები მცენარეები (ზაფხულში და შემოდგომაზე) მარშრუტზე, როგორც ტყეში, ისე ტყეთაშორის ლეღეებსა და ველებში (არღუნის ჩილოსა და დიკლოს ხეობებში) შევავროვეთ. რამდენიმე მცენარე აღებული გვაქვს სამხრეთ კავკასიონზე – ხიხიანის ციხის, ყარადერსუსა და თავსახნისას მთის ფერდობზე.

მცენარეების სახეობრივი შედგენილობა გაარკვიეს ბოტანიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებმა შ. შეთეკაურმა და გ. ლიქოკელმა, რაზედაც დიდ მადლობას მოვანსენებ. გარკვეული 85 სახეობის მცენარიდან 15 ხე-მცენარეა, რომლებსაც ნიაძორი საკვებად იყენებს გაზაფხულზე, შემოდგომასა და ზამთარში, 13 სახეობის ბუჩქია, რაც ძირითადად, გაზაფხულსა და ზამთარშია გამოყენებული, ხოლო მათი ნაყოფები ზაფხულში და შემოდგომაზე; 55 სახეობა ბალახეული მცენარეულობაა, რომელთაც ნიაძორი წლის ყველა დროს იყენებს საკვებად (ძირითადად, გაზაფხულსა და

ზაფხულში). ზოგიერთი მათგანი, რომელიც ზამთარში სიმწვანეს ინარჩუნებს, ძირითადი საკვებია ნიაბორისათვის, თვით ფიჭვის წიწვებიც, რომელიც შხამიანია.

ნიაბორს განსაკუთრებით უყვარს ნეკერი, ხე-მცენარეთა და ბუჩქების ახალგაზრდა ყლორტები და ფოთლები, რომელთაც წლის ყველა დროს იკვებება. მისგან გადაკორტნილი ბუჩქები და ქერქმემოღრღნილი ხეები ვეღარ გვარობენ. ჭამს მღიერებსა და ხავსსაც. ყველაფერი ეს ამ მწირ სავარგულთან შეგუებით აქვს გამოძუშავებული. სისტემატურად უხეში საკვების გამო კუჭში უჩნდება მოზრდილი ქვისმაგვარი გუნდები, რომლებიც გაუვალია. სწორედ ამასთანაა მისი რუსული სახელწოდება „კუჭქვებიანი თხა – ბეზოაროვი კაზიოლ“ დაკავშირებული. ამ წარმონაქმნებს ხალხურ მედიცინაში წამლად იყენებენ.

**გამრავლება.** ნიაბორის გამრავლების შესახებ ლიტერატურაში ერთმანეთის მსგავს, მაგრამ ზოგიერთ საკითხში განსხვავებულ მონაცემებს ვნახულობთ. ვ. ჰეპტნერი, ა. ნასიმოვიჩი, ა. ბანიკოვი, რ. დორმიდონტოვი, ა. ბლოხინი მიუთითებენ, რომ ნიაბორის ნერბვა ნოემბრის მეორე ნახევარში იწყება და დეკემბრის პირველ ნახევარში მთავრდება, ე.ი. ორ კვირამდე გრძელდება. ამ პერიოდში ვაცები ჩხუბობენ, ამიტომ გამრავლებაში სუსტი ვაცები ვერ მონაწილეობენ, რაც ხელს უწყობს პოპულაციის სიმყარეს. მაკეობა 5 თვემდე გრძელდება. თიკნები (1-2) მაისის დასაწყისში იბადებიან. ამ მოსაზრებას ნერბვის დაწყების თაობაზე, ეთანხმება ი. მამაევი, მაგრამ მიუთითებს, რომ ხოსროვის ნაკრძალში ნერბვის დაწყებისას ხნიერი ვაცები აგრესიულები სრულიადაც არ არიან. ისინი მხოლოდ რქებით აშინებენ პატარა ვაცებს.

ზ. ექვთიმიშვილის მიხედვით, ნერბვისა და თიკნების მოგების ხანგრძლივობა 2,5 თვეა. თიკნების მოგების პერიოდად მას მაისი-ივნისის პირველნახევარი მიაჩნია.

ნ. დინიკი აღნიშნავს, რომ კაკასიაში ნიაბორი ნერბვას გვიან შემოდგომაზე – ნოემბერში იწყებს, შეიძლება დეკემბრის დასაწყისშიც. ამ დროს ვაცები ძლიერ ჩხუბობენ, თიკნები მაის-ივნისში იბადებიან. საერთოდ, თბილ მხარეში თიკნები აპრილში იბადებიან და ა.შ.

ი. სოკოლოვი უფრო კონკრეტულად მიუთითებს, რომ ნიაბორის

ნერბვა იწყება ნოემბრის ნახევრიდან და დეკემბრის ბოლომდე, ე.ი. თვენახევარს გრძელდება, დეკემბერში უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს, ხდება იანვრის ბოლოსაც. მოგება აპრილის ნახევრიდან იწყება და უმთავრესად მაისში მიმდინარეობს. ცალკეულ შემთხვევაში ივლისის ბოლოსაც იბადებიან. სამხრეთში ნერბვა ადრე იწყება, მოგებაც უფრო ადრე – აპრილში, მაისის პირველ დეკადაში, ბალშიხ-ბალხანში თიკნიანობა მარტის ბოლოს – აპრილში იწყებადა ა.შ.

კ. გასპარიანის დაკვირვებით, სომხეთში თიკნების მოგება 20-25 მაისიდან იწყება.

ზოოპარკის პირობებში ნიამორის სქესობრივი მომწიფების შესახებ საყურადღებოა ა. ჯანაშვილის მონაცემები. იგი აღნიშნავს, რომ მდელი სქესობრივად 6-7 თვის ასაკში მწიფდება, ზრდას კი 4 წლის ასაკში ამთავრებს. ცოცხლობს 15 წლამდე.

ვ. ჰებტერის, ა. ნასიმოვიჩის, ა. ბანიკოვის მონაცემებით კი, ნიამორი 3-4 წლისა მაკდება, ვაცი 3-4 წლისა მონაწილეობს გამრავლებაში. ი. სოკოლოვი აღნიშნავს, რომ ნიამორი ზოოპარკში 8-10 წლამდე ცოცხლობს, ერთეული თხები კი – 14-17 წლამდე.

ამგვარად, ნიამორის გამრავლებასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე სხვადასხვა აზრია გამოთქმული და ეს საკითხი კვლავ შესწავლასა და დაზუსტებას მოითხოვს.

ნიამორის გამრავლების საკითხის სრულყოფილად შესწავლისა და გადაწყვეტისათვის საჭირო იყო ნიამორების მოპოვება და გამრავლების ორგანოების ჰისტოლოგიური ანალიზის ჩატარება, რის საშუალება (ნიამორის რიცხობრივი სიმცირის გამო) ჩვენ არ მოგვითხოვია. ჩვენი მონაცემები ძირითადად ლიტერატურასა და საველე დაკვირვების მასალებზეა დამყარებული. მდელი ნიამორი სქესობრივად ერთი წლისა მწიფდება, პირველად შობს ერთ თიკანს, შემდეგ – ტყუპებს.

ნიამორის ბოტობა გვიან შემოდგომით იწყება, ნერბვის დაწყება-დამთავრება ამინდზეა დამოკიდებული და წლების მიხედვით ამინდის შესაბამისად ცვალებადობს. ჩვენი საველე დაკვირვების მასალებიც ამას ადასტურებს, მაგრამ ნერბვის დაწყება ნიამორის ცალ-კეულ ჯგუფებში ამ ერთი-ორი თვის განმავლობაში გადაბმულად უწყვეტად კი არ მიმდინარეობს, როგორც ამას ზემოთ



ჩამოთვლილი მკვლევარები აღნიშნავენ, არამედ წყვეტილად.

1982 წლის შემოდგომაზე ხიხანის მთაში თოვლი ნაადრევად 25 ოქტომბერს მოვიდა. ცუდი ამინდები დეკემბერშიც გაგრძელდა. თხებში ვაცები 25 ნოემბერს შევნიშნეთ და საქორწინო ხმებიც გავიგონეთ. ორი-სამი დღის შემდეგ ეს ხმებიც შეწყდა და იშვიათად ისმოდა. ნიაძორების ჯგუფი არ დაშლილა, 20-22 დღის შემდეგ – 15-20 დეკემბერს ნიაძორების იმავე ჯგუფში ნერბვის ცერემონიალი ისევ განმეორდა.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ 1982-1983 წლებში მეტეოროლოგიური პირობების გამო ნერბვის ვადები შეიცვალა, ცუდმა ამინდმა განსაკუთრებით მეორე ნერბვა გაანაგრძლივა.

ნერბვის დამთავრებაზე ჩვენ სრულყოფილი მასალა არ მოგვეპოვება. 1983 წლის იანვრის ბოლო რიცხვებში ჩილოს ხეობაში ნიაძორის აღმრიცხველებმა მეტყვევ ნ. იჭირაულმა და ჩილოელმა მონადირემ შ. ბაკურიძემ თხები და ვაცები ისევ ერთად მყოფი, ორ ჯგუფად ნახეს და აღრიცხეს, მაგრამ ნერბვის ცერემონიალი აღარ შეუნიშნავთ.

როგორც ირკვევა, მეტეოროლოგიური პირობები – ამინდის მდგომარეობა გავლენას უფრო ნიაძორის ოულაციაზე ახდენს, ვიდრე სპერმატოგენეზზე (როგორც ეს თხისა და ვაცის ქცევიდან ირკვევა). კარგი ამინდი და საკვების სიუხვე ხელს უწყობს ოულაციის ნორმალურ მსვლელობას, აჩქარებს მას. განაგრძლივებული ცუდი ამინდი, ნაადრევი ყინვები და თოვლი, საკვების ნაკლებობა აფერხებს ამ პროცესს. ივარაუდება, რომ ნიაძორების ბერწიანობა და თიკნების სიმცირე, ძირითადად ამ მიზეზითაა გამოწვეული. დაბადების შემდეგაც თიკნების დაღუპვა ამინდის ცვალებადობით, ჰაერის ტემპერატურის მკვეთრი დაცემითაა გამოწვეული. ამიტომ, რომ თიკნების მოგების შემდეგ თხები ერიდებიან თოვლით დაფარულ ადგილებს და უფრო მეტად უთოვლო პირმზითის თბილ ადგილებში არიან, რაც აუცილებელია ახალშობილი თიკნებისათვის. მათზე ასევე უარყოფითად მოქმედებს გაზაფხულის ცივი წვიმები და განაგრძლივებული თოვლჭყაპი, უმზეო ამინდები. ამ საკითხებს ვაკვირდებოდი ბორჯომ-პარკის და სომხეთის ვოლდერებში მყოფ ნიაძორებზე 2006 წლიდან.

ასევე, მერყეობს თიკნების მოგების ვადებიც: ზოგიერთ წელს

აპრილის შუა რიცხვებიდან იწყება, ზოგიერთ წელიწადს – მაისის შუა რიცხვებიდან და შეიძლება ივნისის ბოლომდე გაგრძელდეს. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ თიკნების გაჩენის პერიოდი ასე ცვალებადობს, მათი მოგების პროცენტულობა მაინც მაისში სჭარბობს, რადგან ნერბვა, მართალია, ნოემბერში იწყება, მაგრამ (ამ დროს იგი იშვიათად მკვდება) დამაკება განმეორებითი ნერბვის დროს უფრო დეკემბერშია. ამას ადასტურებს ისიც, რომ მომდევნო თვეებში ივლის-აგვისტოში შეხვედრილი თიკნების უმრავლესობა თანაბარი აღნაგობისა არიან. (იხ. ფოტო) განსხვავებული ზომის (დიდი ან ძალიან პატარა) თიკანი ჯგუფებში იშვიათად გამოიყვება.

როგორც ჩვენი მასალებით ირკვევა, თხა ხშირად ორ თიკანს შობს. ზოგიერთ წელიწადს ტყუპი თიკნების მოგება სჭარბობს, ხშირად ხდება ბერწიანობა, ეს ამინდის, კვების, ასაკობრივი და ჯანმრთელობის მდგომარეობითაა გამოწვეული. სამი თიკანი ერთ დედასთან მხოლოდ ერთხელ ვნახეთ (შეიძლება ის შეკვდებული იყო).

აღრიცხვის მონაცემების მიხედვით ჯგუფებში თიკნიანობის მდგომარეობა ასეთია: 1981 წელს არღუნის ხეობაში აღრიცხული 7 თხიდან მხოლოდ სამ თხასთან იყო თიკანი, ერთთან – 1, ორთან – 2-2.

1982 წელს იმავე ადგილებში აღრიცხული 5 თხიდან ორ დედას ჰყავდა თითო თიკანი.

1983 წელს კი იმავე ადგილებში აღრიცხული 7 თხიდან სამ დედას ჰყავდა თიკანი, მათ შორის ერთს – 3, ერთს – 2, ერთს – 1, ე.ი. ამ უბანში ყოველ წელს 3-4 დედა ნამატის გარეშე იყო დარჩენილი.

ასევე იყო ჩილოს ხეობაშიც. 1981 წელს აღრიცხული 6 თხიდან მხოლოდ ორს ჰყავდა თიკანი. მათ შორის: ერთს – 2, ერთს – 1. აქაც 4 დედა ნამატის გარეშე იყო დარჩენილი.

1982 წელს იმავე ადგილებში აღრიცხული 9 თხიდან ორს ჰყავდა 2-2, ორს – 1-1, ერთი თიკანი კი ვაცებთან იყო შეკვდებული, 5 თხა იყო ნამატის გარეშე.

1981 წელს დიკლოს ხეობაში აღრიცხული 6 თხიდან სამი იყო თიკნიანი. 3-ს ნამატი არ ჰყოლია. იმავე ადგილებში 1982 წელს აღრიცხეთ 12 თხა. აქედან, 3-ს ჰყავდა 2-2 თიკანი, ორს – 1-1. 7 თხა უნამატოდ იყო.

შედარებისათვის საყურადღებოა სამხრეთ კავკასიონზე ხიზანის ციხის მიდამოებში შეგროვებული მასალები. სასაზღვრო ზონაში ბრაკონიერებისაგან დაცულ ადგილას 1981 წელს 10 თხასთან თერთმეტი თიკანი აღვრიცხეთ. ეს იშვიათი შემთხვევა საზღვრის მკაცრი დაცულობით უნდა აიხსნას და იმით, რომ აქ თიკნების მტერი – არწივი და ბრაკონიერობაც იშვიათია.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ნიაძორი ხელშეწყობას საჭიროებს, კარგ პირობებში თიკნიანობა მეტია. ნიაძორი უმეტესად ტყუპ თიკანს შობს, აღზრდის უნარიც შესწევს, საამისოდ რძეც ჰყოფნის, იძლევა 1 ლ. მღე რძეს, რომლის ცხიმოვანობა და ნახშირწყლები 4,5 5% ია. ჯგუფში დედებთან ნამატი შეფარდების საერთო დანაკლისს რამდენიმე თხის ნამატი (მეტყუპების წყალობით) მაინც ავსებს და ეს პოპულაციის სასარგებლოდ მეტყველებს. ამას გვიმტკიცებს გამრავლებისა და აღრიცხვის მონაცემების შეჯამება, პოპულაციაში ინდივიდთა შეფარდება და ნამატი.

საერთო სულადობა – 127, აქედან მღედრი – 53, მამრი – 33, მოზარდი – 41.

შენიშვნა: თხების (მღედრების) ჭარბი რიცხოვნობა გამოწვეულია რაოდენობრივი აღრიცხვისას 1-2 წლიანი დედალ-მამლის სქესის გაურკვევლობით შორიდან დაკვირვებისას. მთავარია, რომ პოპულაციაში საერთო ნამატი პროცენტულად მაღალია, რაც იმას გვიჩვენებს, რომ ნიაძორის მოდგმას გადაშენება არ უწერია. თუ მის ძირითად მტერს – ალპური მგლის ჰიბრიდს დროულად მოვსპობთ.

ნიაძორის გამრავლებასთან დაკავშირებით საყურადღებოა, ბორჯომის ნაკრძალში სომხეთიდან შემოყვანილი (6 მღედრი და 3 მამრი) ჰიბრიდული ნიაძორთხების აკლიმატიზაცია. ისინი ერთად იყვნენ მოთავსებული 0,25 ჰა-ზე ვოლიერში. თხები პატარა ტანის გადაგვარებულნი ყოველ წელს მკადებოდნენ, მაგარამ ბერწლებოდნენ მკვდარ ბალნიან თიკნებს შობდნენ. მიზეზი – საკვების ნაკლებობა თუ მემკვიდრეობითობაა, გაურკვეველია. ეს საკითხი პრაქტიკულად საჭირო და საინტერესოა, ამას ნაკრძალი ალბათ გაითვალისწინებს.

**რიცხოვნობა.** ნიაძორის რიცხოვნობის საკითხს დღეს მკვლევარები ყველგან დიდ ყურადღებას უთმობენ. ეს თვით ამ ცხოვე-

ლის ღირსებიდან, პრაქტიკული მნიშვნელობიდან მომდინარეობს.

ლიტერატურული მონაცემებით დღეისათვის კავკასიაში, ჩაჩნეთ-ინგუშეთში 450-500 ნიამორს ითვლიან, აზერბაიჯანში – 2000-ს, სომხეთში – 500-600-მდე, ხოლო საქართველოში – 127.

საქართველოში ნიამორის შვეულმფრენით აღრიცხვა დადებით შედეგს მოგვცემდა მხოლოდ სამხრეთ კავკასიონის – არსიანის ქედის კალთებზე, სადაც ნიამორი უფრო ღია უტყეო ადგილებში ბინადრობს. მთავარ კავკასიონზე კი მისი გამოყენება შეუძლებელია, რადგან აქ ეს ცხოველი ძირითადად ტყესა და ისეთ ადგილებში ბინადრობს, სადაც თავშესაფარი კლდეები, ღრმა ხეობები და გამოქვაბულებია. აქ ნიამორი საძოვრად ღია ადგილებში მხოლოდ დილა-სალამოს გამოდის და საფრთხისას სწრაფად კლდეს ან ტყეს შეეხიზნება. ამიტომ აღრიცხვისათვის გამოვიყენეთ ვიზუალური დაკვირვების მეთოდი. წინასწარ შერჩეულ მოპირდაპირე სათვალთვალო გორებიდან დილა-სალამოს ვაკვირდებოდით და ვითვლიდით საძოვარზე გამოსულ ცხოველებს. მაგალითად, არღუნის ხეობაში ნიამორი ძირითადად ხეობის მარჯვენა მხარეს, არიშკაში ბინადრობს. არღუნის მარცხენა მხარეს კი იშვიათად ერთეულები გამოდიან. ნიამორის საბინადრო ადგილებს ჩვენ თანაბარი სიმაღლიდან მოპირდაპირე ფერდობებზე – აცეხეს ბილიკიდან, სამზირის გორიდან, ჯარეგოს ბილიკიდან, ტუტილის კიდეურიდან, ჩილოს ხეობაში – ლაშარის გორიდან ვაკვირდებოდით.

ამ ცხოველს ყველაზე მეტი ყურადღება, დაცვა-პატრონობა სჭირდება. ჩვენ აქ სასტიკი ბრაკონიერობის შემთხვევები აღვრიცხეთ. მაგალითად: 1979 წლის ზამთარში არღუნის ხეობაში გუროსა და მაციუნის მთაში ადგილობრივმა და ჩასულმა გამარჯვებულმა მონადირეებმა 2500 ჰექტრამდე სანადირო სავარგულში 9 ნიამორი მოკლეს, 1980 წელს – 7, 1981 წელს – 13, მათ შორის 7 დედა თხა; 1982 წელს – 2 ვაცი და ა.შ. 1981 წლის ლაშარობის წინა დღეებში თუშეთში, ჩილოსა და შენაქოს ხეობებში ჩემი იქ ყოფნისას 3 ნიამორი მოკლეს. ერთი დიდი მკვდარი ვაცი ჩილოს ხევში ალოტებთან გეკოს ტყვიით მოკლული ვნახეთ. ერთმა შეიარაღებულმა ბრაკონიერმა მოკლული ვაცი ანდის ყოისუს ჭალაში დილით უთენია ჩამოათრია და თავის იარაღ-ნანადირევიანად ჩვენს

ფოტობიბლიოთეკაში მოხვდა. ისე მოურიდებლად და უშიშრად მოკალათდა საბარგო მანქანაზე, რომ მისთვის უბრალო შენიშვნაც კი არავის მიუცია. პირიქით, თანამოდმე თუშები, როგორც კარგ მონადირეს, აქებდნენ, სახელს ულოცავდნენ, „კლოვამც ხელ მაგე-მართებისავ“. ეს ხელეზდაკოჟრილი ოთხი შვილის მამა, ანზორ ოსურაული პასუხისგებაში მისაცემად ვერ გავიმეტე, მიუხედავად იმისა, რომ სხვათა დაკვეთის შემსრულებელი აღმოჩნდა.

ამ ადგილებში თელაველი და ახმეტელი მონადირეები ძაღლებით ჯგუფურადაც ნადირობენ. მათთან ერთად რამდენჯერმე შეგვხვდა შაშხანებით შეიარაღებული ჭეროში, ქიონსა და ცოხში მცხოვრები ადგილობრივი ლეკი მონადირეებიც, რომლებიც ნიამორის რქებს ტომარა ფეკილში ცვლიდნენ. ამის გამო ნიამორის რიცხოვნობა თანდათან მცირდება და ისპობა.

ამ მხრივ კარგად იყო დაცული ხიხანის ხეობის სათავეები. აქ სასაზღვრო ნეიტრალური ზონაა და მონადირეები საერთოდ ვერ შედიოდნენ. გარდა ადამიანისა, ნიამორის არსებობაზე დიდ უარყოფით გავლენას ახდენს მტაცებლები და დაავადებები, აგრეთვე თოვლის ზვაკები, კლდის ნაშალი საგორავები, რაც მის ადგილსამყოფელში ხშირია. ორ ადგილას ვნახეთ ზვავისგან ჩამოგდებული ნიამორის ჩონჩხი და ერთგან ფოცხვერისაგან შეჭმული თხა. ნიამორის ადგილსამყოფელში აღრიცხული მტაცებლებიდან დიდ ზარალს აყენებს არწივი და ფოცხვერი. ჩვენ ოთხჯერ აღვრიცხეთ ნიამორებზე არწივის თავდასხმის ცდა. ნიამორები დაბურულ ფიჭვის ქვეშ თავშეფარებით გადარჩნენ. ეს ფრინველი იქ ბუდობს და ტრიალებს, სადაც თიკნიანი თხებია და მათაც ძალიან ეშინიათ არწივის. ნიამორისათვის დათვისაგან მიყენებული ზარალი ჩვენ არ შეგვინიშნავს. ალპური მგელი ამ დროს არ იყო.

საქართველოში ნიამორის შინაგან, გარეგან პარაზიტებსა და დაავადებებზე გამოკვლევა ხელმიუწვდომლობის გამო არავის ჩაუტარებია. ამ საკითხზე მცირე, თანაც ერთმანეთის მსგავს ცნობებს ვნახულობთ სხვათა სპეციალურ ლიტერატურაში. სომხეთიდან 2006 წელს ბორჯომში (აწყურში) შემოყვანილ 9 ნიამორს გაუჩნდა დიკროცელიოზი, რასაც უშუალოდ ვმკურნალობდი შესხურებით.

**ჯიხვისა და ნიამორის  
გადარჩენის ღონისძიებანი**  
პატრიარქის მიერ ხევსა, თუშეთსა და შატილში  
სამონასტრო კერების მშენებლობის  
კურთხევასთან დაკავშირებით  
„ჯიხვისა და ნიამორის სასაზღვრო-სამონასტრო  
ეკოტურისტული აღკვეთილების შექმნის შესახებ“

ჩვენი ქვეყნის ეკონომიურმა სიდუხჭირემ და ტურიზმის იმედმა, მთის ბუნებრივი სავარგულების უფრო მეტად გონივრულად, შემოსავლიანად გამოყენება და ბუნების მცოდნე პროფესიონალი კადრების აღზრდა მოითხოვა.

ამჯერად საქმე ჯიხვისა და ნიამორის გადარჩენა-მოშენებას ეხება. ორივე თხის გვარისაა, იშვიათი სახეობაა და ჩვენი ბუნებისადმი უდიდესი შემგუებლობით ხასიათდება.

ისინი იბულებით განერიდნენ ადამიანის სიახლოვეს და ყველაზე მწირ, მკაცრ მთებსა და სალ კლდეებს შეეხიზნენ, მაგრამ შვება მაინც ვერ ჰპოვეს. ადამიანი ყველგან ფეხდაფეხ დაჰყვება და დაუნდობლად ანადგურებს ამ სრულიად უწყინარსა და მრავალმხრივ სასარგებლო ღვთის ნაწყალობევე სახეობებს.

სამწუხაროდ ჩვენმა ხალხმა ჯერ კიდევ ვერ გააცნობიერა, რომ ჯიხვი და ნიამორი მხოლოდ სანადირო ობიექტი არ არის და რომ მათთან შეიძლება დაკავშირებულ იქნას მთების ბუნებრივ სიმდიდრეთა უფრო გონივრულად ათვისება-გამოყენების პერსპექტივები.

თუნდაც ის, რომ მოხდეს მათი შეჯვარება თხების გარეულ და შინაურ წარმომადგენლებთან და მთის პირობებისთვის მეტად ნაყოფიერი თაობების (ჯიშების) გამრავლება. მეტად საინტერესოა ნიამორის და ჯიხვის თვისებებისა და ქცევების შესწავლა.

ჯიხვთა ჭიდილი, - სამაია, დამარცხებულისადმი რაინდული სიჩაუქე – საშველად მიხმარება რქაგაწვდილობა, ხარ-ჯიხვების მზრუნველობა ობლების აღზრდაზე, დედისადმი თიკების დამჯერებლობა, ამინდის გამოცნობა რქამატიანობა და სხვა.

დღემდის ჯიხვისა და ნიამორის სამეურნეო პოტენციალს ისე ვერ ვიყენებთ, როგორც მაგალითად ცხვრისას (ცხვრის 250-მდე

ჯიშია შექმნილი). ისე ვკარგავთ ამ ცხოველების მოდემას, რომ სპეციალური ნაკრძალსაშენი ვერ შევქმენით, ვერც აღკვეთილები მოვაწყეთ და მათგან ნაწყალობევი „ჯიხვთხები“ და „ნიამორთხები“ მთის სამონადირეო მეურნეობებად ვერ დავამკვიდრეთ. ასი წლის წინ ბორჯომის ნაკრძალში წამოწყებული და შემდეგ ლავოდეხის ნაკრძალში გაგრძელებული საქმე, ბოლომდე ვერ მივიყვანეთ.

სამაგიეროდ გაკეთდა ის, რომ 1996 წელს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ თრუსოსა და არხოტის ხეობებში (აღკვეთილების მაგივრად) ჯიხვზე სანადიროდ სპეციალური სამონადირეო მეურნეობები შექმნა. ჯიხვს იმპონენტობა დასწამეს, რომ გამოეხშირათ.

ასე მოხდა თუშეთშიც, ჩილოს ხეობაში გაიშვიათებულ ჯიხვსა და ნიამორებზე მესაზღვრეები შეველმფრენებით ნადირობდნენ.

პრესის აქტიურობას, როგორმე შეეჩერებინათ ასეთი ქმედებები, შედეგი არ მოჰყოლია. (ჟურნ. პრესპრემიერი, №45, 23-11-2004, 23.20, თათია ლაშვი „ჟურნალისტური გამოძიება“).

ამ ბოლო დროს კი თხის მტერი მგელი ჩლიქოსნების „მომშენებელ ქვაკუთხედად“ აღიარეს (გაზ. 24 საათი, №303, 2003წ.) და მის მოკვლაზე ჯარიმა – 400 ლარი დააკანონეს, თანაც კლდეზე მოსიარულე ტერფმოხრილი ალპური კაციჭამია მგლის ჰიბრიდიც შემოამატეს.

ახლა უფრო მაღალ ჭიუხებს შეაფარა თავი ჯიხვმა. გაუჭირდა, მაგრამ დღევანდელი ტექნიკის საშუალებით ადამიანს არც ამ საუფლოში შეღწევა და მიგნება უჭირს: მას აღარ უწევს მყინვარებში ღამის თენება და ნანადირევის ზურგით ჩამოტანა. ამით კი პირველ რიგში მონადირული წრთობა, პოეზიურ-ესთეტიკური შთაგონებანი, სიჯანსაღე და ეკოტურიზმის სრულყოფილად განვითარების იმედი იკარგება.

ამგვარად ნაბრაკონიერალ რქებს ახლა სახელოსნოებსა და ქუჩებში 300-400 ლარად ყიდიან. ამიტომაც დიდრქებიან ვაცებსა და ხარ-ჯიხვებს ჩვენს ტერიტორიაზე ახლა იშვიათად შეხვდებით, იმასაც სამეზობლოდან შემოსული ცხოველისას და არა ადგილობრივ მობინადრეს.

ჩვენს ტერიტორიაზე ჯიხვი და ნიამორი ძირითადად ჩეჩენ -

ინგუშეთიდან და დაღესტნიდან შემოდის, სადაც მათი მოკვლა აკრძალულია. ნადირისათვის კავკასია ერთობლივი საცხოვრისია და აქ მობინადრე ცხოველებს ერთობლივი დაცვა და მოვლაპატრონობა სჭირდება.

კენიაში ერთ დროს ასე გაუჭირდა სპილოსაც, რომელსაც ძვირფასი ეშვების გამო დაუზოგავად ჟლეტდნენ, ის მხოლოდ საერთაშორისო ეროვნული პარკის შექმნამ იხსნა მოსპობისგან. ახლა ყველაზე მუქთსა და დიდ შემოსავალს აქედან ღებულობენ. ასე უნდა ვუშველოთ ჩვენს ჯიხვს, ნიამორს, ირემს, თორემ მერე გვიან იქნება.

ასეთ მდგომარეობაში არა მარტო ჯიხვსა და ნიამორს, სხვა ჩლიქოსნებსაც უკიდურესად გაუჭირდათ. საქართველოში გავრცელებული შვიდი ძვირფასი სახეობის ჩლიქოსნიდან ყველა წითელ წიგნშია შესატანი. ვკარგავთ მსოფლიო მნიშვნელობის უძვირფასეს სამეურნეო სახეობებს.



ამასთან უქმდება 700 ათას ჰექტრამდე კლდიანი სავარგულის დანიშნულება. ჯიხვის და ნიამორის საშუალებით ამ ბუნებასთან კავშირის შესაძლებლობა.

დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოში ჯიხვის, ნიამორის, ირმის გადარჩენის ერთადერთი გზა – საღვთო

აღკვეთილების შექმნაა რაც ეკოტურიზმის განვითარებასაც შეუწყობს ხელს.

სასაზღვრო აღკვეთილების შექმნის იდეა დაკავშირებულია თერგის ხეობებში სამონასტრო კომპლექსის მშენებლობასთან და იქ ხდეს (ქისტურას) ხეობისა და ყუროს მთის საჯიხვე აღკვეთილად

სააღკვეთილო ხდეს ხეობის მცინვარული ჩანჩქერის „კიბეშას“ დაბადება. ჯიხვების სამოვარი ლიქენები (ქარაგოზები)




გამოცხადების შესაძლებლობასთან. ეს კლდინი ტერიტორია (3-4 ათას ჰა-მდე) სხვა მხრივ გამოუყენებელია, უკავშირდება სასაზღვრო შავანის ხეობას, საიდანაც ჩვენს ტერიტორიაზე ჯიხვი მიგრაციით, განსაკუთრებით ზამთარში, შემოდის. ხეობა ფიქლის კლდეებით შემოზღუდული, ბუნებრივად დაცულია – ახლავს მყუდრო, უქარო, საჯიხვე მთის ტიპური ლალიანი (კვლია, სამყურა, წივანა, ლოლო, მარწყვი) საძოვრები და ორი შესასვლელი, სადაც აბრები დაიდგმება. მისი სასაზღვრო-სამონასტრო ტურისტულ აღკვეთილად კურთხევა ვიმეორებ საშური საქმეა თუ ხდის წყალი რადიაციით დაბინძურებული არ აღმოჩნდა, სამონასტრო კერაზე ჩამოისხმება.

ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ხდეს წყალი სათავეს კიბის (4091 მ.ზ.დ.-დან) მყინვარიდან იღებს და 4 კმ-მდე სიგრძეზე აქაფებულ თეთრ მდინარედ მოედინება. ეს ნაშალი ფიქლებით ბუნებრივად გაფილტრული მყინვარული სასმელი წყალია. ამ ღვთის წყალობის გამოუყენებლობა არ გვეპატიება.

ასევე სასაზღვრო-სამონასტრო აღკვეთილად უნდა გამოცხადდეს ნადირ-მონადირეთა სალოცავის ანატორის ჯვრის 2500 ჰა მდე სხვაგვარი გამოუყენებელი ტერიტორია, რომელიც შატილიდან ახლოს მდებარეობს. შატილში კი სამონასტრო მშენებლობა პატრიარქის ლოცვა-კურთხევით უკვე მიმდინარეობს. ანატორში ნიამორი მოსაზღვრე ქისტეთის – არიშკის ხეობიდან შემოდის და ხატის ტყეში ბუნებრივად იყო დაცული. მას თოფს არავინ ესროდა და ცხოველები ადამიანებს ბევრად არ ერიდებოდნენ.

ერთხელ აქ გამვლელმა ქისტმა კლდის ქიმზე ლამაზად მდგომი ვაცი რომ დაინახა, ცდუნებას ვერ გაუძლო, თოფი ესროლა, ტყვია შუბლში მოარტყა, თან დაიტრაბახა, ნახეთ თქვენს ხატს ტყვია შუბლში აქო. ამის შემსწრე ბერიკაცმა უპასუხა: ეგ ტყვია შენ საკუთარ შუბლში გაქო. თურმე ჯარეგოში მცხოვრებ იმ ქისტს ორი ცოლი ჰყავდა. იმ ხანობას უფროს ცოლს წაეჩხუბა, თავში შემის ნაჩეხი ჩაარტყა. შვილმა სისხლიანი დედა რომ დაინახა, იქვე მიყუდებულ თოფს ხელი წამოავლო და საკუთარ მამას შუბლი გაუხვრიტა. აი ასე აუცხადდა იმ ხატის ნიამორის მკვლელს მოხუცი შატილიონის ნათქვამი. ამგვარი ნამღვილი ამბები რწმენად და ცხოვრების წესად მკვიდრდებოდა მთაში.



ნიამორი ანატორის ხატის ტყეში კვლავ გამოჩნდა. ეს ღვთის წყალობა გონივრულად უნდა გამოვიყენოთ. სხვადასხვა სახის სამარილე საკვებურებისა და სიმყუდროვის შექმნით ნიამორი აქ ისევ დამკვიდრდება. ეკოტურისტები მათ მოპირდაპირე აცეხეს ფერდობიდან ყოველთვის იხილავენ და დააკვირდებიან. უსისხლო ნადირობით დაინტერესდებიან და შემო-სავალიც გაჩნდება.

აზერბაიჯანში, უცხოელებისთვის ერთი ჯიხვისა და ნიამორის საბაზრო ფასი 5500 ევროა, ადგილობრივებისთვის 3000 დოლარი. აღკვეთილებში ეს ცხოველები მალე გამრავლდებიან. თიკნები ადვილად შინაურდებიან და მეგობრობენ

ადამიანთან და პირუტყვთანაც. დატყვევებისას გადაგვარებას განიცდიან, თავისუფლად ყოფნა ურჩევნიათ. ხელზე მიჩვეული ხარჯიხვი მოურიდებელია, ის მთის სამო-ნასტრო-საეკლესიო ტურისტულ კერებზე ყველგან შეიძლება თავისუფლად ვიყოლიოთ, როგორც ტურისტების მოსაზიდი მშვენიერი ცხოველი.




არღუნის ხეობა. ანატორის საადკვეთილო ტერიტორია





ხევის ეკოფურისცული ბილიტები



## **The Tur (*Capra caucasica*, Guld., 1779)**

The tur is the endemic animal of the Caucasus. It is a typical representative of goat sub-family. Scientists distinguish two subspecies of the tur: East Caucasian and West Caucasian.

East Caucasian or Dagestan tur (*Capra caucasica cylindricornis*) is comparatively short with thick smooth horns and it has no beard. WestCaucasian or Kuban tur (*Capra caucasica severtsowi*) is taller and thinner with thin multi-circled horns and long beard.

Turs live in flocks of 20-100 individuals and occupy mainly alpine and subalpine habitats, but also use forested areas in steep terrain. They feed on grass and moss. Breeding occurs once a year. Young turs (1 or 2) are born in May.

The Caucasian tur has valuable meat, skin, wool and horns. For this reason it is highly prized as trophy animal by big game hunters.

Numbers of Caucasian tur have decreased drastically over the 40 years. Nowadays there are about 540 individuals in preserved areas.

The catastrophic decline in numbers is caused by poaching, competition for food with domestic livestock, disturbance and habitat loss.

The Caucasian tur is in danger of extinction. It is listed as Vulnerable in the 1996 IUCN Red List of Threatened Animals and placed in Category III in the Georgian Red Data Book (1982). Hunting is forbidden in Georgia, but is permitted under licence in Azerbaijan and Russia



1. წამორები ზამთრის სამოსში (ხიხანი)  
Wild goats in Khikhani Mountain



2. ახალგაზრდა ვაცი ზაფხულის სამოსში. „ტუტანიკი“  
A young buck






4. დედა ნიამორი

3. ნიამორის ობოლი თიკანი თუშეთიდან





5. წამორის მეტყუპობა. თიკნების თანატოლობა



6. ახალგაზრდა ვაცი.

მუხლებისა და მუცლის სითეთრე სისტემატიკის ნიშანია



7. ავღანური ვაცი ნიამორი. მიუნხენის ზოოპარკი



9. სომხური (ჰიბრიდული) ვაცი ნიამორი  
ბორჯომის ეროვნულ პარკში

8. სომხეთიდან შემოყვანილი ნიამორი  
ბორჯომის ეროვნულ პარკის ვოლიერში



10. უზლიქო თიკანი



11. მოშიმშილე დედა ნიამორები  
ბორჯომის ეროვნულ პარკში

## **The Wild Goat (*Capra aegagrus*, Erxleb., 1777)**

We meet wild goat in different places of the world. In the Caucasus it occurs in forested areas along the northern slopes of the Greater Caucasus Mountains. In Georgia it abides in Tusheti (Diklo, Chigho), Khevsureti (Shatili) and Adjara (Khikhani Mountains).

Nowadays wild goat exists in two forms: Caucasian and Turkmenian.

Wild goats abiding in Georgia are bigger. They survived thanks to the high cliffs where wolves can not reach them. They feed on moss, grass and young springs.

Wild goats live in flocks. Their shelters are rocky forests, cliffs and caves. They breed in November and December and after 5 months they bear one or two babies.

Wild goats live up to 18-20 years. They have valuable meat, skin and horns. Hunting the wild goat is prohibited.

## ლიტერატურა

1. არაბული ა. საქართველოს იშვიათი ძუძუმწოვრები და მათი დაცვა, თბილისი 1982.
2. არაბული ა. ესერიან სილამაზეს. ჟურ. საქ. ბუნება, №4 1983. 15.
3. ექვთიმიშვილი ზ. მასალები ნიაშორის გამრავლების შესწავლისათვის. ზოოლოგიის ინსტიტუტის შრომები XIII, თბ. 1954, 94.
4. კეცხოველი ნ. საქართველოს მცენარეული საფარი. თბილისი 1959.
5. მარუაშვილი ლ. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია. ნ. II თბილისი 1970.
6. ჯანაშვილი ა. საქართველოს ჩლიქოსნები, თბილისი, 1977.
7. Алекперов Х. Млекопитающие юго-западного Азербайджана, Баку, 1966.
8. Арабули А. Распространение и численность некоторых охотничье-промысловых млекопитающих в восточной Грузии. Зоологический жур. т. XLIX, вып. 3. 1970. 418.
9. Верещагин Н. Млекопитающие Кавказа. М-Л., 1959.
10. Гамбарян П., Гаспарян К. и др. Ресурсы фауны промысловых зверей в СССР и их учет М., 1963. 106.
11. Гаспарян К. Экология безоарового козла. Зоологический сбор. вып. XVI, Ереван, 1975. 78.
12. Гептнер В., Насимович А., Банников А. Млекопитающие Советского Союза. Т. I, М. 1961.
13. Громов И., Гуреев А., Новиков Г. и др. Млекопитающие фауны СССР 7;2. М-Л., 1963.
14. Динник Н. Звери Кавказа. Тифлис, 1910.
15. Дормидонтов Р., Блохин А. Безоаровый козел. Копытные звери изд. Лесная промышленность, Москва 1974. 153.
16. Красная книга СССР, т.1, М. 1984.
17. Мамаев Ю. Материалы конференции. Фауна и ее охрана в республиках Закавказья, Ереван. 1975. 85.
18. Соколов И. Фауна СССР. Млекопитающие т. I, в. 3 М-Л., 1959.
19. Arabuli A.B., BL Weinberg, A.K. Fedorenko . . . – The common wealth of independent states (for mer USSR) LVSW, 1997, 172-185 (wild sheep and goats and their Refalives).



## სარჩევი

რედაქტორის წინათქმა-----	3
ჯიხვი-----	10
ნიაგორი-----	58
ჯიხვისა და ნიაგორის ბაღარჩენის ღონისძიებანი-----	88
The Tur-----	96
The Wild Goat-----	97
ლიტერატურა-----	98